

რუსუდან დოდაშვილი

# მარი ბროსე

საბჭოთა საქართველო

1964

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

მამულის მგზნებარედ მოყვარულ, სამშობლოს სიკეთისა და აყვავებისათვის უანგაროდ თავდადებულ შვილებს თანამემამულენი გუნდრუქს უკმევენ და დიდების შარავანდელით მოსავენ, მაგრამ რაოდენი მადლობის ღირსნი არიან ის ადამიანები, რომლებიც უცხო ქვეყნისათვის ასევე იღწვიან და მის საკეთილდღეოდ სიცოცხლეს არ იშურებენ.

საქართველოსაც ბევრი ჰყავდა საკუთარი შვილი — სამშობლოსათვის თავდადებული. ასევე უცხოელი მეგობრები, მოქირნახულე და მოტრფიალე მისი ნამყოსი და აწმყოსი.

ქართველების უცხოელ მეგობართა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა განეკუთვნოს ფრანგ ორიენტალისტს, აკადემიკოს მარი-ფელისიტე-ქსავეიე ბროსეს, რომლის მეოხებით საქართველო პირველად გადაიქცა სისტემატური მეცნიერული კვლევის ობიექტად. თუმცა ბროსეს წინამორბედი საზღვარგარეთელი მეცნიერებიც დაინტერესებული იყვნენ საქართველოს ძველი, მეტად თავისებური, მრავალფეროვანი და მდიდარი კულტურით, საეკლესიო თუ საერო ისტორიული და ლიტერატურული ძეგლებით, მაგრამ მათ კვლევას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ბროსემ ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრეს მიზნად დაისახა შეესწავლა ყოველივე ქართული: არქეოლოგია თუ ნუმისმატიკა, გრამატიკა თუ ლექსიკოგრაფია, საეკლესიო თუ საერო მწერლობა, სიტყვაკაზმული ლიტერატურისა თუ ერის ისტორია, ამასთან ერთად მან თავს იდო ქართული მწიგნობრობის ძეგლების ფრანგულად თარგმნა.

საქართველოს ისტორიისა და მწიგნობრობის შესწავლა უცხოელისათვის კი არა, ქართველისათვისაც კი ჰირდა იმ დროს, როცა ბროსე გამოვიდა სამოდვაწეო ასპარეზზე. ამი-

ტომ ქართველოლოგიაში მას წინამორბედი არ ჰყოლია, ხოლო ქართულ ლიტერატურას ბროსემდე ყურადღება მიაქცია ავსტრიელმა მეცნიერმა, ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ალტერმა, რომელმაც 1798 წელს გამოცემულ შრომას — „ქართული ლიტერატურის შესახებ“ — ვენასა და რომში არსებული ქართული ხელნაწერებისა და წიგნების ნუსხაც დაურთო. შრომა ძირითადად საეკლესიო მწერლობას ეხებოდა.

ალტერის ნაშრომის გარდა, ქართული ლიტერატურის საკმაოდ მნიშვნელოვან მიმოხილვას წარმოადგენდა კიეველი არქიმანდრიტის ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნი — „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии“. ეს წიგნი 1802 წელს გამოქვეყნდა პეტერბურგში.

ხსენებული შრომების ავტორებმა ქართული ენა არ იცოდნენ. ამიტომაც მათ მეცნიერულ კვლევას სიზუსტე აკლდა და ზოგჯერ ქართულ სინამდვილეს შორდებოდა.

მარი-ფელსიტი ბროსეს, ქართული ენის შესანიშნავ მცოდნესა და ჩვენი წარსულის დაუღალავ მკვლევარს, დიდი გაქანების ქართველოლოგს წილად ხედა საქართველოდან მოშორებით, საფრანგეთში, დამოუკიდებლად შეესწავლა ქართული ენა, მიზნად დაესახა მეცნიერულად დასაბუთებულ პირველ წყაროებზე დაყრდნობით შეედგინა საქართველოს ისტორია, რომლის პატარა ფრაგმენტს წააწყდა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში.

„...ბროსემ პირველმა შეატყობინა ქვეყანას ჩვენი წარსული ისტორიული ცხოვრება, ჩვენი ბედ-იღბალი და მდგომარეობა...“ — წერდა სერგი მესხი 1880 წელს „დროების“ 184 ნომერში.

ბროსე სრულყოფილად დაეუფლა ქართულ ენას. შეადგინა ქართული ლექსიკონი, გრამატიკა, ქრესტომათია. ფრანგული ენის მცოდნე საზოგადოებას უთარგმნა ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნიმუშები, მათი მაღალი მხატვრული ღირებულებით მოხიბლა ევროპელ მწიგნობართა ფართო წრეები, და ბოლოს, თავისი ხანგრძლივი კვლევის გვირგვინად საქართველოს ვრცელი ისტორია შექმნა.

მარი-ფელისიტე ბროსეს, ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი შრომების ავტორს, როგორცაა: „ხელოვნება აზნაურთა, გინა ქართულის ენისა თვთ მასწავლებელი“, „ქართული ენის საფუძვლები“, „ქართული პოეზიის გამოკვლევა“, „მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე წარმოთქმული სიტყვა“, „საქართველოს ისტორია“ და სხვ., „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართულ წიგნთა კატალოგების გამომცემელს, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშების. მთარგმნელს, თამამად შეუძლია დაიჭიროს მოწინავე ადგილი არა მარტო ევროპელი ქართველოლოგების გვერდით, არამედ თვით ქართველ მეცნიერთა შორისაც.

წინამდებარე შრომის ავტორი მიზნად ისახავს საზოგადოებას შეძლებისამებრ გააცნოს ქართველთა ფრანგი მეგობრის, აკადემიკოს მარი-ფელისიტე ბროსეს ცხოვრება და შემოქმედება. განსაკუთრებით კი მისი მეცნიერული კვლევის ის მხარე, რომელიც ქართულ მწერლობას ეხება.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხალხთა თანამეგობრობას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და განმტკიცებას — მარი-ფელისიტე ბროსეს ჰუმანური სულისკვეთებით აღსავსე მეცნიერულმა მოღვაწეობამ არ შეიძლება ამჟამადაც არ მიიპყროს ფართო საზოგადოების ყურადღება.

## ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები

მარი-ფელისიტე ბროსე დაიბადა პარიზში 1802 წლის 5 თებერვალს. მამამისი, ჟან-ფილიპ-ფრანსუა ბროსე ვაჭარი იყო. დედა — ანა-ანრიეტ ბეკერი — ბრეტანის კეთილშობილ საგვარეულოს ეკუთვნოდა. ბროსეს დაბადება და მამამისის გარდაცვალება ერთსა და იმავე წელს მოხდა. ჟან-ფილიპ-ფრანსუა ბროსე ახალგაზრდობაში შემღებული კაცი იყო, მაგრამ ვაჭრობის საქმე კარგად ვერ წაუვიდა და გაკოტრდა. ქონება ნელ-ნელა შემოეღია და სიკვდილის შემდეგ ოჯახი თითქმის გაპარტახებული დარჩა.

ახალგაზრდობაში მეტად ღვთისმოსავ ანა-ანრიეტს, ბროსეს დედას, ქვრივსა და წვრილშვილის პატრონს, უზრუნველ ცხოვრებას მიჩვეულს, ქმრის სიკვდილთან ერთად თავს სიღარიბეც დაატყდა და ერთადერთ ნუგეშად ღმერთი შერჩა. ქალბატონ ბროსეს უფრო მეტად გაულრმავდა რელიგიური განწყობილება და გადაწყვიტა თავისი სამი ვაჟი საეკლესიო კარიერისათვის მოემზადებინა.

უსახსრობის გამო პარიზში ცხოვრება აღარ შეეძლოთ. ოჯახი ორლენში გადასახლდა. აქ ქალბატონი ბროსე მონასტერში განმარტოვდა და მარი ბროსეც პირველდაწყებითი სწავლის მისაღებად ორლენის პატარა სემინარიაში მიიბარა. სწავლას მოწყურებული ბავშვი მეტად ბეჯითი და შრომისმოყვარე აღმოჩნდა. მას სული ეხუთებოდა სემინარიის კედლებში, სადაც გარდა ღვთისმეტყველებისა, ლათინურსა და ფრანგულ ენებსაც ასწავლიდნენ. ასწავლიდნენ აგრეთვე ბერძნულსაც, მაგრამ ზერელედ, ისტორია კი საგნადაც არ მიაჩნ-

დათ — ჰამის დროს უკითხავდნენ შეგირდებს. ღარიბი ოჯახის შვილი ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ დედის მიერ არჩეული გზა ვერ დაუკმაყოფილებდა ჯერ კიდევ გაურკვეველ მისწრაფებებს. მაგრამ მაინც მიიწევდა წინ, კითხულობდა, ეცნობოდა აღმოსავლეთს, მის ისტორიასა და ლიტერატურას.

ორღეანიდან ბროსე კვლავ პარიზს დაბრუნდა. წმინდა ნიკოლოზის სემინარიაში განაგრძო სწავლა. ის განსაკუთრებით რიტორიკამ გაიტაცა. მომავალი მეცნიერი 1817 წელს ქალაქ ისის სემინარიაში გადავიდა და ფილოსოფიას დაეწაფა. აქვე დაეუფლა ებრაულ ენასა და არაბულის საფუძვლებსაც გაეცნო.

დედა კვლავ ჩაერია შვილის აღზრდის საქმეში. მისი ღრმა რელიგიური განწყობილების გავლენით, ბროსე იძულებულა გახდა ისის სემინარიისთვისაც თავი დაენებებინა და მონრუეს გამგზავრებულიყო. მარი-ფელისიტე მონრუესი იეზუიტთა მორჩილად შედგა. ორი წელი როგორც იყო გასძლო. მის გულს არ ეკარებოდა არც ღვთისმოსავობა, არც საეკლესიო კარიერა. ფილოლოგიით გატაცებული კვლავ პარიზისაკენ მიისწრაფოდა. დედის სურვილის მიუხედავად მალე კიდევ დაუბრუნდა პარიზს. აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ფილოლოგიის შესწავლას ანაცვლებდა ყველაფერს, ოჯახი რომ გაჭირვებული არ ჰყოლოდა. ბროსემ გადაწყვიტა კერძო გაკვეთილები ეშოვნა, მაგრამ ამას მასწავლებლის ცენზი სჭირდებოდა. 1821 წლის 24 იანვარს ბროსემ პირველდაწყებითი სკოლის რეპეტიტორის უფლების მისაღებად გამოცდები ჩააბარა და ატესტატი მიიღო. ამავე წლის 15 დეკემბერს პარიზის აკადემიის ლიტერატურული ფაკულტეტის წინაშე წარსდგა ლიტერატურის საბაკალავრო გამოცდების ჩასაბარებლად. ბაკალავრის წოდება მიიღო. ამ გამოცდებზე ბროსეს გამოუმჟღავნებია ძველი ბერძნულის ღრმა ცოდნა. პარიზის სემინარიაში ბერძნულს მეტად ზერეულად ასწავლიდნენ. ბროსე კი სწორედ ამ სემინარიაში დაინტერესებულა ბერძნულით, როცა ჰომეროსი წაუკითხავს. იგი საყვარელი მწერალი გამხდარა მისი და გადაუწყვეტია აუცილებლად დედანში წაეკითხა. სემინარიაში

მიღებულ მცირე ცოდნას დაყრდნობია და ბერძნული ენა დამოუკიდებლად დაუძლევია.

ამხანად ბროსე სწავლობდა ჩინურ, მანჯურულ, ტიბეტურ, ქართულ, სომხურ ენებს და ცოტა მოგვიანებით კი — რუსულს.

ბროსეს დედა დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა შვილის ლინგვისტური და ფილოლოგიური გატაცების გამო და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა შვილი ეკლესიისათვის დაებრუნებინა. ეს რელიგიური შეუწყნარებლობით როდი მოსდიოდა. კარგად იცოდა, რომ მის სენტ-მარის' მეცნიერული გზა, მატერიალური ხელმოკლეობის გამო, ვარდ-ყვავილებით ვერ მოიფინებოდა და შვილს კვლავ ეკლესიისაკენ უხმობდა. მარიმაც ველარ გაუწია დედის დაჟინებულ თხოვნას წინააღმდეგობა და 1822 წლის დამლევს 20 წლის ქაბუკი, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრებისა და მეცნიერებისაკენ მიილტვოდა, ამიენს ჩავიდა, სადაც დედამისი მონასტერში იმყოფებოდა. 1823 წლის 6 იანვარს ბროსემ ამიენის ეპისკოპოსისაგან სასულიერო სასწავლებლების პედაგოგის ატესტატი მიიღო და წმინდა აშელის სემინარიაში მასწავლებლობა დაიწყო. ბროსეს სასწავლებლოდ მასწავლებლობა წმინდა საეკლესიო სამსახურს არ წარმოადგენდა და დედასაც გული მოუბრუნდებოდა. სემინარიაში ბროსე ასწავლიდა ჰუმანიტარულ საგნებს, მაგრამ მარტოოდენ პედაგოგიური მოღვაწეობით როდი იზღუდებოდა. ბროსეს ვრცელ არქივში, რომელიც ლენინგრადის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტშია დაცული, შემონახულია სქელტანიანი რვეული, სადაც მოწაფეებისათვის მომზადებულ ლათინურ თემებს შორის ვხვდებით ნაწყვეტებს ისტორიიდან, შენიშვნებს შორეული აღმოსავლეთის ენების შესახებ. სწორედ ამ ენების შესწავლა იტაცებდა ბროსეს.

დედისადმი ძლიერ სიყვარულზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა ბროსეს ინტელექტუალური მიდრეკილებანი და 1823 წლის შემოდგომაზე იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ეკლესია მისი საქმე არ იყო. იგი გამოეთხოვა გულნატკენ დედას, დატოვა ამიენი და პარიზს დაბრუნდა. აქ დაუყოვნებლივ შეუდგა ჩინური ენისა და ლიტერატურის შესწავლას.

პარიზში, ლათინური უბნის ძანსარდებში შეყუჟულ ახალ-გაზრდებს შორის ბევრს იტაცებდა აღმოსავლეთი და, რასაკვირველია, ბროსეც მათთან იყო. ერთად დადიოდნენ მუზეუმებში, ათვლიერებდნენ ძველ გრავიურებს, ხელნაწერებს, ჩინურ იეროგლიფებს. ბროსე გატაცებით ისმენდა „კოლექ დე ფრანსში“<sup>2</sup> დიდი მეცნიერების ელზინისტ აზისა და ჩინოლოგ აბელ რემუზას ლექციებს.

ბროსე გატაცებით სწავლობდა ძველი ჩინელი პოეტების შემოქმედებას. განსაკუთრებით ში-კინგის პოეზია იპყრობდა მის ყურადღებას. მისმა წერილმა „ში-კინგისა და ძველი ჩინური პოეზიის მიმოხილვა“ და „ტა უანის ქვეყნის ამბავის“ თარგმანმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ამის გამო მეშურნეებისა და მეტოქეებისაგან დიდი უსიამოვნებაც შეხვედრია და იმდენად გამწარებულა, რომ ხუთი წლის გამუდმებული შრომის შედეგად შეკრებილი მასალები, თარგმანები და ლექსიკოგრაფიული ჩანაწერები დაუწევას.

ბროსეს მეცნიერული მოღვაწეობის მთელი გზა იმის ნათელი დადასტურებაა, რომ მას საგანგებოდ მოპირკეთებული ბილიკებით სიარული არ უყვარდა. იტაცებდა გაუკაფავი, ნარეკლიანი გზები. ჩინური ენისა და ლიტერატურის შესწავლის მძიმე გზიდან ბროსე ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის მეტად მძიმე გზას დაადგა და ჩინური იეროგლიფები შესცვალა ქართული დამწერლობით, რომელიც ამ დროს საფრანგეთში ჩინურ იეროგლიფებზე უფრო უცხო იყო.

ბროსე ეცნობა 1819 წელს გამოცემულ „მოგზაურობათა ანალების“ XII ტომს, სადაც ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომის კრიტიკული ანალიზია მოთავსებული. „ამ ანალიზმა შთამაგონა შემესწავლა ქართული ენაო“, — წერდა ბროსე. კრიტიკული ანალიზი არ კმაროდა იმისათვის, რომ ადამიანი საბოლოოდ ჩაწედომოდა გამოსაკვლევი საგნის არსს. ბროსე შემდეგში ნახულობს ბოლხოვიტინოვის წიგნს გერმანულად თარგმნილს ფრედერიკ შმიდტის მიერ<sup>3</sup>. ევროპულად განსწავლულმა ბროსემ გერმანული შესანიშნავად იცის. შრომა პა-



ტარაა და კითხულობს მრავალჯერ, იწერს ადგილებს, ინიშნავს მნიშვნელოვან საკითხებს. თვალწინ ეხატება ლამაზი, შორეული მხარე, ზღაპრული, გმირული, პოეტური. მის მეზობლადაა ქვეყანა, რომლის ენაზეც უკვე ლაპარაკობს. საინტერესოა სომხეთი, მაგრამ გული საქართველოსაკენ მიუწევს. მაგრამ რა გააჩნია ხელთ, სად იპოვოს გასაღები ფრანგულისაგან ესოდენ განსხვავებული უცხო ენის ამოსახსნელად?

ევროპაში ადრიდანვე ცნობილი იყო სტეფანე პოლინისა და ნიკიფორე ირბახის (ჩოლოყაშვილის) „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და იტალიელი მისიონერის ფრანცისკო მარიო მაჯიოს „ქართული ენის გრამატიკა“. ორივე შრომა რომში გამოიცა: პირველი — 1629 წელს, მეორე კი ორჯერ 1643 და 1670 წლებში. საერთოდ ორივე ნაშრომი სუსტად იყო შედგენილი. ანბანთა რაოდენობის მხრივაც კი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ბროსე, პირველ ყოვლისა, ქართული ანბანის დადგენას შესდგომია. ამისათვის ქართული ბიბლიიდან ამოღებულ საკუთარ სახელთა ასოებს იწერდა და რადგანაც ქართული და ბერძნული ბიბლიის ტექსტები ერთმანეთს ემთხვევა, შრომა უადვილდებოდა. ხელს უწყობდა ბერძნული ენის ბრწყინვალე ცოდნა, რომლის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს პარიზის ცნობილი საგამომცემლო ფირმის ფირმენ დიდოს მიერ ბროსესადმი დაკვეთილი ხელახალი, შესწორებული გამოცემა „ქრისტეს მიბაძვის მეოთხე წიგნისა“. ბერძნული ვერსია განხილვით გადმოცემული პ. გ. მეირის მიერ (1824 წ.)<sup>1</sup>. ეს იყო ორენოვანი წიგნი, სადაც ერთ გვერდზე ლათინური ტექსტია, ხოლო მეორეზე — ბერძნული. აღნიშნული შრომა მოწმობს, რომ ბროსემ ორივე ენა შესანიშნავად იცოდა.

ბროსე იწერდა ქართულ ასოებს, უმეტესად საკუთარი სახელებიდან, ადარებდა ბერძნულს, ადგენდა ანბანს და ქართული ენის თავისებურებასაც არკვევდა. მის არქივში დაცული მრავალი ფურცელი საესეა ამგვარი ვარჯიშით, გულმოდგინედ გამოყვანილი ქართული ასოებითა და სიტყვებით.

მაჯიოსა და ირბახის ლექსიკონების გარდა, ბროსე მალე გაცნო ცნობილი ორიენტალისტის ჟიულ კლაპროტისა და პეტერბურგის კარის მრჩეველის გოდერძი ფირალოვის ფრანგულ-ქართულ ლექსიკონებს. ირბახის ლექსიკონი 37 ასოს შეიცავდა, მაჯიოსი — 35, ფირალოვის — 38, ხოლო თბილისში გამოცემული (1818 წ.) ანბანი, რომელიც ბროსემ დიდი მეცნიერის, ორიენტალისტ სენ-მარტენის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა, 39 ასოსაგან შედგებოდა. ამიტომ ბროსე დამოუკიდებლად ცდილობდა ზუსტი ანბანის დადგენას და გრამატიკული ფორმების გაცნობას.

ახალგაზრდა ფრანგი მკვლევარის მოღვაწეობა ქართული ენის შესწავლის საქმეში თანდათან ცნობილი ხდებოდა ფრანგი საზოგადოებისათვის. პარიზის სამეფო ბიბლიოთეკისა და არსენალის წიგნსაცავის თანამშრომლები დიდ დახმარებას უწევდნენ ბროსეს, მაგრამ გარდა ზემოთ დასახელებული ლექსიკონებისა და ბიბლიისა, მათ მხოლოდ ოთხი ქართული ხელნაწერის გადაცემა შესძლეს. ეს იყო: „ქართული ქრონიკა“, „ქართული სამართალი“ და „ვეფხისტყაოსნის“ ორი ეგზემპლარი. ეს შრომები ჩათვლით მკითხველისათვის, რასაკვირველია, ძნელად გასაგები იყო, მაგრამ ბროსეს, უეჭველია, უკვე გადაულახავს უდიდესი სიძნელე და დამოუკიდებლად დაუფლებია ქართულ ენას. ხელნაწერებით გაცნობილი საქართველოს ისტორიასა და სიტყვაკაზმული ლიტერატურის მარგალიტს. თვალწინ გადაშლია ისეთი დიდი პოტენციის მქონე ქვეყანა, როგორც საქართველო იყო. და გასაგებია ის დიდი სიხარული, რომელიც ბროსემ განიცადა, როცა 1831 წელს პარიზში ჩამოვიდა ორი ქართველი ბატონიშვილი, იმერეთის მეფის სოლომონ II ძმისწულები ვახტანგი და ტარიელი. მათ დაუყოვნებლივ წარუდგინეს საქართველოს მოტრფიალე მარი ბროსე, რომელმაც საკუთარ თავს გამოცდა ჩააბარა და დარწმუნდა, რომ ქართულად ნამდვილად ლაპარაკობდა. ბატონიშვილები დიდი სიყვარულითა და მოწიწებით ესაუბრნენ ბროსეს, პარიზში ყოფნისას არა ერთხელ ინახულეს იგი. მათ შორის მეგობრული, საქმიანი ურთიერთობა დამყარდა. ბატონიშვილებმა ბროსეს თხოვეს ეთარგმნა მათთვის ფრანგული

გრამატიკა ქართულად, რათა მშობლიურ ენაზე გასცნობოდნენ ფრანგული ენის არსს. ბროსემ ჩვეული თავაზიანობით შეუსრულა თხოვნა და უთარგმნა ლომონის გრამატიკა. ბატონი-წვილებმა კი ქართულ ლიტერატურას მოწყურებულ ბროსეს ათხოვეს ქართული ლეგენდა ღვთისშვილ ალექსიზე, სადაც ქართული ლოცვებიც იყო მიწერილი. ბროსემ გადაწერა ხელნაწერები და თარგმნა ფრანგულად.

## ბროსე — „სააზიო საზოგადოების“ წევრი

მარი-ფელისიტე ბროსეს ქართველოლოგიით გატაცება შემთხვევით არ წარმოშობილა. იმ დროს, როდესაც მან ორიენტალისტურ კვლევას მოჰკიდა ხელი, საფრანგეთში სისტემატური შესწავლის ხასიათი ეძლეოდა აღმოსავლეთმცოდნეობისადმი აღძრულ იმ ინტერესს, რომელიც შემოიჭრა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, როცა ნაპოლეონის ლაშქრობამ ეგვიპტეში ფრანგი მეცნიერების წინაშე გადაშალა დიდი სამოქმედო ასპარეზი. ადრეც, ევროპული და აზიური ენების მკვიდრო ნათესაობის აღმოჩენამ და კალკუტაში „სააზიო საზოგადოების“ დაარსებამ გააღრმავა ფრანგთა ინტერესი აღმოსავლური კულტურისადმი. აღმოსავლეთმცოდნეობის მაღალ მეცნიერულ დონეზე დაყენების მიზნით პარიზში გაიხსნა — „ეკოლ-სპესიალ“ — სპეციალური სასწავლებელი, სადაც ისწავლებოდა სანსკრიტული, სომხური, მანჯურული, ჩინური ენები. ამ პერიოდში სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ დიდი ორიენტალისტები, აკადემიკოსები: არაბისტი — სილვესტრ დე სასი, სპარსოლოგი — აბელ რემუზა, არმენოლოგი — ანტუან-ჟან სენ-მარტენი, რომელთა ინიციატივით საფრანგეთში 1822 წელს დაარსდა „პარიზის სააზიო საზოგადოება“.

თუ აქამდე აღმოსავლეთი მოგზაურთა პირად შთაბეჭდილებათა აღწერის საგანს წარმოადგენდა, „სააზიო საზოგადოების“ დაარსების შემდეგ იგი ღრმა მეცნიერული კვლევის ობიექტად იქცა.

„სააზიო საზოგადოება“ სენ-მარტენის რედაქტორობით უშვებდა მეცნიერულ ყოველთვიურ „სააზიო ჟურნალს“<sup>5</sup>.

ჟურნალში უხვად იბეჭდებოდა მასალები საქართველოს შესახებ, რომელთა ავტორები იყვნენ: კავკასიაში ნამყოფი პოლკოვნიკი როტიე, ორიენტალისტი კლაპროტი, შულცი, რომელიც 1830 წელს „სააზიო საზოგადოების“ დავალებით და სენ-მარტენის ინსტრუქციით გაემგზავრა საქართველოში. მან საქართველოში ვერ ჩააღწია, გზაში ქურთებმა მოკლეს. მოგვიანებით ჟურნალის ფურცლებზე მარი-ფელისიტე ბროსე აქვეყნებს არმენოლოგიური და ქართველოლოგიური ხასიათის შრომებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს „სააზიო საზოგადოების“ პერიოდულ ორგანოში.

1822 — 23 წლიდან ბროსე საბოლოოდ დაადგა იმ გზას, რომელსაც მიჰყვებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში — დაიწყო გულმოდგინე მუშაობა ორიენტალისტიკაში.

მეგობრებს შეუმჩნეველი არ დარჩათ ბროსეს გატაცება აღმოსავლეთით. მათი დახმარებით აკადემიკოსმა ბარონ დე ვალკენერმა 1823 წლის 24 ოქტომბერს სპარსული ენის პროფესორს, აკადემიკოს აბელ რემუზას წარუდგინა მისი ლექციების გულმოდგინე მსმენელი მარი ბროსე. ერთი წლის შემდეგ კი ბროსეს წილად ხვდა ბედნიერება გასცნობოდა დიდ ზეცნიერს, აკადემიკოს სენ-მარტენს (1791 — 1833 წ.), „სააზიო ჟურნალის“ რედაქტორსა და „სააზიო საზოგადოების“ სულისჩამდგმელს. ანტუან-ჟან სენ-მარტენმა უდიდესი როლი შეასრულა მარი ბროსეს ცხოვრებაში. მან პირველმა მიუთითა ახალგაზრდა მეცნიერს საქართველოზე, როგორც ძველი კულტურის ქვეყანაზე და შთააგონა — ეს ქვეყანა ღირსია შესწავლისო.

ცნობილ არმენოლოგს სენ-მარტენს, მართალია, საქართველოს შესახებ არაფერი დაუწერია, მაგრამ იგი სომხეთის ისტორიის მკვლევარი იყო და შეუძლებელია საქართველოს ისტორიაც არ სცოდნოდა. მისი დიდი ნაშრომის „სომხეთის ისტორიის“ ფურცლებზე მრავალ ადგილას ვხვდებით საქართველოს გეოგრაფიული ადგილების სახელწოდებებს, მეფეების სახელებს, ზოგჯერ ისტორიის პატარა ფრაგმენტებს, ქართუ-

ლად დაწერილ სიტყვებს და მათ განმარტებებს. ამ შრომის გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ სენ-მარტენი საქართველოს შესანიშნავად იცნობდა და დარწმუნებული იყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღმოსავლეთმცოდნეობისათვის შესწავლა ამ ქვეყნის ისტორიისა და მწიგნობრობისა, რომელიც კაცობრიობის კულტურის ერთ-ერთ საგანძურად წარმოედგინა. საქართველოზე ამგვარი შეხედულების მქონე დიდმა მეცნიერმა სენ-მარტენმა ბროსე მიიჩნია სწორედ ისეთ პიროვნებად, რომელსაც შეეძლო „სააზიო საზოგადოებისათვის“ მრავალი ძვირფასი მასალა მიეწოდებინა საქართველოზე. სენ-მარტენმა მოისურვა ახალგაზრდა ბროსეს მასწავლებელი გამხდარიყო. ბროსემ ამ დროისათვის საკმაოდ იცოდა ქართულა ენა და ძლიერი ენერჯისა და ნიჭის წყალობით შეეძლო გაეკვლია მეცნიერების შეუსწავლელი სფერო. სენ-მარტენმაც მასწავლებლის დაუხმარებლად შეისწავლა არაბული, სპარსული, სირიული, თურქული და სომხური ენები, ისევე როგორც ბროსემ — ბერძნული, ჩინური, სომხური, ქართული, რუსული.

სენ-მარტენის სიკვდილამდე გრძელდებოდა მათი უანგარო მეგობრობა, დიდი მეცნიერული მისწრაფებებით შთაგონებული. გარდაცვალებულს ბროსემ თბილი, სიყვარულითა და მოწიწებით გამსჭვალული ბიოგრაფია მიუძღვნა და დახატა საქმისათვის თავდადებული, მოკრძალებული მეცნიერის იშვიათი პორტრეტი<sup>6</sup>. „...იმ დროსაც კი, როცა სენ-მარტენის საათები დათვლილი იყო, ხელთ ეჭირა ჩემი „ქართული სამართლის“ თარგმანი და მის გამოქვეყნებაზე ზრუნავდა“ — წერდა ბროსე. მართლაც, როგორც ბროსეს მოგონებებიდან ჩანს, სენ-მარტენმა 1823 წლის 15 ივლისს, ე. ი. გარდაცვალების წინა დღეს „სააზიო საზოგადოების“ წევრს ევგენი ბურნუფს ჩააბარა საგამომცემლო კომისიისათვის გადასაცემად, ბროსეს მიერ თარგმნილი „ქართული სამართალი“. მაღლიერი ბროსე აღნიშნავდა: „...მან შთამაგონა თუ როგორ შემესწავლა საქართველოს ისტორია, მაწვდიდა ყველაფერს, რაც კი გააჩნდა: წიგნებსა და დოკუმენტებს ქართული ენის შესახებ...“

ქართული ენა კი იყო ის ობოლი მარგალიტი, რომლის დაუფლება ამიენის სემინარიის ლატაკ მასწავლებელსა და „ყო-

ლევ დე ფრანსის“ ფართო აუდიტორიის თავისუფალ მსპენელს ორიენტალისტთა საზოგადოების კარს უღებდა და ცნობილ პარიზელ აკადემიკოსის ბარონ დე ვალკენერის რეკომენდაციით ბრწყინვალე პროფესორის აბელ რემუზას სალონში ახვედრებდა.

საფრანგეთის ორიენტალისტთა ფართო წრემ ერთხმად აღიარა ბროსეს მეცნიერული ძიების მნიშვნელობა აღმოსავლეთმცოდნეობისათვის და იგი, როგორც ჩინური, სომხური და ქართული ენისა და ლიტერატურის თვალსაჩინო მკვლევარი, 1825 წლის 7 თებერვალს „სააზიო საზოგადოების“ წევრად აირჩია. ამგვარად, მარი-ფელისიტე ბროსეს ცხოვრება და შემოქმედების გზა საბოლოოდ გაირკვა და დაუკავშირდა აღმოსავლეთის ქვეყნებს, სხვათაშორის სომხეთს, ძირითადად კი საქართველოს.

ბროსემ საფრანგეთში დაცული ქართული ლიტერატურის არც ერთი ხელნაწერი არ დატოვა შეუმოწმებელი და დაუმუშავებელი. მეტი წილი თარგმნა კიდევ და გამოაქვეყნა. კერძო პირები, ვისაც აღმოაჩნდა ქართული ლიტერატურის ნიმუშები, სიამოვნებით აწვდიდნენ მას. ბროსეს ქართველოლოგიური კვლევა სულ წინ მიიწევდა და ფართოვდებოდა. მასალებიც უფრო ხელმისაწვდომი ხდებოდა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არქივის კარი გაუღო ახალგაზრდა ორიენტალისტს, რომელიც უკვე იცნობდა თანამემამულეთა ოჯახებში შემონახულ არქეოლოგიურ და ნუმისმატიკურ კოლექციებს. ოცდაათიან წლებში იგი უკვე ავტორი იყო მრავალი წერილისა ქართული ლიტერატურის შესახებ. რაც უფრო წინ მიიწევდა ბროსე ამ გზაზე, იმდენად უფრო მეტად ეუფლებოდა უკმაყოფილება, რადგან ქართული დოკუმენტების ყოველი კუნძულიდან გამოსკვივოდა უძველესი კულტურის საუნჯე. პარიზის არქივები და ბიბლიოთეკები თითქმის ამოწურული იყო ბროსეს მიერ. საქართველოში გამგზავრებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა ჯერ. რუსეთი წარმოადგენდა ერთადერთ ქვეყანას, სადაც ინახებოდა ქართული დოკუმენტები. პეტერბურგისა და მოსკოვის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში დაცული მასალები აუცილებელი იყო სერიოზული მეცნიე-

რული კვლევის ჩასატარებლად. ბროსე რუსული ენის შესწავლას შეუდგა. 1826 წელს მან უკვე კარგად იცოდა რუსული, რადგან გოდერძი ფირალოვის მიერ შედგენილი „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ თარგმნა შესძლო.

საჭირო გახდა ქართველი ხელმძღვანელის დახმარება. უამისოდ ფერხდებოდა ბროსეს მუშაობა. ყოველი სიტყვის და სტრიქონის წაკითხვისას წამოიჭრებოდა ხოლმე სრულიად ბუნდოვანი საკითხები, რომლებიც საფრანგეთში მყოფი ფრანგისათვის დაუძლეველი იყო. ეძებდა ბროსე ხელმძღვანელსა და მასწავლებელს, განსწავლულ ქართველს, დაინტერესებულს ბროსეს მუშაობით, გულშემატკივარს უცხო ქვეყნის შვილისადმი.

იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა ბროსეს მეგობარი, ზაგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული პეტერბურგის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის არაბული და თურქული ენების პროფესორი, 1832 წლიდან კი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი შარმუა, ეროვნებით ფრანგი, რომელიც მიმოწერას აწარმოებდა ბროსესთან. ბროსემ შარმუას აცნობა თავისი გასაჭირი და შარმუამ თავის მხრივ ურჩია მას დაკავშირებოდა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII ძეს, დიდად განსწავლულ თეიმურაზ ბატონიშვილს.

ამასთან ერთად შარმუამ გააცნო თავის თანამემამულეს აღმოსავლეთმცოდნეობის მდგომარეობა რუსეთში და შეატყობინა რა შესაძლებლობანი არსებობდნენ ამ ქვეყანაში მისი მეცნიერული კვლევის გასაფართოებლად და გასაღრმავებლად. შარმუას მეშვეობით ბროსემ ქართულად დაწერილი წერილი გაუგზავნა თეიმურაზ ბატონიშვილს და დახმარება სთხოვა. ეს იყო 1830 წელს. და მას ბროსე თავისი სიცოცხლის ერთ-ერთ უბედნიერეს დღედ თვლიდა, ვინაიდან ამავე წლის 30 აპრილს თეიმურაზ ბატონიშვილის აღფრთოვანებული პასუხი მიიღო. თეიმურაზი აღტაცებას გამოთქვამდა ახალგაზრდა მეცნიერის მეტად საინტერესო მოღვაწეობის გამო: „...ჩემი გული სიხარულით აღივსო, რომ მივიღე შრომილი შენი და თანაც წიგნი ქართულად დაწერილი. კერძოდ გიხდი მადლობას. მე თვით გექნები შენ თანამოსაუბრე ესე იგი კორესპონდენტი ზო-



გად ყოველთავე, ძველთა და ახალთა საეკლესიო გინა საეროთა... ხოლო წიგნნი ქართულნი, თუ რომელიმე რაიცა და რომელსაცა ეჟმს საკირო იქნების და მოითხოვთ გულსმოდგინევიქნები თქვენთვის მოპოვებადა მარად...“. ქართული კულტურის დიდად გულშემატკივარი და მოყვარული თეიმურაზი თავის მხრივ სთხოვდა ბროსეს შემოეთვალა თუ რა წიგნები იყო შემონახული საფრანგეთში: „...ჩვენ აღრევე გვსმენია. — განაგრძობდა თეიმურაზი ამავე წერილში, — ესე რომელ პარიჟისა საზოგადოსა გინა სამეფოსა ბიბლიოთეკათა შინა იპოვებიან სხუა და სხუანი წიგნნი ხელნაწერილნი ქართულისა ენისანი, და გთხოვ ამას რათა მაცნობოთ თუ რიცხვთ რაოდენნი წიგნნი არიან ხუცურად ანუ მხედრულად რაოდენნი და რომელნი წიგნნი. სახელები თვითოეულად მათნი წერილით გვაუწყეთ, და რომელსა ეჟმსა აღწერილ არიან და ვის მიერ იგიცა ცდად გვიყოთ“<sup>7</sup>.

თეიმურაზს დაპირება სიკვდილამდე არ დაურღვევია. მან დიდი ამაგი დასდო ბროსეს მეცნიერულ მოღვაწეობას როგორც მისი საფრანგეთში ყოფნის დროს, ისე რუსეთში ჩამოსვლის შემდეგაც. უგზავნიდა ლიტერატურას და დიდი მონდომებით უსწორებდა შეცდომებს. აცნობდა ისტორიულსა თუ ლიტერატურულ მოღვაწეობის ასპარეზზე დასახულ საკუთარ მიზნებს. ბროსეც პატივისცემით განიმსჯვალა თეიმურაზისადმი და მისი ნოკრძალეული შეგირდი გახდა. თეიმურაზის შეუკითხავად თითქმის აღარაფერს ბეჭდავდა. ფრანგულად თარგმნიდა თეიმურაზის მიერ გამოგზავნილ ქართულ დოკუმენტებსა და წერილებს და აქვეყნებდა „სააზიო ჟურნალში“. წერილები მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო. ფრანგმა საზოგადოებამ კარგად გაიცნო თეიმურაზ ბატონიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა, მისი ღვაწლი ქართველოლოგიაში და 1831 წელს იგი „პარიზის სააზიო საზოგადოების“ წევრად აირჩია. ამის გამო თეიმურაზი წერდა: „უსაკუთრესო მეგობარო უფალო ბროსეტ! ...ამისათვის დიდად მოხარული ვარ და ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავსა, ვინაიდგან მრავლად სახელოვანსა და ყოველად სიბრძნითა განათლებულსა დიდებულს პარიჟის მეაზიელის საზოგადოების რიცხვში აღვირეცხვე!“

თეიმურაზისა და ბროსეს მეცნიერული ურთიერთობა დიკ მეგობრობაში გადაიზარდა. უაღრესად განიცდიდნენ ერთმანეთის უნახაობას. 1835 წელს თეიმურაზი პეტერბურგიდან ბროსეს წერდა: „უსაკუთრეს გულითაღო მეგობარო ბროსეტ — მხოლოდ ჩემი მწუხარება შენი პირისპირ უნახაობა არის, რომ ესეოდენი წელიწადი არის წერილობით ვიცნობთ მხოლოდ ერთმანეთსა და პირისპირ კი არ გვეღირსა ნახვა...“ გერმანიაში სამკურნალოდ წასული თეიმურაზი არ იფიწყებდა ფრანგ მეგობარს და მეგობრულსა და საქმიან წერილებს უგზავნიდა. აი, ერთი მათგანი დათარიღებული 1836 წლის 28 ოქტომბრით. „საკუთარო მეგობარო, უფალო ბროსეტ! ...კრონპრინცი (ფრედრიხ ვილჰელმ IV — რ. დ.) დაინტერესდა... მე შენი ღრამატიკა თვთ მასწავლებელი თანა მქონდა. კრონპრინცს მივართვი. მადლობა გადამიხადა და კარვი წიგნი მომწერა. ქართული წერილი არც კი ენახათ. მეორე წიგნს დაეპირდი, ვგონებ აქამდე შეასრულებდი...“

ქართველოლოგიური კვლევის დაწყებისთანავე, ბუნებრივია, ბროსეს აღეძრა სურვილი ჩამოსულიყო საქართველოში და პირველწყაროებიდან ამოეკრიფა უხვი და მრავალფეროვანი მასალები, რომელთა არსებობაში ეჭვი არ ეპარებოდა. მან დაწვრილებითი მოხსენება შეადგინა საქართველოს არქეოლოგიური და ლიტერატურული შესწავლის მნიშვნელობის შესახებ და წარუდგინა საფრანგეთის მეფის შარლ X შინაგან საქმეთა მინისტრს პეირონეს 1830 წლის 22 აპრილს. ამ გეგმის სისრულეში მოყვანას ბროსე თვითონვე კისრულობდა. მოგზაურობა 4 წელს უნდა გაგრძელებულიყო. აქედან ერთ წელს პეტერბურგსა და მოსკოვში გაატარებდა, ემიგრაციაში მყოფი ქართველების მიერ ჩამოტანილ მდიდარ მასალას გაეცნობოდა. დანარჩენი სამი წლის განმავლობაში მოივლიდა საქართველოს ყველა კუთხეს. განზრახული ჰქონდა ცოტა ხნით სომხეთსაც სწვევოდა და შეესწავლა მისი რელიგიური და ინტელექტუალური ცენტრის ეჩმიადინის საგანძურიც. მოგზაურობის დასრულების შემდეგ ბროსე სამშობლოში კონსტანტინოპოლის გავლით უნდა დაბრუნებულიყო.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა პეირონემ მოი-

წონა ეს პროექტი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოისურვა „წარწერათა და სიტყვიერების აკადემიის“ აზრიც გაეგო. აკადემიამ გამოჰყო კომისია აკადემიკოსების სილვესტრ დე სასის, აბელ რემუზას და სენ-მარტენის შემადგენლობით.

კომისიამ გეგმა მოიწონა. 1830 წლის 11 მაისით დათარიღებულ პატაკში გამოთქმული იყო აღტაცება ახალგაზრდა მეცნიერის მარი-ფელისიტე ბროსეს ამგვარი გულმოდგინების გამო და იმედი, რომ მთავრობა ხელს შეუწყობდა მისი მიზნების განხორციელებას. კომისია ამავე დროს აღნიშნავდა, რომ კაცობრიობის კულტურის ძეგლები, სიძველეთა ნაშთები, ლიტერატურული საგანძური, აღმოსავლეთის გარდასულ დღეთა ისტორია თანდათანობით ილუპება ევროპელთა ხელშეწყობითაც კი და ბროსეს მიერ წამოწყებული საქმე ამიტომაც დიდად საქებურიყო.

ბროსეს არქივში ვხვდებით სენ-მარტენის წერილის ავტოგრაფს (1830 წლის 15 მაისი), სადაც დიდი მეცნიერი ატყობინებს ბროსეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა გრაფმა შარლ პეირონემ მოიწონა გეგმა და შეკითხვა გაუგზავნა აკადემიას, რომელმაც გამოჰყო ზემოდასახელებული კომისია. კომისიამ მთლიანად მიიღო პროექტი, მხოლოდ პეტერბურგსა და მოსკოვში მოგზაურობის ერთი წლის ვადა ექვსი თვით შეცვალა.

ბროსე სენ-მარტენთან და სხვა მეგობრებთან ერთად გამარჯვებას ზეიმობდა. „სააზიო საზოგადოება“ ინსტრუქციებს უდგენდა განსაკუთრებული საკითხების გამოსარკვევად. ბროსე კი თავის ხელნაწერებში ჩაფლული ოფიციალურ გეგმას უმატებდა გამოსარკვევსა და დასაზუსტებელ უამრავ სხვა საკითხს.

მაისი მიიწურა, ივნისიც გავიდა და დადგა 1830 წლის ივლისი, საფრანგეთის მთავრობის შეცვლის, ე. წ. ივლისის გადატრიალების პერიოდი. შარლ X იძულებული გახდა ტახტიდან გადამდგარიყო. საფრანგეთის სათავეში ახალი მთავრობა ჩადგა და შარლ X მინისტრთა გადაწყვეტილებანი გაუქმდა. არავის ეცალა ორიენტალისტიკისათვის, საქართველოსათვის, ბროსესათვის.

ივლისის რევოლუციამ ბროსეს არა მარტო ჩაუქრო საქართველოში გამგზავრების ნანატრი ოცნება, არამედ უბადრუკი ქონების ნარჩენებიც გამოაცალა ხელიდან და საბოლოოდ გააღატაკა.

ბროსეს ყველაზე მეტად მაინც საქართველოს შესწავლის საკითხები აწუხებდა. როგორ ცდილობდა ქართველოლოგიურ კვლევას საფრანგეთში სისტემატური ხასიათი მისცემოდა. 1831 წელს შეეცადა სამეფო ბიბლიოთეკასთან არსებული აღმოსავლური ენების ინსტიტუტში დაეარსებინა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. 1832 წელს ამავე კათედრის დაარსებას ლამობდა სამეფო კოლეჯში, 1833 წელს — „წარწერათა და სიტყვიერების აკადემიაში“. ვერ იქნა და საწადელს ვერ მიაღწია.

1834 წელს საქართველოში მოგზაურობის პროექტს თითქოს კვლავ გაუღიმა ბედმა. საფრანგეთის სახალხო განათლების მინისტრმა გიზომ, რომელსაც ბროსემ არა ერთი განცხადება მიართვა და ცნობილი მეცნიერებიც მიუგზავნა საპროტექციოდ, როგორც იყო კეთილის თვალთ გადახედა ამ საქმეს და პეირონეს მსგავსად, „წარწერათა და სიტყვიერების აკადემიას“ დაავალა ბროსეს პროექტის განხილვა. აკადემიამ კვლავ გამოჰყო კომისია აკადემიის წევრების ორიენტალისტების კატრმერის, ამედე ჟობერისა და ეჟენ ბურნუფის შემადგენლობით.

ამ კომისიამაც მოიწონა გეგმა. ახლა კი ყველაფერი ხელს უწყობდა ბროსეს მისწრაფებების ბედნიერად დაგვირგვინებას. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ღუკა იზინიმ სამი წერილი გაავგზავნინა ბროსეს: კონსტანტინოპოლში — საფრანგეთის წარმომადგენლობისადმი, პეტერბურგსა და თბილისში — საფრანგეთის კონსულებისადმი. ბროსეს პასუხი არ მიუღია. განუცხადეს სხვადასხვა მიზეზთა გამო თქვენი მოგზაურობის გეგმა არ განხორციელდებაო. ბევრი ეცადა ბროსე გამოეკვლია მიზეზი, მაგრამ ყოველივე უშედეგო აღმოჩნდა. ბოლოს მეგობრებმა დაამშვიდეს — მიზეზი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში იფარებოდა და ჭერჯერობით ისევ ღუმილი სჯობდა.

ბროსეს დამორჩილება ადვილი არ იყო. ვერავითარი ძალა ვერ მოაშორებდა საყვარელ საქმეს. მაგრამ მატერიალურად ძალიან უჭირდა. პირველი ცოლი 1830 წელს გარდაეცვალა. ერთი წლის შემდეგ კვლავ დაქორწილდა. და როცა საქართველოში გასამგზავრებლად ემზადებოდა, ის უკვე სამი შვილის მამა იყო. მამის დანატოვარი უმნიშვნელო მემკვიდრეობა ივლისის რევოლუციამ ხელიდან გამოაცალა და შემოსავალი არსიდან ჰქონდა. ბროსე ეძებდა მუდმივ სამუშაოს ოჯახის შესანახად. მან მიმართა განათლების მინისტრს გიზოს და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარის თანაშემწის თანამდებობა სთხოვა, მაგრამ უარით გამოისტუმრეს. სამსახურის შოვნა გაჭირდა. ბოლოს კორექტორის ადგილს იხვეწებოდა. მაგრამ კორექტორს ასოთამწყობობა უნდა სცოდნოდა. ბროსე სიხარულისაგან ცას მისწვდენია, როცა სამეფო სტამბის ასოთამწყობად დაუნიშნავთ. ოჯახს სჭირდებოდა ეს მსხვერპლი, ვინაიდან თავისი მეცნიერული მოღვაწეობით ჯერჯერობით ვერაფერს მოუტანდა ცოლ-შვილს. ასოთამწყობი ჩქარა დააწინაურეს და კორექტორად დანიშნეს.

ქართველებისთვისაც ცნობილი იყო მისი გაჭირვების ეს წლები. ს. მესხი „დროების“ 184 ნომერში წერდა: „...ლარიბ-ლატაკს ფრანცუზს, ჩვენი ქვეყნის უცნობს, ჩვენთან არავითარი ინტერესით არ შეკავშირებულს, პარიჟში მცხოვრებს ალექსანდრის სურვილი ჩვენის გაცნობისა, ჩვენის ისტორიის შესწავლისა და ჰკიდებს ხელს ამ საქმეს“.

მიუხედავად ამისა, ბროსეს არ შეუწყვეტია „სააზიო ჟურნალში“ სტატიების ბეჭდვა ქართული ენის, ლიტერატურის, ნუმისმატიკისა და ისტორიის შესახებ. ბროსეს არა თუ არ შეუწყვეტია ქართველოლოგიური კვლევა, კიდევ მეტიც — „სააზიო ჟურნალის“ მეშვეობით, მკითხველებსა და ქართული ლიტერატურის და ისტორიით დაინტერესებულ პირთ აუწყებდა, რომ აპირებდა წაეკითხა მოხსენებათა ციკლი ქართული ლინგვისტიკის. ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ დაწყებული დასაბამიდან დღევანდლამდე. ამასთან გადმოსცემდა პროსპექტს „ქართული ქრესტომათიისა“, რომლის შედგენასაც აპირებდა.

ბროსეს ნაყოფიერი მუშაობა ორიენტალისტიკაში, მისი ქართული ლექსიკონი, წერილები საქართველოზე, „ქართული სამართლის“ და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი და მრავალი სხვა შრომა ფართო საზოგადოების დიდ მოწონებას იმსახურებდა და ამიტომ 1834 წლის 28 აპრილს მარი-ქსავიე-ფელისიტე ბროსე „სააზიო საზოგადოების“ საბჭოს წევრად აირჩიეს.

### III

## ბროსე კეტიკობუბო

საქართველოში გამგზავრების გეგმის განხორციელება ბროსეს ოცნებად დარჩა. ყველა გზა გადაიკეტა. ბროსეს უკვე ველარ წარმოდგინა სიცოცხლე ისე, თუ საქართველოში ვერ ჩააღწევდა და საკუთარი ხელით ვერ შეეხებოდა ქამთა და მტერთა სიავისაგან ჩამონგრეული ტაძრებისა და საფლავების ქვებს. საკუთარი თვალთ ვერ წაიკითხავდა მათზე დარჩენილ წარწერებს. უსაქართველოდ ბროსეს არსებობას აზრი ეკარგებოდა. და კვლავ გაუღიმა ბედმა ბროსეს მესამეჯერ (პირველად მაშინ, როცა სენ-მარტენს შეასველრა, მეორედ კი, როცა თეიმურაზ ბატონიშვილს დააკავშირა). საფრანგეთის საზღვრებს უკვე დიდი ხანია გასცდა მისი სახელი, როგორც მნიშვნელოვანი ორიენტალისტისა, რომელიც დაუღალავად იღწვის ქართული კულტურის გამოსამზეურებლად. მისმა სახელმა პეტერბურგშიაც ჩააღწია, სადაც ქართველოლოგიური ძიება კარგა ხანია მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოხვდა და მეცნიერებათა აკადემიის თუმცა არასისტემატური, მაგრამ ერთგვარი კვლევის საგნად მიიღო იქცა. 1827 წლის 15 ოქტომბერს, აკადემიკოსებმა კრუგმა და ფრენმა პეტერბურგის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის კონფერენციას წარუდგინეს მოხსენება, სადაც განიხილავდნენ შახბატოვის ნაშრომს საქართველოს ისტორიის შესახებ და გამოსთქვამდნენ სურვილს რუსულად ეთარგმნათ ვახტანგ VI საქართველოს ისტორია.

აკადემიკოსმა ფრენმა 1834 წელს რუსი მოგზაურებისათვის შეადგინა სია იმ ნაშრომებისა, რომელიც უნდა მოეძებნა ან შეესყიდა აკადემიას. ფრენმა ამავე დროს შეადგინა ბიბლიო-

გრაფიული შრომა საქართველოსა და სომხეთის ისტორიის შესახებ და 1836 წელს მის მიერ შედგენილ რუმინანცევის მუზეუმის აღმოსავლურ ხელნაწერთა აღწერაში შეიტანა. ფრენმა გარდა ამისა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში 1836 წელს მოათავსა წერილი, რომელსაც საფუძვლად ედო საქართველოში 1832 წელს მყოფი რუსი მაიორის ივანე დიმიტრის ძე ბარტნევის ცნობები გელათის შესახებ. წერილმა რუს საზოგადოებაში აღძრა დიდი ინტერესი ქართული ეპიგრაფიკული ლიტერატურისადმი.

მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ცნობილი ლინგვისტი ანდერს სეოგრენი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით 1836 წელს კავკასიაში გაემგზავრა. მას შედარებითი ფილოლოგიის თვალსაზრისით უნდა შეესწავლა ოსური ენა და ქართულ-სომხური მასალებიც უნდა შეეგროვებინა. სეოგრენი მეტად კეთილსინდისიერი და განსწავლული მეცნიერი იყო. მან შესანიშნავად გამოიყენა რეინეგისის, გულდენშტეტის და კლაპროტის ცნობები საქართველოს შესახებ და მიაკვლია ქართული მწიგნობრობის წყაროებს. ესტუმრა ქუთაისს, გელათს, გორს, თბილისს. თბილისში ქართულთან ერთად სომხური ენაც იმდენად შეისწავლა, რომ შედარებითი ლინგვისტიკური კვლევისათვის იყენებდა. სეოგრენი დაუკავშირდა საქართველოს ეგზარხოსს ევგენის, ნიკოლოზ ქუთათელაძეს — ქუთაისში, პლატონ იოსელიანს — თბილისში და მიიღო მათგან თანხმობა მიეწოდებინათ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიისათვის ქართული დოკუმენტები. პეტერბურგში დაბრუნებულმა აკადემიკოსმა სეოგრენმა რუს საზოგადოებას აუწყა, რომ საქართველოში არსებობდა ეროვნული ხელნაწერი ლიტერატურა და მრავალი უძველესი ძეგლი. რომელიც ფრიალ განსწავლულ მეცნიერს ელოდა. ასეთ მეცნიერად პეტერბურგში ფრანგი ორიენტალისტი მარი-ფელისიტე ბროსე ითვლებოდა. როცა სახალხო განათლების სამინისტრო იხილავდა პეტერბურგის უნივერსიტეტთან აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ჩამოყალიბების პროექტს, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალური კათედრის დაარსების შესახებ, სწორედ ბროსე ჰყავდათ მხედველობაში ხელმძღვანელად.



ამ დროს (1835 წ.) ბროსეს მეგობარი და მისი პეტერბურგში მოწვევის დიდი ინიციატორი აკადემიკოსი შარმუა ავად გახდა. ავადმყოფობამ და ოჯახურმა მდგომარეობამ აიძულა დაეტოვებინა პეტერბურგი. განთავისუფლდა ადგილი მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტისა.

განათლების მინისტრი გრაფი სერგეი უვაროვი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, პეტერბურგის სააზიო მუზეუმის დამაარსებლის, ცნობილი არაპისტი — ნუმისმატიკოსის ფრენისა და თვით შარმუას რჩევით, რასაც დიდად ხელს უწყობდა პარიზელი აკადემიკოსის სილვესტრ დე სასის რეკომენდაცია, ბროსეს კანდიდატურას აყენებდა აკადემიკოსის განთავისუფლებული სავარძლის მოსაპოვებლად. ქართული ლიტერატურის მოყვარულთა და ქართველ ემიგრანტთა წრეებიც, სადაც თეიმურაზ ბატონიშვილს საპატიო ადგილი ეჭირა, ხელს უწყობდნენ პარიზელი მეგობრის რუსეთში ჩამოსვლას. ბროსეს არქივში დაცულია ფრენის წერილები (დათარიღებულია 1836 წლის 21 მაისით და 20 იანვრით) სილვესტრ დე სასისა და ბროსესადმი, სადაც განათლების მინისტრის დავალებით დიდი სიამოვნებით ატყობინებდა მათ, რომ აკადემიკოსი-ადიუნქტის ადგილი განეკუთვნა ბროსეს. ფრენი უგზავნიდა ბროსეს პეტერბურგის სამეფო აკადემიის 1836 წლის 10 ივნისის სხდომის ოქმის ამონაწერს, საიდანაც ვიგებთ: სხდომაზე სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი ფრენი და აკადემიის პრეზიდენტის თანხმობით წინადადება შეიტანა სომხური და ქართული ლიტერატურის დარგში აკადემიკოს-ადიუნქტის ადგილი შეეთავაზებინათ პარიზის „სააზიო საზოგადოების“ წევრის მარი-ფელისიტე ბროსესათვის. ფრენი მოხსენებაში ხაზს უსვამდა ამ ორი ერის ლიტერატურის უდიდეს მნიშვნელობას და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის უშუალო მოწოდებათა სთვლიდა მათ შესწავლას. ამასთან ერთად ფრენი ასახელებდა ბროსეს შრომებს, რომელნიც დიდი მოწონებით სარგებლობდნენ ევროპის ორიენტალისტთა შორის და ასკვნიდა, რომ რუსეთს ეს მეცნიერი დიდ სარგებლობას მოუტანდა იმპერიაში შემავალ ხალხთა ენების ცოდნით. საკუთარი სიტყვის ჭეროვნად დასაბუთებისათვის, ფრენმა სხდომას წარუდგინა აკადემიკოსი

სილვესტრ დე სასისა და მარი ბროსეს მიერ პირადად ფრენისადმი მიწერილი წერილები. სილვესტრ დე სასი თავის ორ წერილში ფრენისადმი აღნიშნავდა ბროსეს მრავალმხრივ დამსახურებას ორიენტალისტიკაში და რეკომენდაციას აძლევდა ზემოდასახელებულ თანამდებობის მისაღებად. ფრენი თავის მხრივ აცხადებდა, რომ რუსეთში ბროსეს მეტოქე ამ დარგში არავინ ეგულებოდა.

სხდომამ ვიცე-პრეზიდენტის დასტურით გამოიტანა დადგენილება წესისამებრ გამოცხადებულიყო კონკურსი, რომლის ვადა 1836 წლის 30 ნოემბრამდე დაინიშნებოდა. კონკურსში მონაწილეობას მიიღებდა მარი-ფელისიტე ბროსეც, რომელსაც შედეგებს წერილობით შეატყობინებდნენ.

30 ნოემბერი მიიწურა. გამართლდა ფრენის სიტყვები. ბროსეს მართლაც მეტოქე არავინ გამოსჩენია. იგი 1836 წლის 14 დეკემბერს ერთხმად აირჩიეს სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის წევრად. არჩევნების საბოლოო დასტური მისცა 1837 წლის 7 აპრილს იმპერატორმა ნიკოლოზ I, რომლისადმი წარდგენილ დახასიათებაში განათლების მინისტრი და აკადემიის პრეზიდენტი სერგეი უვაროვი ბროსეს ერთ-ერთ უდიდეს ღირსებად სთვლიდა ჩინური ენის ცოდნას.

1837 წლის 18 ივნისს მარი-ფელისიტე ბროსე ოჯახით პეტერბურგს ჩავიდა. ასრულდა მრავალი წლის ოცნება... უკან დარჩა სამშობლო, ნათესაეები. მეგობრები...

ქართულ ლიტერატურულ წყაროებს მოწყურებული ბროსე ჩამოსვლისთანავე ეწვია რუმიანცევის მუზეუმს, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან აჩვენებულ აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტს. კერძო პირებს. ყველა იმ ადგილს, სადაც ქართული კულტურის პატარა საბუთიც კი ინახებოდა. და, პირველ ყოვლისა, ძვირფას ოსტატს თეიმურაზ ბატონიშვილს გაეცნო, რომელმაც ფართოდ გაულო როგორც თავისი მდიდარი ბიბლიოთეკის. ისე საკუთარი გულის კარიც და მრავალი ნაფიქრალი გადაუშალა.

პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე ბროსემ მიიღო თეიმურაზის წერილი: „საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ უცხადებთ პატივისცემით ფრიად უფალს როსიის აკადემიის წევრს, ბრო-

სეტსი რომელ აქ ვასილზს ოსტროვში, მესამე ლინიაზე ჩვენს სადგომს მოხვიდეთ, დღესა ამას ორშაფათს, ივნისის 7 (19) შუადღიდან მეორის საათს ნახევარზედა. პირველს შემთხვეულებში გაცნობადცა პირისპირა“.

შორით მეგობრობა მჭიდრო ურთიერთობაში გადაიზარდა. მათი წერილებიდან ვგებულობთ, რომ მათმა მეგობრობამ ოჯახებიც მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან. თეიმურაზ ბატონიშვილს ბროსეს ერთ-ერთი შვილი მოუხნათლავს და ყოველ ბარათში მოკითხვას უთვლის ბროსეს მეუღლეს. ოჯახური წვეულებანი ერთმანეთის გარეშე აღარ ეწყობა. აი თეიმურაზი წერს ბროსეს: „მოწყალეო ხელმწიფევე უფალო ბროსეტ. დღეს ექვსს საათს საღამოს აქ ჩვენს სადგომს მობრძანდი. ქორწილი იქნება ჩვენი დავით ივანიჩის ქალისა დარიასი. ჩვენს საყდარში დასწერენ ჭვარსა. გიამება ნახვა და დროსაც გაატარებ.“

უსაკუთრესად მეფის ძე ო ე ი მ უ რ ა ზ “.

ბროსეს კვლევა-ძიებას დიდად უწყობდა ხელს რუსეთის მეცნიერული საზოგადოება და მრავალი ადმინისტრაციული თანამდებობის პირიც. ერთ-ერთი მათგანი იყო საიმპერატორო საბჭოს წევრი, კავკასიაში ადმინისტრაციული მისიით აღჭურვილი სენატორი ბარონ დე ჰანი, რომლის მხარდაჭერით გამხენვებულმა ბროსემ შეადგინა წერილი, თუ როგორი სახის ლიტერატურული ძიება უნდა ჩაეტარებინათ საქართველოში. ეს წერილი წარუდგინა აკადემიას 1837 წლის 23 აგვისტოს სხდომაზე, იმ მიზნით, რომ აკადემიას გადაეგზავნა ბატონ დე ჰანისათვის. ამ წამოწყებამ კარგი შედეგი გამოიღო. აკადემიაში კერძო პირებმა დაიწყეს ქართული ხელნაწერების გადმოგზავნა. ჯეროვანი ნაყოფი გამოიღო აგრეთვე სყოგრენის მიერ დამყარებულმა ურთიერთობამ საქართველოსთან. ეგზარხოს ევგენის დახმარებით აკადემია მეტად საინტერესო ცნობებს იღებდა. პლატონ იოსელიანი და ნიკოლოზ ქუთათელაძე კი 1838 წლიდან კორესპონდენციების მეშვეობით ბროსეს პირადად დაუკავშირდნენ. პეტერბურგსა და მოსკოვში მცხოვრებმა ქართველებმა ფართოდ გაუღეს კარი ბროსეს. მის არქივში ინახება ბატონიშვილების კონსტანტინეს, ოქროპირის, დავითის, ბაგრატიისა და

ზაქარია ფალავანდიშვილის წერილები მოსკოვიდან; დიმიტრი მეღვინეთ-უხუცესის, ზაქარია ჭიჭინაძის. ნიკოლოზ ჩუბინაშვილის და სხვების — თბილისიდან. ყველა წერილი საქმიანია და ეხება ქართულ მწიგნობრობას ან სიძველეთა ძეგლებს. ბროსეს კორესპონდენციებში ვხვდებით პლატონ იოსელიანის მშვენიერი ფრანგულით (1838 წლის 2 ნოემბერი) დაწერილ წერილს, სადაც ავტორი სინანულს გამოთქვამს, რომ პირადად არ იცნობს ბროსეს, რომელმაც ამდენი შესანიშნავი ნაშრომი უძღვნა მის სამშობლოს. ამ წერილით იოსელიანი ატყობინებდა ბროსეს, რომ უგზავნიდა ქართულ ანბანს, მისი თაოსნობით გამოცემულს თბილისის სემინარიისათვის, ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობას“ და სხვ.

ბროსეს ინიციატივით პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ მრავალი ქართული ხელნაწერი შეიძინა. ზოგი გადააწერინა ბროსემ, ზოგი კი კერძო პირებისაგან საჩუქრად მიიღო.

პეტერბურგში ბროსე მისთვის ჩვეული გულმოდგინებით ამუშავებდა ქართულ მასალებს და ბეჭდავდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ ორგანოში „ბიულეტენ სიანტიფიკში“<sup>8</sup>.

პეტერბურგში ჩამოსვლის უმალ, როცა მხოლოდ მეორეჯერ ესწრებოდა სამეცნიერო აკადემიის სხდომას (1837 წლის 28 ივნისი), ბროსემ მოითხოვა ქართული შრიფტის ჩამოსხმა, რადგან მანამდე ძველი ხუცური შრიფტით იბეჭდებოდა ქართული მასალები. შრიფტი ორნაირი უნდა ყოფილაყო, მსხვილი — ტექსტებისათვის, წვრილი — შენიშვნებისათვის. წვრილი შრიფტი ჩამოისხა იმ მატრიცებზე, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილმა ბროსეს გააკეთებინა პარიზში.

1839 წელს ბროსემ საშუალო ზომის შრიფტიც მოინდომა და მეცნიერებათა აკადემიამ ეს თხოვნაც შეუსრულა.

1838 წლის 4 ივლისს, მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე გადაწყდა, რომ მარი-ფელისიტე ბროსე სამეცნიერო მივლინებით გამგზავრებულყო მოსკოვს, სადაც XVIII საუკუნის დასაწყისიდან მრავალი ქართველი გადმოსახლდა და ჩამოიტანა მშობლიური ლიტერატურის ნიმუშები. ბროსემ მოსკოვში ერთი თვე გაატარა 25 ივლისიდან 25 აგვისტომდე. ეს მეტად მკა-

რე დრო მან მოანდომა მოსკოვში მყოფი ქართველი საზოგადოების გაცნობას. მათ შორის ბევრს ჰქონდა შემონახული მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები. ბროსემ ინახულა ქართველთა მიერ დაარსებული სამი ეკლესია, საფლავები ეპიტაფიებით. შეისწავლა საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. მოსკოვში მას მუდმივ თან ახლდა აქ დასახლებული ქართული მწიგნობრობის მოყვარული პეტრე ქებაძე, რომელიც შემდეგში პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას ეხმარებოდა მოსკოვში არსებული ქართული ხელნაწერების შექენაში. მოსკოვში მოლოდინი გადაქარბებით გაუმართლდა ბროსეს. გაეცნო უმარავ არქეოლოგურ და ისტორიულ მასალას. მაგრამ არქივების საფუძვლიანად შესწავლისათვის დრო არ ეყო. ბროსემ ჩვეული ენერგიით მაინც შესძლო თავი მოეყარა დიდძალი მასალისათვის. აკადემიის მიერ გაცემული თანხა დოკუმენტების შესაძენად არ ჰყოფნიდა. ხშირად ვაჭრობაც უხდებოდა, რომ გამყიდველებისათვის ფასი დაეკლებინა და შეუსყიდველი არ დარჩენოდა რომელიმე ძვირფასი ხელნაწერი. ამის გამო ბროსე აკადემიკოს ფრენს რჩევისათვის მიმართავდა ხოლმე. ავალიშვილს ბიბლიოთეკაში უნახავს იერუსალიმიდან ჩამოტანილი პერგამენტზე გადაწერილი ძველი ხელნაწერები, რომლებაც ბროსეს დასახელებული ჰქონდა „ქართული ენის საფუძვლებში“. მათ შექენას განსაკუთრებით ცდილობდა და ფრენს ატყობინებდა — ყველა ერთად რომ შევისყიდოთ, თვითეული იქნებ 100 მანეთად დამითმონო.

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ შეიძინა ბროსეს მითითებული ხელნაწერები, რომელთა შორის იყო ბატონიშვილ ვახუშტის საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის ავტორიზებული სრული ტექსტი.

თეიმურაზ ბატონიშვილი მოსკოვში სწერდა ბროსეს: „მოდით მანდ მოსკოვში უსპენიის სობოროში... იქ არის ერთი ძვირფასის ქვებით შემკული გვირგვინი სადედოფლო, მეფის რუსუდანისა. გადმოწერეთ ხუცური ასომთავრულად დაწერილი. თუ თქვენ ვერ წაიკითხავთ, მე წაეიკითხავ აქ. სხვაც დაათვალიერე სომ არაფერია ქართული ხატი...“ (1838 წ. 8 აგვისტო).

პეტერბურგში დაბრუნებული ბროსე ჩამოტანილი მასალის დამუშავებას შეუდგა. მრავალი წერილი გამოაქვეყნა და მოხსენებები წაიკითხა მეცნიერებათა აკადემიის სხდომებზე ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ. ამავე დროს იგი შეუდგა ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიის თარგმნას. ეყრდნობოდა იმერეთის დედოფლის ანასეულ ხელნაწერს, რომელიც მეცნიერებათა აკადემიამ ანას ძის კონსტანტინესაგან შეიძინა. ხელნაწერის არსებობის ამბავი ბროსემ ჯერ კიდევ პარიზში ყოფნის დროს იცოდა ბარონ როზენკამპის წერილიდან, რომლის ნაწყვეტი გამოაქვეყნა „ქართული ენის საფუძვლების“ შესავალში. თარგმანი დაბეჭდა 1842 წელს შემდეგი სათაურით: „დეოდრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვილზე დაბეჭდული აკადემიკოსის ბროსეტისაგან“.

ამ პერიოდში ბროსე აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიის შესახებ, ქართულ წარწერებს აცნობდა საზოგადოებას. მრავალმხრივ მუშაობასთან ერთად, ბროსემ დაიწყო საჯარო ლექციების კითხვა ჯერ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში, შემდეგ კი უნივერსიტეტში. ლექციების ხელნაწერი დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში არსებულ ბროსეს არქივში. ხელნაწერი შეიცავს 372 გვერდს. დაყოფილია ექვს ნაწილად: შესავალი, გეოგრაფია, ენა, კანონმდებლობა, ზნე-ჩვეულებანი, ლიტერატურა. ლექციების კითხვა უნივერსიტეტში ბროსემ დაიწყო 1841 წლის იანვარში. ლექციები იკითხებოდა ერთი წლის განმავლობაში. ხოლო აკადემიაში ორი წლით ადრე. 1839 წლის იანვრიდან 1840 წლამდე. ლექციების კითხვა ჩქარა შეწყვიტა, რადგან თავისი ძირითადი საქმიანობის გამო მას მუშაობა უხდებოდა პეტერბურგის კერძო სკოლების ინსპექტორად და საჯარო ბიბლიოთეკის მცველად. ლექციებს ნებაყოფლობით. უჯამაგიროდ კითხულობდა, კვლავაც ხელმოკლედ იყო და ამიტომ იძულებული გახდა და საყვარელ წამოწყებას — ლექციების კითხვას თავი დაანება. ბროსემ პარიზშივე იცოდა, რომ ფუფუნებით ვერ იცხოვრებდა პეტერბურგში. ამის შესახებ თავის დროზე სწერდა ფრენი. მაგრამ გაჭირვების არ ეშინოდა და თან თა-

ვისი დაუშრეტელი ენერჯიის იმედი ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ფრენი იმასაც დასძენდა წერილში — განათლებული ფრანგი ძირითადის გარდა პეტერბურგში სხვა საქმესაც იშოვნის და როგორმე თავს გაიტანსო.

ბროსე პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას დიდ დახმარებას უწევდა ჩინური ენის ცოდნით. მან რუსულ ენაზე გამოაქვეყნა: — „Разбор Китайской Грамматики монаха Иакиифа“ (1839 წ.), ხოლო ფრანგულად — „ანგარიში მეცნიერებათა აკადემიისადმი სააზიო მუზეუმის ჩინური ბიბლიოთეკის შესახებ“ და „ჩინური მონეტების კრებული“ (1844 წ.). ბროსემ „სააზიო მუზეუმის“ ჩინური, მანჭურული და იაპონური ბიბლიოთეკის კატალოგი წესრიგში მოიყვანა და რედაქციულად დაამუშავა. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია არა ერთხელ აღნიშნავდა ბროსეს მრავალმხრივ საქმიანობას, მის ერუდიციას და შრომისმოყვარეობას<sup>8</sup>.

ბროსეს მრავალმხრივი საქმიანობიდან გამოირჩეოდა შრომები საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის შესახებ, რომლის წყაროები აღმოაჩინა მოსკოვში ხანმოკლე ყოფნის დროს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველია ბროსეს წერილები: „მონოგრაფია მოსკოვში მცხოვრები ქართველების შესახებ“, „მოსკოვისა და სანპეტერბურგის ქართული საფლავების წარწერები“, „კახეთის მეფეთა ბერძნულ ენაზე მიწერილი კორესპონდენცია რუსეთის მეფეებისადმი XVIII საუკუნეში“, „საქართველოს მეფის თამარის რუსი მეუღლის შესახებ“ და სხვ.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს დიდი ადგილი ეჭირა საქართველოს ისტორიაში. ბროსე პარიზიდან დაწყებული გამუდმებით ამუშავებდა ამ თემას და, რასაკვირველია, არ შეეძლო განსაკუთრებული ადგილი არ დაეთმო მისთვის.

მოსკოვში მოგზაურობა იმდენად ხანმოკლე აღმოჩნდა, რომ ბროსემ ვერ მოასწრო ყველა დოკუმენტის შესწავლა და ამიტომ ითხოვა განმეორებით გაეგზავნათ. აკადემიამ დააკმაყოფილა ბროსეს თხოვნა და იგი 1844 წლის 23 მაისს გაემგზავრა მოსკოვს, სადაც დაჰყო 12 სექტემბრამდე.

ბროსე მეტად დაძაბულად მუშაობდა ჯერ საფრანგეთში. შემდეგ რუსეთში. 20 წლის განმავლობაში თითქმის არ დაუსვენია. ამან უარყოფითად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე და 1845 წელს ავად გახდა. გადაწყდა საფრანგეთში წასულიყო ცოტა ხნით ჯანმრთელობის აღსადგენად და ოჯახური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად.

მაგრამ ბროსე არც მოგზაურობის დროს ისვენებდა. რუსეთიდან შინ მიმავალი კრაკოვში, ვარშავაში და ვენაში სომეხ მზითარიანთ კონგრეგაციის წევრებს ესტუმრა. შეიარა ვენეციისშიც, მოვლო იტალიის სამხრეთი ნაწილი. ნიკოდან გაემგზავრა ტულონს, სადაც ერთგული მეგობარი და კოლეგა შარმაუა ეგულეობდა. აქედან ავინიონის გავლით პარიზს ჩავიდა. მოგზაურობამ სამთვენახევარს გასტანა და წარმოსადგენია, რა „დასვენება“ შეხვდებოდა წილად ბროსეს, როცა 1845 წლის 15 ოქტომბერს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე უკვე ანგარიშს კითხულობდა ვენეციაში შეკრებულ ცნობების შესახებ.

1846 წლის 23 ოქტომბერს გარდაიცვალა დიდი ქართველი მოღვაწე თეიმურაზ ბატონიშვილი. ბროსემ ღრმად განიცადა ძვირფასი მასწავლებლისა და უახლოესი მეგობრის დაკარგვა. თეიმურაზი დაკრძალეს პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის ლავრაში. საფლავზე ბროსემ ქართულად წარმოთქვა გამოსამშვიდობებელი სიტყვა. რუსულად დაიბეჭდა სათაურით — „Грузинский царевич Теймураз“<sup>10</sup>. ბროსე ხაზს უსვამდა თეიმურაზ ბატონიშვილის პირად კეთილშობილ თვისებებს. მის დიდ დამსახურებას და ღვაწლს. უწოდებდა საყვარელ მასწავლებელს. ჩამოსთვლიდა იმ ნაშრომებს, რომლებსაც ბატონიშვილი გზავნიდა საფრანგეთში, სადაც ბროსე მათ თარგმნიდა და „სააზიო ჟურნალში“ ბეჭდავდა.

ბროსეს თეიმურაზის სახელი არასოდეს არ დაუვიწყია, ყველგან მადლიერებით იხსენიებდა მას. თეიმურაზ ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მეუღლემ ოთარ ამილახვარის ასულმა ელენემ, თავისი ქმრის მთელი ბიბლიოთეკა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას შესწირა და სურვილი გამოთქვა თეიმურაზის მიერ მრავალი წლის ნაღვაწი „საქართ-



ველოს ისტორია“ გამოეცათ. აკადემიამ ბროსეს დაავალა ეს საპატიო საქმე. მან შრომის არსებობის შესახებ ჭერ კიდევ საფრანგეთში იცოდა, რადგან 1835 წელს თეიმურაზი პეტერბურგიდან წერდა: „საქართველოს ისტორიას ვწერ, ვერავის ვენდობი... გამოგიგზავნი და შენ თარგმნე...“ თეიმურაზს ნაშრომი საფრანგეთში არ გაუგზავნია. შესაძლებელია დამთავრებული არ ჰქონდა. დამთავრებამდე ბროსეც ჩამოვიდა პეტერბურგში. შემდეგ თვითონ არ მოუსურვებია გამოცემა. ბროსემ დიდი კმაყოფილებით წაიკითხა შრომა და 1847 წლის 24 მარტს მეცნიერებათა აკადემიას წარუდგინა მოხსენება ამ ნაშრომის გამოცემის აუცილებლობის შესახებ, რის გამოც თეიმურაზის მეუღლეს წიგნის დასასტამბავად გამოუყვეს 3000 მანეთი. წიგნი გამოვიდა 1848 წელს, პეტერბურგში.

---

## მოგზაურობა საქართველოში

ბროსეს სიჭაბუკის ოცნებას ფრთები შეესხა. საქართველო — შორეული, იღუმალებით აღსავსე ქვეყანა, რეალური ვახდა და უკვე მზად იყო მიეღო უცხო ქვეყნის შვილი, რომელმაც ესოდენ უანგაროდ შეიყვარა იგი.

პეტერბურგში საქართველოდან გადმოგზავნილი კორესპონდენტების რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა და ასევე იზრდებოდა ბროსეს სწრაფვა საქართველოში გამგზავრებისა. ქართველებმა დაინახეს თუ არა, რომ მათი ეროვნული სიძველეები დიდ ინტერესს იწვევდა განათლებულ საზოგადოებაში როგორც ევროპაში, ისე რუსეთში, მაშინვე გახსნეს განძთა საღარიბო. დაიწყეს პეტერბურგში მონეტების, ქართული შრიფტის. ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების გაგზავნა ზოგი სასყიდლით, ზოგიც საჩუქრად. საქართველოდან მრავალ მასალას გზავნიდა ნიკოლოზ ქუთათელაძე, პლატონ იოსელიანი, ბარათაშვილი. მიტროპოლიტი ევგენი, დავით დადიანი; მოსკოვიდან — ზაქარია ფალავანდიშვილი, კონსტანტინე ბატონიშვილი, გიორგი ავალიშვილი, პეტრე ქებაძე, სვიმონ ტაბაძე. გურიიდან რუსეთში გადასახლებული, ქართულ ხელნაწერთა გადამწერი, სტამბის მუშაკი და პოეტი. პეტერბურგში მყოფი ქართველებიც არაფერს იშურებდნენ ბროსესთვის.

1846 წლიდან ბროსემ ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქართველოში მოგზაურობის იმ გეგმის განხორციელებას, რომლისთვისაც არანაკლები გატაცებით იბრძოდა 1830 წელს პარიზში. ამ ხანებში ბროსე გაცხოველებულ მიმოწერას აწარმოებდა თბილისში მცხოვრებ ნიკოლოზ ხანიკოვთან (კავკასიის

დიპლომატიური მისიის ატაშე). ნიკოლოზ ხანიკოვი თვითონაც გატაცებული იყო ორიენტალისტიკით, განსაკუთრებით კი კავკასიის შესწავლით და ხელს უწყობდა ბროსეს საქართველოში ჩამოსვლას. მან მეფის ნაცვალს მიხეილ ვორონცოვს ბროსეს საქმიანობა გააცნო და მისი საქართველოში ჩამოსვლის მნიშვნელობა განუმარტა. ვორონცოვმა დახმარება აღუთქვა. ხანიკოვმა 1846 წლის 2 მარტს წერილობით აცნობა ბროსეს, რომ მის ჩამოსასვლელად უკვე ყველაფერი მზად იყო.

ბროსემ საქმის ვითარება აკადემიას აცნობა. მის გამგზავრებას ისევე, როგორც მანამდე, სეოგრენის გამგზავრებას საქართველოში, ხელს უწყობდა აკადემიის ორიენტალისტიკის დეკანი აკადემიკოსი ფრენი. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, განათლების მინისტრი უვაროვი წერილობით დაუკავშირდა მიხეილ ვორონცოვს, რომელმაც იკისრა ხარჯები ბროსეს მოგზაურობისა, რაც ერთ წელს უნდა გაგრძელებულიყო.

1847 წლის 5 ნოემბერს ბროსე მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე წარსდგა მოხსენებით და მსმენელთ საქართველოში გამგზავრების გეგმა გააცნო. მოხსენების შესავალში ბროსე ამბობდა, რომ საქართველო XV საუკუნის მიწურულიდან მრავალ მოგზაურთა ყურადღებას იპყრობდა, თუ არაფერს ვიტყვით მათზე, რომლებიც მონღოლთა ბატონობის დროს მოგზაურობდნენ, მაგრამ ქვეყნის დეტალურად შესწავლას არ ისახავდნენ მიზნად. ქრისტიან მისიონერთაგანაც დიდი არაფერი შემორჩენილა, გარდა ლამბერტის და გალანუსის საკმაოდ საინტერესო ნაშრომებისა. ცნობილი მოგზაურებიც დიდს არაფერს იძლეოდნენ. შარდენი სპარსეთში მოგზაურობისას შემთხვევით მოხვდა საქართველოში; ტურნეფორს ფლორა აინტერესებდა; პეტრო დელლა ვალი მოგზაურობის მოყვარული იყო მხოლოდ; გულდენშტეტი ეთნოგრაფად მოეველინა საქართველოს და განსაკუთრებით ბუნებისმეტყველება აინტერესებდა; კლაპროტსაც ბევრი არაფერი გაუკეთებია; ხოლო გამბა საფრანგეთის პოლიტიკური და კომერციული აგენტი იყო; ეიხვალდი — ნატურალისტი და არქეოლოგი; კოხი — ბოტანიკოსი და გეოგრაფი; როზენი — ფილოლოგი; ყველაზე ვრცელი დიუ-

ბუა იყო, მაგრამ მას მხოლოდ ბუნება და ხელოვნება იტაცებდა. ყველა მათი ნაშრომით მარტოოდენ საერთო წარმოდგენის შექმნა შეიძლება და ქვეყნის ისტორიისა, ფილოლოგიისა, ეთნოგრაფიისა და სიძველეთა შესწავლის მხრივ არაფერს იძლევა. ამგვარად, საქართველო შეუსწავლელი იყო და ბროსე აპირებდა არსებული ისტორიული მასალების, გეოგრაფიულ აღწერილობათა, ფაქტიური ცნობების შეკრებას, 1842 წელს გამოქვეყნებული ვახუშტის რუკების შემოწმებას. ლიტერატურის შესწავლის მიზნით ბროსეს განზრახული ჰქონდა ძველ ლიტერატურულ ძეგლებთან ერთად თანამედროვე თხზულებებსაც გასცნობოდა. შეესწავლა საეკლესიო ლეგენდები, რომლებიც საერო ცხოვრების ისტორიადაც მიაჩნდა. კერძო თუ საერო ქრონიკების, საეკლესიო თუ საოჯახო სიგელ-გუჯრების ნახვაც აინტერესებდა. აპირებდა თბილისის ოფიციალურ არქივებში გადაეწერა რაც შეიძლება მეტი მასალა, რომელთა დახმარებით შესძლებდა ქართველი ერის ისტორიის დადგენას. კერძო პირთა კუთვნილი ხელნაწერებიც გამოკვლევას ვრცელ 'ამოქმედო ასპარეზს წარმოადგენდა. ბროსე აგრეთვე დიდ როლს ანიჭებდა საქართველოში არსებულ ზეპირგადმოცემებსაც.

ბროსეს მოგზაურობის პროექტი მოიწონა მეცნიერებათა აკადემიამ, განათლების მინისტრმა და მინისტრთა საბჭომ. 1847 წლის 13 აგვისტოს ბროსე საქართველოში გაემგზავრა.

მგზავრობისათვის ბროსემ ტარანტასი შეიძინა, როგორც იმ დროს იყო მიღებული. გზა მიიმართებოდა პეტერბურგიდან მოსკოვის, ტულის, ვორონეჟის, ნოვოჩერკასკის, სტავროპოლის, გეორგიევსკის და ვლადიკავკაზის გავლით თბილისამდე. ეს 2754 კილომეტრი ბროსემ დღისა და ღამის შეუსვენებელი მგზავრობით 18 დღეში გაიარა. თბილისს 31 აგვისტოს ჩაუვიდა. ქართველი საზოგადოება გულთბილად შეხვდა თავის მეგობარს. მისი ჩამოსვლის შესახებ აცხადებდა გაზეთი „კავკაზი“ (№ 1, 1848 წ.) „ბ-ნი ბროსეს ჩამოსვლა ტფილისში“. ამ წერილში ლაპარაკი იყო ბროსეზე, როგორც პირველ მეცნიერზე, რომელმაც დიდი შმაგი დასდო საქართველოს ძველი კულტურის ძეგლების შესწავლას. გაზეთი აღნიშნავდა — ბროსე სა-

ქართველოში ჩამოვიდა იმისათვის, რომ უფრო ახლოს გაეცნოს საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურას. ქართველი ხალხი ბროსეს აღტაცებით შეეგება და 23 დეკემბერს დიდი წვეულებაც გადაუხადეს. ბროსე ეწვია როგორც ოფიციალურ პირებს, რომლებზედაც დამოკიდებული იყო მისი მოგზაურობის ბედი საქართველოში, აგრეთვე ქართული კულტურის მოღვაწეებსაც. ინახულა საქართველოს ეგზარხოსი ისიდორე, რომელმაც ბროსეს განუცხადა, რომ აქ უამრავი ხელნაწერია შესასწავლიო და გადასცა სვანეთიდან მისი დავალებით ჩამოტანილი, პერგამენტზე დაწერილი წმინდა აბოს ცხოვრება.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ბროსემ გამოაქვეყნა წერილი „საქართველოს სიძველეთა შესწავლის საჭიროებისა და საშუალებათა შესახებ“ (გაზეთი „კავკასკი კალენდარი“. 1848 წ.), რომლითაც საქართველოს საზოგადოებას აუწყებდა თავისი ჩამოსვლის მიზანს და სთხოვდა ხელი შეეწყო მისი კვლევისათვის და შეძლებისამებრ მოეწოდებინა საჭირო მასალები. ბროსეს საქართველოში ყოფნის ვადა შეზღუდული იყო და იგი ვერ მოასწრებდა ყველა კუთხის ნახვას. წერილს კი წაიკითხავდნენ არა მარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს მცხოვრებნი და ფრანგ მკვლევარს საინტერესო ცნობებს გაუგზავნიდნენ. ცნობები და მასალები კი, აუწყებდა ბროსე მათ, უამრავია საქართველოში, რომელიც ესოდენ მდიდარია არქეოლოგიური სიძველეებით, ეპიგრაფიკული დოკუმენტებით, წარწერებით, ხელნაწერებით. წერილის რუსული ვარიანტი ხანიკოვს ეკუთვნოდა. ბროსე თბილისში ყოფნისას მასთან ცხოვრობდა და მასპინძლის ორიენტალისტიკის დიდი ცოდნით სარგებლობდა. ხანიკოვმა ბროსეს გადასცა თეთრი წყაროს, ჭვარი პატიოსნის წარწერები და ბოლოს, რადგან ზროსეს დრო აღარ რჩებოდა, მის მაგივრად ანისიკ მოიარა და მეტად საჭირო ცნობები ჩამოუტანა.

1847 წ. 12 სექტემბერს ბროსე გაემგზავრა თელავს, სადაც 26 სექტემბრამდე დაჰყო. გზად მარტყოფიც მოინახულა. ეწვია ალავერდს, იყალთოს. თელავში მასპინძლობას რაფიელის მამა დავით ერისთავი უწევდა. მან ბროსე წაიყვანა ქისტაურში თუშეთის, ალვანის ველის სანახავად. სოფელ მატინში დაე-

სწრნენ ლეკების მიერ მოკლულ მიხეილ ჩოლოყაშვილის დასაფლავებას, რომელზედაც სიტყვა წარმოთქვა რაფიელ ერისთავმა და თავისი განათლებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბროსეზე. მათი ნაცნობობა, მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა ბროსეს სიცოცხლის დასასრულამდე არ შეწყვეტილა. ბროსემ აქ გაიცნო თუში, თბილისის სემინარიადამთავრებული მღვდელი, იობი ცისკარიშვილი, რომელიც შესანიშნავად ლაპარაკობდა რუსულ ენაზე. შემდგომ ცისკარიშვილი დიდ დახმარებას უწევდა ბროსეს: პეტერბურგში გაუგზავნა „ახალი აღთქმის“ თუშური ტექსტი, ქისტური და თუშური ლექსები, რუსულ-თუშური ლექსიკონი, თუშური გრამატიკა.

დავით ერისთავი ქართული გულუხვობით გაუმასპინძლდა ბროსეს და თავისი ბიბლიოთეკაც გააცნო. ამ შესანიშნავი, დიდად განათლებული ქართული ოჯახით მოიხიბლა ბროსე. განსაკუთრებით აღტაცებაში მოიყვანა რაფიელ ერისთავის უმცროსმა დამ ანამ, ჰავკავაძის მეუღლემ. დიდად ნაკითხმა და ინტელექტუალურად განვითარებულმა ქალმა.

1848 წლის 7 აპრილიდან 12 აპრილამდე ბროსე იმყოფებოდა გორში. მას აქაც დიდი ამბით შეხვდნენ. 11 აპრილს გორის თავადაზნაურობამ წვეულება გაუმართა ბროსეს და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. მართლაც. გორის რაიონში, ატენსა თუ გორისჯვარში, რუისსა თუ ურბნისში მოგზაურობის დროს მას ნიადაგ თან ახლდნენ გიორგი, ელიზბარ და კონა ერისთავები, დიმიტრი მეღვინეთ-უხუცესი.

ბროსემ მოიარა ქუთაისი, ზუგდიდი, აფხაზეთი. მონაბნულა ბიჰვინთა, ლეჩხუმი, სვანეთი. დაბრუნებისას განსაკუთრებული ყურადღებით დაათვალიერა გელათის მონასტერი, შემდეგ ისევ ქუთაისი, რაჭა და ჩხერიმელას, ბორჯომის ხეობისა და სურამის გავლით გორში დაბრუნდა. აქ ჩრდილოეთი რაიონები მოიარა და 4 ივლისს თბილისში ჩამოვიდა.

ბროსემ საქართველოში მოგზაურობისა და იქ აღმოჩენილი მასალების შესახებ პეტერბურგში გაგზავნა მრავალი წერილი და მოხსენება. პირველი მოხსენება გაუგზავნა პეტერბურგის განათლების მინისტრსა და აკადემიის პრეზიდენტს უვაროვს.

იმისდამიხედვით თუ საქართველოს რომელ რაიონებს ეს-

ტუმრებოდა, ბროსე დაწვრილებით ანგარიშს აწვდიდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას. ანგარიში პირადი წერილის სახით იწერებოდა. აღწერილი იყო თბილისის მიდამოები. ახლო მდებარე სოფლები, იქ ნაპოვნი წარწერები და ხელნაწერები. მეორე ანგარიშში პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის სექციისადმი, ბროსე იუწყებოდა, რომ დაბეჭდა წერილი — „საქართველოს სიძველეთა შესწავლის საჭიროებისა და საშუალებათა შესახებ“. ამავე დროს აღნიშნავდა იმ დიდ დახმარებას, რომელიც პლატონ იოსელიანმა გაუწია მას საქართველოში ყოფნისას, საერთოდ და კერძოდ, ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ გავრცელებაში. ბროსეს; ჩანს, თან ჩამოუტანია ამ ლექსიკონის ეგზემპლარები სწორედ ამ მიზნით. ბროსე აღნიშნავდა პლატონ იოსელიანის დიდ განსწავლულობას, ასახელებდა ორ ნაშრომს საქართველოს ისტორიიდან (ერთი მცხეთის შესახებ, ხოლო მეორე დიდ მოურავზე).

მესამე წერილი ბროსემ გაუგზავნა ვორონცოვს, ასლი კი პეტერბურგში — დასაბეჭდად. აქ აღნიშნული იყო მოგზაურობა მცხეთაში იოსელიანის თანხლებით, შემდეგ კი მოგზაურობა ახალციხეში.

ბროსე მოხსენებებთან ერთად პეტერბურგში გზავნიდა წეგროვილ დოკუმენტებს და მათ აღწერილობას ათავსებდა აკადემიის ბიულეტენში. 1848 წლის 9 მარტს პეტერბურგში გაგზავნა ამანათი, სადაც მოთავსებული იყო შამილის არძიაში მომსახურეთა წარჩინების 3 განმასხვავებელი ნიშანი, მონეტები, ქვები წარწერებითურთ, ქართული ხელნაწერები და სხვ.

ბროსეს მეოთხე ანგარიში ოთხ წერილად გამოქვეყნდა. იგი გადმოსცემდა ბროსეს ლიტერატურულ ძიებას ქართული სინოდის წიგნსაცავში და ეჩმიაძინის ბიბლიოთეკაში. აქვე ვხედავთ საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის დადგენის ცდასაც.

ბროსემ მოგზაურობის დროს მკიდრო კავშირი დაამყარა ქართველებთან, დააინტერესა ისინი საქართველოს კულტურის კვლევით. დიმიტრი მელვინეთ-უხუცესი გორსა და მის რაიონებში თან ახლდა მას და მისი გამგზავრების შემდეგ, ვო-

რონცოვის ნებართვით, რამდენიმე თვე მოანდომა იმ ადგილებს გამოკვლევას, რომლის შესწავლაც ვერ მოასწრო ფრანგმა მკვლევარმა. დ. მელვინეთ-უხუცესის მიერ ხიდისთავისა და სურამის რაიონებში ჩატარებული არქეოლოგიური ძიების შედეგები (სახელდობრ წარწერები, მეფე ერეკლე II ლაშქრობა ინდოეთში და სხვა ხელნაწერები) ბროსემ გააცნო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას და აღძრა შუამდგომლობა დიმიტრი მელვინეთ-უხუცესი არქეოლოგ-მაძიებელთა რიგებში მიეღოთ. დიმიტრი მელვინეთ-უხუცესი აკადემიის მაძიებლად ჩაირიცხა. მალე დიმიტრის მიერ გაგზავნილმა მასალებმა პეტერბურგს ჩააღწია. ბროსემ ეს მასალები თარგმნა და სამ წერილად გამოაქვეყნა. თან ავტორს გამოუგზავნა ინსტრუქცია და მარშრუტი არქეოლოგიური მოგზაურობისათვის. ეს ინსტრუქცია ბროსეს მიერ რუსულად თარგმნილი დაიბეჭდა 1852 წლის „კავკაზის“ 35 ნომერში.

ბროსე კერძო წერილებში (დაცულია მის არქივში) გულთბილად ესაუბრება თავის კორესპონდენტს: „დიდიხანია არ მიმიღია წერილი თქვენი, არც მოგზაურობის აღწერა. მეშინოდა, დაიკარგა ჩემის მიზეზითაო. ასე ვფიქრობდი: მადლობა ღმერთს, არაფერი ცუდი არ შეგემთხვა და უფრო კარგი გინახათ“. ბროსე მოგზაურობის შესახებ წერდა მელვინეთ-უხუცესს: „ექვი ნუ გექნება, რაც რაიმე საინტერესო და ცოტა მაინც ღირსეული იქნება, დიდ ყურადღებას მივაქცევ და წარვუდგენ უფროსებს“. ყოველ წერილში არიგებდა დიმიტრის თუ როგორ ჩატარებინა ძიება: „ჯერ სომხითი ნახე, მერე დუშეთი, შემდეგ იმერეთი. რაც შეგხვდეთ, გადმიწერეთ ისე. როგორც არის, ნურც მიუმატებთ, ნურც დააკლებთ“. ზოგჯერ მეგობრულად უწყობდა კიდევ: „ცოტა უნდა დაგტუქსოთ. ალაგებისა და გზის აღწერაში ხელმოკირებული იყავით. მსუროდა, რომ აღგეწერა რომლის გზით გივლია, ერთის ალაგიდამ მეორეზე, რომელი მდინარე, რომელი სოფელი, ციხე, ტყე გაიარეთ. მე უცხო ვარ და იმისათვის დიდი სწავლა ჩემი იქნებოდა ადგილების დანიშვნა“. ამავე წერილებიდან ჩანს, რომ ბროსე პეტერბურგში მყოფ ქართველთა მდგომარეობაზეც ზრუნავდა. ვილაც ონისიძე უადგილოდ ყოფილიყო და ბროსე



ძლიერ წუხდა. შემდეგ უშოვნია მისთვის ადგილი და ახლა ის აღელვებდა, რომ ამ ონისიმეს რაღაც „ეგზამენი“ უნდა ჩაება-რებინა.

საქართველოში მოგზაურობის ცალკეული ანგარიშების სა-ერთო მონახაზს წარმოადგენს წერილის სახით დაწერილი პე-ტაჟი მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორ საფონოვისად-მი. ხოლო საბოლოო ანგარიში 1851 წელს გამოიცა პეტერ-ბურგში სამ ბროშურად.

ბროსეს მოღვაწეობის გზა სულ მუდამ ყვევილებით როდი იყო მოფენილი, როცა ისეთი სერიოზული საქმისათვის რო-გორიც საქართველოში მოგზაურობა იყო, მხოლოდ ერთი წე-ლიწადი მისცეს, ისიც მგზავრობის ჩათვლით. ეს იმ დროს, რო-დესაც თავის ადრინდელ გეგმებში ბროსეს მოგზაურობისათვის 4 წელი ჰქონდა გათვალისწინებული. ამ არასახარბიელო მდგომარეობის გამო და იმისათვის, რათა თავისი მიზანი განე-ზორციელებინა, ღვაწლმოსილი მეცნიერი საკუთარ შრომებს მა-ღალი თანამდებობის პირთ უძღვნიდა ხოლმე. ზემოაღნიშნულ ნაშრომიც, რომელიც საქართველოში მოგზაურობის საბო-ლოო ანგარიშს წარმოადგენს, მან ვორონცოვს უძღვნა.

საქართველოთი და ქართველებით აღტაცებული ბროსე 1848 წლის 23 ივლისს თბილისს გამოემშვიდობა და უამრავი დოკუმენტებით დატვირთული 8 აგვისტოს პეტერბურგს ჩავიდა.

## ბროსე ქართული ენისა და ლექსიკოგრაფიის შესახებ

ბროსე ქართული წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას შეუდგა. თავდაპირველად ლიტერატურის მეტად მცირე მასალას ფლობდა და მისი ლინგვისტური კვლევა ძლიერ შეზღუდული იყო.

მის არქივში<sup>11</sup> დაცული ხელნაწერები წარმოადგენენ ბროსეს პირველ ვარჯიშს ქართულ წერაში. აქ ვხვდებით უთარილო ხელნაწერს ქართული სათაურით: „ძირით ლექსიკონი, ქართულისა და ფრანციცულისა ენასა ზედა, თხზული ბროსეტის მიერ“. ლექსიკონი ძირითადად ემყარება „ახალ აღთქმას“ და ვანლაგებულია სიტყვათა ძირების მიხედვით.

ბროსე უდიდეს ყურადღებას აქცევდა ლექსიკონის შედგენას ზმნათა და სახელთა ძირების მიხედვით. ამიტომ სიტყვები ძირთა ანბანური განლაგებით ჰქონდა შედგენილი. ლექსიკონის ანალიტიკურად შესასწავლად ეს მიაჩნდა მას ერთადერთ რაციონალურ მეთოდად, რომელსაც იყენებდა ცნობილი ფრანგი ლექსიკოგრაფი ანრი ეტიენი ებრაული ლექსიკონის შედგენისას. ამ მეთოდს ერთი რამ აკლდა: მკითხველმა თუ ენა კარგად არ იცოდა, სიტყვათა მონახვა უძნელდებოდა. ბროსე ამგობინებდა ლექსიკონის ანბანურ განლაგებას ძირების ინდექსს<sup>12</sup>, რაც თვალსაჩინოს ხდის ენის ხასიათსა და ბუნებას. განსაზღვრავს მის ადგილს შედარებით ლინგვისტიკაში.

ბიბლიის, საქართველოს ისტორიის ფრაგმენტის, ვახტანგისეული „ქართული სამართლის“; „ვეფხისტყაოსნის“ ორი ხელნაწერის გაცნობის შემდეგ ბროსემ 1827 წლის 4 ივლისს „სააზიო საზოგადოების“ სხდომაზე წაიკითხა მოხსენება—„ცნობე-

ბი ქართული ენის შესახებ“ („სააზიო ეურნალი“, 1827 წ., № 10), რომელიც წარმოადგენდა მისი ქართველოლოგიური კვლევის პირველი შედეგების მიმოხილვას. ამ შრომაში ბროსე ცდილობდა დაედგინა ქართული ენის კატეგორია, განეხილა მისი აღნაგობა, მაგრამ გრძნობდა და ჩვეული გულწრფელობით აღიარებდა, რომ ფართო მეცნიერული ლინგვისტური კვლევისათვის არ გააჩნდა არც მასალა და არც ცოდნა. ბროსე მიიჩნევდა, რომ გრამატიკა და ლექსიკონი პირველი აუცილებელი იარაღია უცხო ლიტერატურის შესასწავლად, რომელთაგანაც ერთი შეიცავს სასაუბრო ელემენტებს, ხოლო მეორე — მის კანონებს; ერთი იძლევა მასალას, მეორე — მისი გამოყენების საშუალებებს და ამგვარი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელია ადამიანი ღრმად, ფილოსოფიურად განსწავლული იყოს, რასაც ვერ ამართლებდნენ ავტორები იმ ლექსიკონებისა და გრამატიკისა, რომელიც ხელთა ჰქონდა. სენ-მარტენის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი გოდერძი ფირალოვის ქართულ-რუსული ლექსიკონი, ირბახისა და მაჯიოს ლექსიკონები სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებდნენ ბროსეს მოთხოვნილებას ღრმად ჩასწვდომოდა ქართულ ენას და გაეცნო ლიტერატურის შედეგებს.

უკეთესის უქონლობის გამო ბროსემ თარგმნა ფირალოვის «*Самоучитель содержащий в себе Грамматику, разговоры, Нравоучения и Лексикон на Российском и Грузинском языках*».

საშრომი არ გაქოქვეყნებულა. დაცულია ბროსეს არქივში. აქვეა ფირალოვის წიგნის საფუძველზე ბროსეს მიერ შედგენილი ყველაზე ხშირად ხმარებული ტერმინების ლექსიკონი ქართულად და ფრანგულად. ასევე დაცულია ბროსეს ხელით დაწერილი რუსული გრამატიკა დათარიღებული 1829 წლის 21 აგვისტოთი.

ბროსე ქართული ენის კვლევის დასაწყისში ხუცურ დამწერლობას სომხეთიდან საქართველოში შემოტანილად თვლიდა. სახელდობრ, წმინდა მესროპიდან, რომელმაც მეხუთე საუკუნეში სომხებს (აგოვანებს) შეუქმნა ანბანი. იგი ერთგვარ მსგავსებასაც პოულობდა სომხურ დამწერლო-

ბასთან. თუმცა აქვე აღნიშნავდა, რომ მსგავსება მხოლოდ მოჩვენებითიაო. ბროსე ამის ნიმუშად მიიჩნევდა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცულ ორ ხუცურ ხელნაწერს — ერთს საეკლესიოს — წარმოადგენდა ლეგენდებს, მეორე — ნაწყვეტები იყო ახალი აღთქმიდან. ბროსე გაკვირვებას გამოთქვამდა, რომ ესოდენ ძნელი დამწერლობა ქართველებს XIV საუკუნემდე გაჰყვათ და მხოლოდ ამ საუკუნეში კალენდრების შემოღებასთან ერთად (1313) შემოიღეს ხალხური ანბანი, რომელსაც მხედრულს უწოდებენო.

ბროსეს აქ დაშვებული აქვს შეცდომა. მხედრული ჩამოყალიბდა XI საუკუნეში, თუმცა ხუცური ამის შემდეგაც კარგა ხანს შერჩა ქართულ დამწერლობას.

ქართული დამწერლობის შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა ბროსეს: ქართველებს არც მესროპისაგან და არც სხვათაგან არ მიუღიათ ანბანი და დამწერლობაო („ქართული ენის შესახებ“ — „სააზიო ჟურნალი“, 1827 წ., ტ. XI). თეიმურაზი, ამასთან ერთად უგზავნიდა ქართულ გაზეთს — „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (1832 წ., № 1), სადაც დაბეჭდილი იყო სოლომონ დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)“. ავტორი ქართულ მწერლობასა და დამწერლობაზე ლაპარაკობდა და ამტკიცებდა ქართული ენის—*sui generis*—თვითმყოფად ხასიათს. თეიმურაზ ბატონიშვილი ამავე მიზნით ბროსეს ატყობინებდა, რომ პეტერბურგში დაცულია მონეტები ხუცური წარწერებით, რომლებიც საქართველოში ქრისტიანობის შემოღებაზე აღრინდელია და, რალა თქმა უნდა, მესროპისაგან დავალებული არ შეიძლება ყოფილიყო.

თეიმურაზ ბატონიშვილმა 1833 წელს ბროსეს გაუგზავნა ანტონ კათალიკოსის „ლრამმატიკა“ და თავისი ძმის დავით ბატონიშვილის „საღრამატიკოსო ხელოვნება მეფის-ძის დავითის მიერ“, რომელთა პირები ბროსეს მიერ გულმოდგინედ გადაწერილი, დაცულია მის არქივში. ამ შრომებმა ბროსეს საშუალება მისცა დაეგვირგვინებინა ჯერ კიდევ 1824 წელს დაწყებული ქართული გრამატიკის შედგენა. მით უმეტეს, რომ იგი ალტაცებული იყო ანტონ კათალიკოსის გრამატიკით,

რომელსაც „განსაცვიფრებელს“ უწოდებდა და დაუფასებელ საუნჯედა სთვლიდა. ანტონ კათოლიკოსს კი დიდი განსწავლულობის გამო, რომელ მეცენიუსს ადარებდა. ბროსემ თავისი შრომა ცალკე წიგნად გამოსცა და ფრანგულთან ერთად ქართული სათაურიც მისცა: „ხელოვნება აზნაურებითა, გინა ქართულის ენისა თვთ მასწავლებელი“. ბროსეს არც ეს ნაშრომი შეუქმნია თეიმურაზ ბატონიშვილის შემწეობის გარეშე. თავის ძალებში დარწმუნებული არ იყო და ეშინოდა თეიმურაზის მსჯავრისა. თეიმურაზი ამის გამო მეგობრული ხუმრობის კილოთი წერდა ბროსეს: „შენის გრამატიკისა მომწერე გაშინჯვა, ზოგი გავშინჯე და ზოგსაც ვშინჯავ. მაგრამ რათ დამწამე ცილი, მე ისე არ აღმიჩივიხარ რომ ვიციხო ამაზედ. რა ექვიანი კაცი ყოფილხარ. ამ შენს ექვებზეც კი გავიცინებ ნუ გასჯავრდები... დიალ, საქებ არის გულმოდგინეობა და შრომა შენი...“

ბროსეს მეტად აღელვებდა ამ შრომის ბედი, მით უმეტეს, რომ თვითონ ხედა წილად არასრულყოფილი გრამატიკებისა და ლექსიკონების მეშვეობით დაუფლებოდა ქართულ ენას, ამიტომაც ათი წლის წინათ დაწყებულ ნაშრომს კვლავ უეიროკიტებდა და გამოცემის შემდეგაც არ შორდებოდა, სანამ 1837 წელს საბოლოო სახე არ მისცა და ფუნდამენტური შრომა — „ქართული ენის საფუძვლები“ — არ გამოაქვეყნა. ბროსეს გრამატიკის 1834 წლის გამოცემამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია ევროპის ორიენტალისტთა შორის, რადგანაც ჭერჭერობით მსგავსი არაფერი შექმნილიყო და მოთხოვნილება კი იზრდებოდა.

ბროსეს გრამატიკას მიუძღვნეს წერილები ორიენტალისტებმა რეინომ, ბურნუფმა, „სააზიო საზოგადოების“ მდივან-ადიუნქტმა სტალმა, დელეკლუზმა, სეოგრენმა.

ამ ხანებში „სააზიო საზოგადოების“ პრეზიდენტმა სილვესტრ დე სასიმ სამეფო ბიბლიოთეკას შესძინა მეტად ძვირფასი ხელნაწერი — იოანე იალღუძის მიერ გადაწერილი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“.

ბროსეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. „აღმოვჩინდი მფლობელი ორი გრამატიკისა (ერთი მათგანი იყო თეიმურა-

ზის ძმის დავითის მიერ შედგენილი), რომელთაგან ანტონის გრამატიკა არის დაუფასებელი განძი“ — ამბობდა ბროსე („ახალი სააზიო ჟურნალი“, 1834 წ., ტ. XIII).

ბროსე ისწრაფოდა ევროპელთათვის გაეცნო სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, რომლის შესახებ თეიმურაზი წერდა: „საბას წიგნები რომ გიშოვნია დიახ კარგი არის ქართულის ენისათვის. ხშირად იკითხეთ...“

„სიტყვის კონისადმი“ მიძღვნილი წერილის დასაწყისში ბროსე იძლეოდა ორბელიანის ვრცელ ბიოგრაფიას. შემდეგ კი მიმოიხილავდა რა ლექსიკონს, აღნიშნავდა: — ჩანს საქართველოში ამ ლექსიკონზე აღრე არსებობდა სხვა ლექსიკონიც, რომელიც დაკარგული იყო იმ დროს, როცა სულხან-საბა შეუდგა თავისი თხზულების შედგენას. ბროსე დასძენდა, რომ ავტორს „სიტყვის კონის“ შედგენისას უსარგებლია როგორც ქართული, ისე სომხური და სხვა ენებიდან თარგმნილი ავტორების შრომებით. ბროსე აღნიშნავდა დაახლოებით 26 ავტორს, რომელთა ნაწარმოებებითაც სარგებლობდა ქართველი ლექსიკოგრაფი. აქედან ბროსე ასახელებდა „ბარამიანს“, რომელიც ცოტა ხნის წინათ შეეძინა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკას, იოანე დამასკელს, უცნობ დიალოგებს, რომლებიც ბროსეს პლატონისეულად მიაჩნდა, „დარეჯანიანს“, „ვისრამიანს“ და „როსტომიანს“, რომელთა სახელწოდება იყო მისთვის მაშინ მხოლოდ ცნობილი, და რაც მთავარია, „ბიბლიას“. რომელსაც ბროსე ყოველთვის ქართული ენის საძირკვლად თვლიდა.

ბროსე დაწვრილებით განიხილავდა „სიტყვის კონას“ და აღნიშნავდა: ლექსიკონი 15004 სიტყვას შეიცავს. მაგრამ იქ იმდენი განმარტებაა მოცემული, რომ ორჯერ მეტად იზრდება სიტყვათა რაოდენობა. ბროსე ხაზს უსვამდა სულხანის მიერ სინონიმთა უხვად და დაწვრილებით გადმოცემას.

სულხან-საბას ლექსიკონმა ბროსეს თვალწინ გადაუშალა ქართული ენის სიმდიდრე, მისი გრამატიკული ფორმების სიუხვე, მარტივი თუ თხზული სიტყვების შექმნის დიდი შესაძლებლობანი. იგი მეტად დააინტერესა ამ შესანიშნავმა ლექსიკონმა, არა ერთხელ დაუბრუნდა მას სხვა ნაშრომებშიაც,

სადაც სულხან-საბა ორბელიანის ნიკს მაღალ შეფასებას აძლევდა და თვლიდა ღირსად იმ მოწონებისა, რომელსაც იმსახურებდა თავის სამშობლოში („მოხსენება ბ.-ნი დ. ჩუბინოვის ქართულ-რუსულ-ლათინური ხელნაწერი ლექსიკონის შესახებ“ — „ბიულეტენ სიანტიფიკ“, 1837 წ., ტ. III, № 3).

ბროსე აღნიშნავდა, რომ სულხანი ლექსიკონში სიტყვების ქართულ ახსნასთან ერთად იძლეოდა არაბულ, თურქულ და სომხურ სინონიმებს მთელი ნიუანსებით. აგრეთვე გადმოსცემდა უცხოურ ეტიმოლოგიას.

სულხანის ლექსიკონმა ბროსეს დაანახვა, თუ როგორი მოქნილობით გამოირჩევა ქართული ენა და რა ადვილად იღებს იგი და ჰქმნის ხელოვნებისა და მეტაფიზიკის ტერმინებს. ამ მხრივ ბროსემ ქართული ენა ყველაზე სახელგანთქმულ ენებს შეადარა: ბერძნულსა და ლათინურს. ბროსე ამბობდა: „ქართული ენა ლექსიკით მეტად მდიდარია და რაოდენ ვრცელი იქნებოდა ის ლექსიკონი, რომელშიც ამეამად ხმარებული ყველა სიტყვა შევიდოდა“.

ბროსეს ხელნაწერებში დაცულია მის მიერ თარგმნილი „სიტყვის კონა“ ვრცელი ახსნა-განმარტებებით. „სიტყვის კონის“ თარგმანით კმაყოფილმა თეიმურაზ ბატონიშვილმა 1834 წელს მოსწერა: „სულხანის ლექსიკონის თარგმანი დიახ მიამა, უცხო რამე გიქმნია და რაც გასამართავი იქნება მე არ დაგზარდები და გულმოდგინედ გაგიმართავო“.

ბროსეს მეტად სერიოზული ნაშრომის „ქართული ენის საფუძვლები“ დაწერას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ. როცა „სააზიო საზოგადოება“ ის იყო ჩამოყალიბდა და საქართველო ევროპელთათვის ჯერ კიდევ terra incognita-ს წარმოადგენდა. „სააზიო საზოგადოების“ ერთმა წევრმა ეიულ კლაპროტმა, აზიური ენებისა და ლიტერატურის პროფესორმა, ავტორმა სქელტანიანი ნაშრომისა — „კავკასიასა და საქართველოში მოგზაურობა“, რომელიც დაწერილია კლაპროტის საქართველოში მოგზაურობის შემდეგ და გამოქვეყნებულია 1823 წელს, „სააზიო საზოგადოებას“ 1822 წელს განსახილველად წარუდგინა მის მიერ შედგენილი ქართულ-ფრანგული ლექსიკონი.

„სააზიო საზოგადოებამ“ ლექსიკონის შემოწმება დაავალა აკადემიკოს სენ-მარტენსა და ამედე ჟობერს. 1823 წლის 6 იანვრის სხდომაზე სენ-მარტენი გამოვიდა მოხსენებით და კლავროტის ლექსიკონის მნიშვნელობის დასადგენად და შესაფასებლად შეჩერდა საქართველოს ისტორიული წარსულისა და აწმყოს განხილვაზე. სენ-მარტენი სევამდა საკითხს, რომ მელსაც „სააზიო საზოგადოების“ არა ერთი წევრი აყენებდა მრავალგზის; საჭიროა თუ არა გვეჩვენეს ეს ლექსიკონი, არსებობს თუ არა ქართული ლიტერატურა, რომელიც ღირსიანამდვილი მეცნიერული შესწავლისაო. ამ კითხვაზე სენ-მარტენი აქვე იძლეოდა შემდეგ პასუხს: საქართველო მეტად განსაკუთრებული ენისა და კულტურის ქვეყანაა მთელ აზიაში. მას ერთადერთს, კავკასიონის ქედს გადაღმა მცხოვრებ ხალხთაგან გააჩნია მეტად ძველი დამწერლობა და ეს კი დიდ უპირატესობას წარმოადგენს. ქართულმა ენამ შემოინახა მყარი გრამატიკული წყობა, ნიშანი ენის სიძველისა. ამის დასადასტურებლად სენ-მარტენი ასახელებდა ბიბლიას, რომლის ქართული თარგმანი მეექვსე საუკუნეზე ადრე შესრულებულად მიაჩნდა. „ბიბლიისა“ და ჩვენთვის უცნობი საეკლესიო ძეგლების გარდა, განაგრძობდა სენ-მარტენი, სულ არაფერი რომ არ ყოფილიყო საქართველოში, მისი მწიგნობრობა შესწავლის ღირსი მაინც იქნებოდა. სენ-მარტენს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საქართველოში ლიტერატურის სხვა ნიმუშებიც არსებობდა. ასახელებდა ქართულ ანალებს, სადაც მოცემული იყო მეფეების ცხოვრება ფარნაოზიდან მოყოლებული, ცნობები ალექსანდრე მაკედონელზე, საქართველოს სპარსეთთან ურთიერთობაზე, ბერძენთა საქართველოში შემოსვლაზე და სხვა. სენ-მარტენისათვის ცნობილი იყო ვახტანგისეული ქრონიკებიც ნაწყვეტებად ჩართული გულდენშტეტის, კლავროტისა და სხვათა მოგზაურთა აღწერებში. სენ-მარტენს ისიც სცოდნია, რომ ქართველებს სხვა ისტორიული თხზულებანიც ჰქონდათ და ერთი მათგანი თბილისში, თავად თუმანიშვილის საკუთრებას წარმოადგენდა. სენ-მარტენი ევგენი ბოლხოვიტინოვის შრომასაც იმოწმებდა და ასკვნიდა, რომ სიტყვაკაზმული ლიტერატურაც აუცილებლად არსებობდა საქართვე-



ლოში. მით უფრო, რომ სენ-მარტენისათვის აგრეთვე ცნობილი იყო: „დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანებამ თამარ მეფის დროს შეჰქმნა ოქროს ხანა, რომელიც ქართული ლიტერატურის ოქროს საუკუნესაც წარმოადგენდა“ („სააზიო ჟურნალი“, 1825 წ. თებერვალი).

სენ-მარტენის მოსაზრებათა საფუძველზე „სააზიო საზოგადოებამ“ გადაწყვიტა გამოექვეყნებინა კლაპროტის ლექსიკონი და ამასთან ერთად მისივე ქართული გრამატიკაც, რომელიც ჯერ დაუმთავრებელი ჰქონდა. ამ მიზნით „სააზიო საზოგადოებამ“ ჩამოასხმევინა ქართული შრიფტი, რომლითაც იბეჭდებოდა ქართული მასალები „სააზიო ჟურნალს“ ფურცლებზე. კლაპროტის ქართულ-ფრანგული ლექსიკონი გამოვიდა 1827 წელს.

1829 წლის 13 ნოემბრის „სააზიო საზოგადოების“ საბჭოს სხდომაზე ბროსემ, რომელიც საკუთარი მეთოდით შესწავლილ ქართულ ენას უკვე კარგადა ფლობდა, გააკრიტიკა კლაპროტის ლექსიკონი. ბროსემ განაცხადა, რომ ეს შრომა წარმოადგენდა ფირალოვის ლექსიკონის განმეორებას. იგი სავსე იყო არსებითი და სტამბური შეცდომებით, რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან სტამბა ქართულ ტექსტს პირველად აწყობდა და, რასაკვირველია, ბევრ შეცდომასაც უშვებდა. იმავე წლას 18 ნოემბერს ბროსე კვლავ გამოვიდა „სააზიო საზოგადოების“ სხდომაზე და კვლავ განიხილა კლაპროტის ლექსიკონი. აღნიშნა, რომ კლაპროტს მცდარი გზა ჰქონდა არჩეული არა მარტო ლექსიკონის, არამედ გრამატიკის შედგენის დროსაც. ეს ორი გამოსვლა გამოქვეყნდა „სააზიო საზოგადოების“ პერიოდულ ორგანოში ორ სტატიად ერთი სათაურით: — „სააზიო საზოგადოების“ საბჭოსადმი წარდგენილი შენიშვნები ქართული ლექსიკონისა და გრამატიკის შესახებ.“ (გამომცემელი ე. კლაპროტი, „ახალი სააზიო ჟურნალი“, 1829 წ., ტ. IV, V).

როგორც კლაპროტის განცხადებიდან ირკვევა, მან თავის გრამატიკას საფუძვლად დაუდო უცნობი იტალიელი მისიონერის ხელნაწერი და შეავსო უკვე გამოქვეყნებული სხვა ნაშრომებით. ბროსე „ქართული ენის საფუძვლების“ წინასიტყ-

ვაობაში აცხადებდა, რომ ამ მისიონერს საკმაოდ სკოდნია ქართული გრამატიკა. უხელმძღვანელებია ქართული წყაროებით, — ანტონ კათოლიკოსის, დავით ბატონიშვილის და სხვათა შრომებით, ვინაიდან მისიონერის გრამატიკაში ვხვდებით მათ ტექნიკურ გამოთქმებს და საერთო წყობას.

ბროსე კლაპროტს უსაყვედურებდა ქართული ენის მეტად ზერელედ შესწავლის გამო დაშვებულ შეცდომებს, მოსაზრებათა დაუსაბუთებლობას, ანალიზიდან სინთეზზე გადასვლის სრულ უუნარობას და, რომ მის ნაშრომს აკლდა მთლიანობა, ინდივიდუალური სახე, რაც ბროსეს აზრით, ევროპელ გრამატიკოსებს საერთოდ ახასიათებდა XIX საუკუნემდე.

კლაპროტის ზერელე ცოდნაზე, ქართული ენის უცოდინარობაზე და მეცნიერული კვლევისათვის მიუღებელ მეთოდებზე მიუთითებდა საქართველოში ნამყოფი ლინგვისტი, აკადემიკოსი ანდერს სეოგარენიც თავის წერილებში აკადემიკოს ფრენისადმი (1836 წ.).

თავდაპირველად კლაპროტი დიდად აღშფოთებული ყოფილა ბროსეს კრიტიკით, მაგრამ შემდგომ გავლენაც მოუხდენია მასზე მოწინააღმდეგის კემმარიტ მოსაზრებებს, რადგანაც შრომაზე მუშაობა შეუწყობია და არც გამოუქვეყნებია, თუმცა ყოველმხრივ ცდილობდა ბროსეს გამტყუნებას პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით. ბროსე კი ურჩევდა თავი მიენებებინა, როგორც მისი კომპეტენციისათვის შეუფერებელი საქმისათვის. ბოლოს კლაპროტს შეუგნია, რომ ბროსე მართალი იყო, მაგრამ უკანდახევაც ვეღარ მოუხერხებია. 1834 წლის 22 აგვისტოს იგი წერდა ბროსეს: „აღარ შემიძლია მივატოვო ამ წიგნის გამოქვეყნება და ვნანობ, რომ ვეღარ მივიღებ თქვენს წინადადებასაო“.

შრომა მეტად ნელა მიიწევდა წინ. კლაპროტს გული ჰქონდა აყრილი და 1835 წელს, როცა გარდაიცვალა, 113 გვერდამდე იყო მისული. წიგნის დასრულება წილად ხვდა ბროსეს.

ბროსე მოკრძალებით აღნიშნავდა, რომ „ქართული ენის საფუძვლების“ თითქმის 113 გვერდი კლაპროტის მიერ იყო დაწერილი, 123 გვერდამდე იტალიელ მისიონერის ნაშრომი იყო გამოყენებული და მას მხოლოდ შემდეგი ნაწილი ეკუთ-

ვნოდა. წიგნი შეიცავდა 362 გვერდს, დართული ჰქონდა „შეცდომების გასწორება და დამატებანი“ შედგენილი ბროსეს მიერ.

ბროსე გერმანელ ორიენტალისტს ბოპს წერდა: „რომ მოგიყვებ ზუსტი ამბები ამ წიგნის შესახებ მეტად კომიკურსა და ზიზლის მომგვრელს რასმეს გაიგებდით, მაგრამ სჯობია გავჩუმდეთ“. ამიტომ ბროსემ ამჯობინა ამ შრომის გამო კლაპროტთან ატეხილ დავისათვის გვერდი აეარა და კლაპროტის სრულ საკუთრებად გამოეცხადებინა 112 თუ 113 გვერდი, მით უმეტეს, რომ ბროსეს ამოქმედებდა სურვილი არა საკუთარი სახელის განდიდებისა, არამედ ქართული გრამატიკის ესოდენ მნიშვნელოვანი შრომის გამოცემისა.

აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის გამოცემამდე, დიდი ხნით ადრე, 1835 წლის 7 სექტემბერს ბროსემ „სააზიო საზოგადოების“ საბჭოს სთხოვა დაესტამბათ მისი „ხელოვნება აზნაურები, გინა ქართულის ენის თვთ მასწავლებელი“. სწორედ ამის გარშემო აღძრულმა კამათმა ამოატივტივა აზრი კლაპროტის ნაშრომის დასრულება მიენდოთ ბროსესათვის. ბროსეს უარი აღარ უთქვამს ნაშრომის რედაქციაზე და გადაუწყვეტია მასში შეეტანა „ხელოვნება აზნაურები...-ში“ გადმოცემული საკუთარი აზრები და მასალები ქართული გრამატიკის შესახებ, თუმცა „სააზიო საზოგადოება“ სთხოვდა კლაპროტის ნაშრომის იმ სახით გამოცემას, როგორც დატოვა იგი განსვენებულმა ავტორმა.

ბროსემ კლაპროტის ნაშრომს საერთო რედაქციისა და საკუთარი გრამატიკული მასალის გარდა დაურთო წინასიტყვაობა, შესწორებანი და დამატებანი და ბოლოს სავარჯიშოები, რომელშიაც შედიოდა ბატონიშვილი ტარიელის მიერ პარიზში ჩამოტანილი „ალექსი ღვთისშვილის“ ნაწყვეტი, სოლომონ დოდაშვილის „ეინევრა“, წმინდანების — დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობანი, რომელიც პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული პერგამენტზე დაწერილი სვინაქსარიდან იყო ამოღებული. დართული ჰქონდა სქოლიოები გეოგრაფიული და ისტორიული განმარტებებით, მათ შორის 280—283 გვერდებზე თეიმურაზ ბატონიშვილის შენიშვნები

მოცემული, დაწვრილებით აღწერილია წმინდა დავითისა და კონსტანტინეს მარტილობის ადგილი (მოწამეთა).

წინასიტყვაობაში ბროსე ქართული ენის წყაროებზე ჩერდება და ამბობს, რომ ქართული ენა უხვად იძენდა სიტყვებს საერთო ინდო-ევროპული ფონდიდან, სანსკრიტულიდან, სპარსულიდან. ამის გამო თეიმურაზ ბატონიშვილი, როგორც ყოველთვის, უმტკიცებდა ბროსეს, რომ სპარსულიდან თუ სხვა ენებიდან ქართულში შემოსული სიტყვები ზედმეტი იყო, რადგან მათი შესატყვისები ქართულს მათზე ადრე გააჩნდა. ბროსე დიდი მოწიწებითა და სიყვარულით გამოხატავდა თავის პატივისცემას განსწავლულ თეიმურაზისადმი, „რომლის სახელი ამის შემდეგ, ყოველ მის ნაშრომში ამოტივტივდებოდა, როგორც კეთილმოსურნე და განათლებული მეგზურისა“ („ქართული ენის საფუძვლები“), მაგრამ არ ეთანხმებოდა მის მოსაზრებას და ამბობდა: ინდო-ევროპული საერთო ფონდის სიტყვები პირქელ ცნობილ ქართულ წიგნში—„ბიბლიაში“—დიდი რაოდენობითაა ნახმარი. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს იდიომები დიდი ხნის წინათ შემოვიდა ქართულში მათი გაჩენის უმალ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ქართული იდიომები თანამედროვეა, ძმავა, ნათესავი ან მოკავშირე იმ იდიომებისა, რომლებმაც შექმნეს ინდო-ევროპულ ენათა დიდი ოჯახიო.

ბროსეს „ქართული ენის საფუძვლები“ წარმოადგენდა დიდ ნაშრომს, რომელიც მოიცავდა როგორც მორფოლოგიის. ისე სინტაქსის ვრცელ დამუშავებებს მნიშვნელოვანი განმარტებებით.

ამ დროისათვის ქართული ენის შესახებ ასეთი დიდი ნაშრომის გამოქვეყნება უდიდესი მოვლენა იყო არა მარტო უცხოეთისათვის, არამედ თვით საქართველოსთვისაც. ამის გამო მოსე ჯანაშვილი წერდა: „ყველაზე საფუძვლიანი შრომა არის შრომა ბროსესი. იმისი „ხელოვნება აზნაურებითა, გინა ქართულის ენის თვთ ჰასწავლებელი“ და „ქართული ენის საფუძვლებიდან“ იწყება ახალი ხანა ქართულის ენისა, არქეოლოგიისა, ისტორიისა და ლიტერატურისა“ („ივერია“, 1888 წ., № 232, „მეცნიერთა აზრი ქართული ენის შესახებ“).

ალექსანდრე ჰყონიაც ამ შრომის შესახებ ამბობდა: „ბროსეს გრამატიკას რა თქმა უნდა ნაკლი აქვს, მაგრამ ბევრი ისეთი მხარე, რომელიც საქართველოშიც კი არ არის შესწავლილი, ბროსეს შეუსწავლია — წარმომავალი სახელები და მათი წარმოების კანონები“ „ჩვენს მწიგნობრობაზე“ („დროება“, 1876 წ., № 4, 5).

მარი-ფელისიტე ბროსეს ნაშრომს — „ქართული ენის საფუძვლებს“, დღესაც არ დაუჯარგავს მნიშვნელობა და განსაკუთრებული შესწავლის საგნად შეიძლება იქცეს.

ბროსეს ლინგვისტური კვლევა ავტორიტეტით სარგებლობდა პეტერბურგის სამეცნიერო წრეებში. მის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მეტწილად ქართული ენის ამა თუ იმ საკითხებში. ამიტომ ბროსეს მეცნიერებათა აკადემიის 1837 წლის 2 ივნისის სხდომაზე სარეცენზიოდ გადაეცა დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტმა გამოუგზავნა მეცნიერებათა აკადემიას განსახილველად. აინტერესებდათ გაეგოთ ღირსია თუ არა ეს ნაშრომი სახელმწიფოს ხარჯზე გამოქვეყნებისა.

ბროსემ გულდასმით შეისწავლა ჩუბინაშვილის ლექსიკონი და 1837 წლის 15 სექტემბერს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე წაიკითხა მოხსენება მის შესახებ („ბიულეტენ სიანტიფიკ“, 1837 წ., ტ. III, № 23). იგი დიდად კმაყოფილი იყო იმით, რომ განათლებული ქართველი ჰქმნიდა თავისი ერის ლექსიკონს.

ბროსე მიმოიხილავდა ევროპაში და საქართველოში მანამდე არსებულ ლექსიკონებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაზე“, რომელსაც ძირითადად ეყრდნობოდა ჩუბინაშვილი. ბროსე აღნიშნავდა, რომ ჩუბინაშვილს საფუძვლიანად შეუსწავლია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მოცემული თვითონეული სიტყვა და განსაზღვრა. წაუკითხავს სულხანის მიერ დასახელებული მწერლება და სხვებიც მიუმატებია. იგი იწონებდა ჩუბინაშვილის ლექსიკონის შედგენის მეთოდს,

როგორცაა სიტყვების განლაგება ანბანურად, მარტივი სიტყვების სხვადასხვა მნიშვნელობით გადმოცემა, ხოლო ნაკლებ ხმარებული სიტყვების — კონტექსტით. ბროსე აღნიშნავდა: ქართული ენა მეტად მდიდარი ლექსიკის მფლობელიაო. ქართული ზმნა აღჭურვილია, თუ ვერ გავბედავ ვუწოდო ძირი, ყოველ შემთხვევაში, თავისი კატეგორიის არსებითი სახელით, ქართველები რომ სახელზმნას უწოდებენ და გამოხატავს ზმნის ყველაზე ზოგად მნიშვნელობას. ბროსე განაგრძობდა: ჩუბინაშვილის ლექსიკონში ზმნები ანალოგიური სახელზმნების მიხედვითაა განლაგებული. მოცემულია ზმნის აქტიურობა, პასიურობა, გარდამავლობა და სხვა. იგი მიუთითებდა ლექსიკონის მრავალ დადებით მხარეზე და უარყოფითად თვლიდა იმას, რომ ავტორს რადგან მიზნად დაუსახავს ლექსიკონი უმთავრესად ქართველი საზოგადოებისათვის მისაწვდომი გამხდარიყო, ამიტომ მოუცია თარგმანი რუსულად და ლათინურად, განმარტებების გარეშე. ამ სახით კი ლექსიკონი ძნელად გასაგები ხდებოდა ევროპელთათვის, ქართული ენის მცოდნენი კი არც თუ ისე ბევრი იყვნენ და ვერ დაფარავდნენ ლექსიკონზე გაწეულ ხარჯებს. ამიტომ ბროსე მოითხოვდა ლათინურის ნაცვლად ფრანგული შეეტანათ, მით უმეტეს, რომ ლათინურად ვერ გადმოიცემოდა თანამედროვე და ტექნიკური სიტყვები, ხოლო რუსული არ იყო გავრცელებული ევროპაში. ამ მოსაზრებებს მხარს უჭერდა აკადემიკოსი ფრენიც. ბროსე ლექსიკონს საერთოდ კარგ შეფასებას აძლევდა და ღირსად სთვლიდა მისცემოდა იმ დროს არსებული დემიდოვის პრემია.

დავით ჩუბინაშვილმა მიიღო მისი მითითებანი. 1840 წლის 17 აპრილს აკადემიის სხდომაზე ჩუბინაშვილს მიენიჭა დემიდოვის დიდი პრემია — 5000 მანეთი.

ლექსიკონის წინასიტყვაობა ეკუთვნოდა ბროსეს, რომელმაც ისეთი დიდი მონაწილეობა მიიღო ლექსიკონის შედგენაში, რომ თანაავტორადაც კი სთვლიდნენ. ბროსეც სწერდა: ფრანგული ნაწილისა და ეტიმოლოგიის შედგენისას ყველაზე მეტად ვეხმარებოდი ავტორსაო.

რუსულ-ქართულ-ფრანგული ლექსიკონი გამოქვეყნდა 1840 წლის ივლისში.

## VI

### ბროსეა და ქართული კლასიკური პერიოდის ლიტერატურა

ქართული ენის შესწავლის დაწყებისთანავე, მაშინ, როცა დიდი გაჭირვებით შოულობდა ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, ბროსე უკვე იცნობდა ქართული კლასიკური პერიოდის შესანიშნავ ძეგლს „ვეფხისტყაოსანს“ და ევგენი ბოლხოვიტინოვის მცირე მოცულობის შრომას — „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии“, რომელიც ქართულ ლიტერატურაზე საერთო, დაახლოებით წარმოდგენას აძლევდა ფრანგ მკვლევარს და საქართველოთი გატაცებულს უმატებდა აღფრთოვანებას გამოწვეულს საქართველოს ბუნებითა და პოეზიით. «Где лучше можно было родиться Гению поэзии как не в сей очаровательной природой стране» — წერდა ბოლხოვიტინოვი და სიტყვაკაზმული ლიტერატურიდან ასახელებდა „ვეფხისტყაოსანს“, „თამარიანს“, „ომანიანს“, „ნარიმანიანს“, „დარეჯანიანს“, „ვისრამიანს“.

ბოლხოვიტინოვმა ქართული ენა არ იცოდა და პეტერბურგში გადასახლებულ ქართველთა დახმარებით აგროვებდა და ეცნობოდა ქართული მწიგნობრობის ორიგინალურ წყაროებს, რაც საფუძვლად დაედო ხსენებულ შრომას. ეს ნაწარმოები მიზნად ისახავდა ქართული კულტურა გაეცნო ფართო საზოგადოებისათვის. მას ხომ აქამდე იცნობდნენ მოგზაურთა აღწერილობით. ბოლხოვიტინოვი განიხილავდა ქართველი ხალხის წარმოშობის სიძველეს, ქრისტიანულ სარწმუნოებასა და მწიგნობრობას, ენასა და დამწერლობას, კლასიკურ მწერლო-

ბას, მათიანეებსა და სიტყვაკაზმულ ლიტერატურას, პოეზიასა და მუსიკას.

ეს პატარა, შეცდომებით სავსე წიგნი საქართველოსადმი ისეთი დიდი სიყვარულითა და აღტაცებით იყო დაწერილი, რომ, მართალია, საქართველოს ისტორიისა და მწიგნობრობის საფუძვლიან, სერიოზულ კვლევად ვერ ჩაითვლებოდა, რასაც თავიდანვე ბროსეც კარგად გრძნობდა, მაინც ჰქმნიდა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საერთო სურათს. ბოლხოვიტინოვის შრომისა და პარიზში არსებული ხელნაწერების გაცნობის შემდეგ, ბროსე „სააზიო საზოგადოების“ წინაშე წარსდგა საქართველოს სოციალური მდგომარეობის, ისტორიისა და ლიტერატურის მიმოხილვით, — „ქართული ლიტერატურის დღევანდელი მდგომარეობა“ („ახალი სააზიო ჟურნალი“, 1828 წ., ტ. I). ბროსე აქ ქართველთა და საქართველოს სილამაზეს ხოტბას ასწამდა და ამ ქვეყნის წარმოშობის სიძველეზე ლაპარაკობდა. იგი იზიარებდა ბოლხოვიტინოვის მოსაზრებას, რომ საქართველოს ისტორიის საწყისები წარღვნის დროინდელია და რომ ქართველნი ქართლოსისა და თარგამოსის შთამომავალნი არიან. ბროსე აკრიტიკებდა „სააზიო საზოგადოების“ წევრს, ორიენტალისტ კლაპროტს, რომელიც საქართველოს ბიბლიური წარმოშობის გამო ექვს გამოთქვამდა და ქართულ დამწერლობასაც არ მიიჩნევდა მაინცდამაინც უძველესად („მოგზაურობა კავკასიაში“, ტ. II).

ბროსე ამტკიცებდა, რომ საქართველო ძველისძველი ერია და შეუძლებელია მას IV საუკუნემდე არ ჰქონოდა ეროვნული ლიტერატურა. მაგრამ როგორც ეგვიპტური ლიტერატურის საგანძური გაანადგურა ხანძარმა, ომებმა მოსპო პერსეპოლისის ლიტერატურა, ტირანებმა ჩაჰკლეს ჩინეთის მწერლობა, ქართული მწიგნობრობის ხვედრიც ასეთივე იყო და გარეშე მტრების მიერ ქვეყნის კულტურის გაძარცვას, შესაძლებელია, ემატებოდა შინაური რელიგიური შეუწყნარებლობაც, რომელიც ანადგურებდა ძველი საერო მწერლობის ნაშთებს.

ქართული ლიტერატურის სათავედ ბროსე თვლიდა ბიბლიას, რომელსაც წიგნთა-წიგნს უწოდებდა. ბიბლიის შექმნი-



სა და თარგმნის საკითხს ბროსე განსაკუთრებით არსად შეხე-  
ბია. მხოლოდ „შრონაში — „ქართული ლიტერატურის დღე-  
ვანდელი მდგომარეობა“ — ამბობდა, რომ ქართული ბიბლია  
თარგმნილია ბერძნული სექტანტიდან და მთარგმნელად ასა-  
ხელებდა წმინდანსა და ბრძენს ექვთიმეს. ბროსე ყოველ ახ-  
ლად ნაპოვნ დოკუმენტსა და ცნობას უზიარებდა თავის მას-  
წავლებელს სენ-მარტენს, რომელიც ექვთიმეს შესახებ ბრო-  
სეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ამჯერად არ დათანხმებია,  
ვინაიდან ლეგენდაში არაფერი ყოფილა ნათქვამი ექვთიმეს  
ლიტერატურულ მოღვაწეობაზე და, მაშასადამე, არც ბიბლიის  
თარგმნაზე, რომელსაც სენ-მარტენი უფრო გვიანდელ პერი-  
ოდს უკავშირებდა.

ქართული ბიბლიის გამოცემის შესახებ ბროსე აღნიშნავ-  
და, რომ 1818 წელს, როცა პეტერბურგის „ბიბლიური საზო-  
გადოება“ ამზადებდა ბიბლიის ახალ გამოცემას, გადაწყდა,  
მას ექვთიმე ათონელის ავტოგრაფი დასდებოდა საფუძვლად.  
გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას ხელი შეუშალა ეკ-  
ლესიის მკაცრმა კანონებმა, რომელიც ეკლესიიდან მოკვეთას  
უქადდა ყველას, ვინც ეკლესიის წმინდათა წმინდა საგანძურს  
შეეხებოდა. პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული „იერუ-  
სალიმის ლოცვანსა“ და ლეგენდებთან ერთად, ბროსეს უნა-  
ხავს ცნობა ექვთიმე ათონელის შესახებ და მისი პიროვნება  
დაუკავშირებია წმინდა ექვთიმეზე შექმნილ ლეგენდისათვის,  
რომელიც IV საუკუნეს მიეკუთვნებოდა. ამ ხანებში (1828 წ.)  
ბროსეს ქართული წყაროები საკმარისად არ გააჩნდა, გასა-  
კვირველი არაა, რომ შემცდარიყო. ქრონოლოგიურ შეცდო-  
მას თუ მხედველობაში არ მივიღებთ, დასახელებული შრომე-  
ბიდან ჩანს, რომ ბროსე იცნობდა ექვთიმე მთაწმინდელის ანუ  
ათონელის, ივერიის მონასტრის ორგანიზატორისა და სალი-  
ტერატურო სკოლის მამამთავრის მოღვაწეობას. სათანადოდ  
აფასებდა ამ განსწავლულ პიროვნებას, რომელსაც ბიბლია  
თუ არა, სახარება მაინც ჰქონდა თარგმნილი.

ბიბლიის გამოცემასთან დაკავშირებით, ბროსე მიუთითებ-  
და სამი ქართველი მეფის — არჩილის, ვახტანგის და ბაქარის  
ღვაწლზე. ისინი დიდად ზრუნავდნენ ქართულ ლიტერატურა-

ზე და მრავალი წლის განმავლობაში აგროვებდნენ და ავსებდნენ ბიბლიას. მეფე არჩილის მიერ წამოწყებული „ბიბლიის“ გამოცემის საქმე ვახტანგ მეფის შვილებმა ვახუშტმა და ბაქარმა განახორციელეს 1743 წელს.

ბროსეს უნდოდა ფართო საზოგადოებისათვის დაენახებინა ქართული ლიტერატურის როგორც საეკლესიო, ისე საერო საგანძური, ამიტომ ძლიერ წუხდა, რომ ვერსად მიაკვლია წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველ მასალას და ვერც ანტონკათოლიკოსის ოდების კრებულს გაეცნო.

საერო ლიტერატურიდან ბროსე ასახელებდა „ვეფხისტყაოსანს“, „უსუპზილიხანიანს“, „თამარიანს“, „ომანიანს“, „ნარიმანიანს“, „ლეილ-მეჩუნეიანს“, „როსტომიანს“, „ბარამიანს“, „ვისრამიანს“, რომელთა უმრავლესობის მხოლოდ სათაურები გაეგო ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაწარმის მეოხებით. მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა მაშინ, როცა მას ხშირად სათაურების მეტი ხელთ არაფერი ჰქონდა ხოლმე და მთელი ძალ-ღონე უნდა ეხმარა იმისათვის, რომ „სააზიო საზოგადოება“ დაერწმუნებინა, საქართველოს კულტურა და მწერლობა ღირსია ყურადღებისა და საფუძვლიანი შესწავლისათ.

მეცნიერული ძიებით დატვირთული ათი წელი დასჭირდა ბროსეს ამის შემდეგ, რომ თამამად განეცხადებინა: „საქართველოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლასთან ერთად აყვავდა ფილოსოფია, ფრთა შეისხა საეკლესიო არქიტექტურამ, მხატვრობამ და მეცნიერებამ... ამ დროით დათარიღებულია ქართული ლიტერატურის პირველი ძეგლები... საქართველო მდიდარია საეკლესიო ლიტერატურით“, ამბობდა ბროსე და ასახელებდა ბიბლიის შესანიშნავ თარგმანს, ბერძენ წმინდა მამათა შრომებს, პლატონისა და არისტოტელეს სკოლების ფილოსოფოსთა თარგმანებს ქართველ ავტორთა კომენტარებით („მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე წარმოთქმული სიტყვა“, 1838 წ. 10 იანვარი).

თარგმნითს მოღვაწეობას ბროსე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხების მწიგნობრობის აღმოცენების პირველ პერიოდში და ქართული საეკლესიო მწერლობის ხასიათს ამ მხრივ

უკავშირებდა ევროპის ყველაზე განათლებულ ხალხთა საეკლესიო ლიტერატურას, რომელიც იკვებებოდა ლათინური და ბერძნული მწიგნობრობით.

სასულიერო მწერლობის პარალელურად ბროსე შესანიშნავად ამჩნევდა საერო კლასიკური მწერლობის ისეთ განვითარებას საქართველოში, როგორზედაც ოცნებაც კი არ შეიძლებოდა მის სამშობლოში. საფრანგეთს საქართველოსთან შედარებით პატარა ქვეყანადა სთვლიდა. ქართული სიტყვა-კაზმული ლიტერატურის მხატვრულ სახეებსა და აღწერილობის, ზღაპრული, ჯადოსნური ფანტასტიკის ფარდის მიღმა ბროსე ხედავდა საქართველოს ისტორიას, საქართველოს სინამდვილეს და ქართველ ხალხს. საერო მწერლობის რეალისტურ ხასიათს მეტად პოეტურად გადმოსცემდა ბროსე: „პოეზიის ყვავილები სურნელს აფრქვევდნენ დაბლობებში და გვირგვინს ადგამდნენ კავკასიონის მწვერვალებს. რა სიამოვნებით გავიმეორებ სახელებს რუსთაველის, მოსესი, სარგისის, აბდულ მესიასი, ჩახრუხაძის! ასევე სიამოვნებით ავსახავდი მათი პოეტური შთაგონების ხასიათს. გადმოვცემდი ესოდენ თავისებურ შემოქმედების ანალიზს! და, ეს მაინც, ისტორიის სურათი იქნებოდა, რამეთუ გამოგონილი პერსონაჟები გამოხატავენ ქართველ გმირებს. ეს აღტყინებით გასხივოსნებულ ფურცლები, ვითომდაც, მხოლოდ გართობისათვის განკუთვნილი ფიქციები, უმთავრესად ასახავენ ცნობილ პირთა ღირსშესანიშნავ მოქმედებებს“.

პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში „ვეფხისტყაოსნის“ ორი ეგზემპლარი ინახებოდა. ეს იყო ორი სხვადასხვა ვარიანტი, სხვადასხვა რედაქციით. ერთი მათგანი ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს ცნობილ ორიენტალისტს აკადემიკოს აბელ რემუზას, მეორე გაუგზავნია საფრანგეთის ელჩს საქართველოში კავალერ გამბას. ერთმანეთისაგან განსასხვავებლად ბროსე პირველ ეგზემპლარს აღნიშნავდა ასოთი E, მეორეს კი F-ით („ქართული პოეზიის გამოკვლევა“ — „ახალი სააზიო ჟურნალი“, 1830 წ., ტ. VI).

ბროსეს აღწერილობით ხელნაწერი E პატარა ზომისაა, აკინძულია აღმოსავლური მანერით. გადაწერილია დაუდევ-

რად, სასვენი ნიშნების გარეშე, თუ არ ჩავთვლით უადგილო-  
ალაგას დასმულ მრავალწერტილებს. შეიცავს 7911 სტრი-  
ქონს, გადაწერილია შემახში, 15 იანვარს 390 წელს (1702 წ.),  
გადამწერელი ქალია — უსანეთ ბეჟუას ასული ალამა. ხელნა-  
წერი F ნაკლებ ვრცელია, შეიცავს 6265 სტრიქონს. შესრუ-  
ლებულია ქაღალდზე თითქმის ევროპული ყაიდით. F ხელნა-  
წერი დიდად დახმარებია ბროსეს ტექსტის გაგებაში. იგი  
ფიქრობდა, რომ ამ ხელნაწერის რედაქცია ეკუთვნოდა ნიჭი-  
ერსა და გონიერ ადამიანს. ბროსეს აზრი სრულიად საფუძ-  
ვლიანი იყო, რადგან F ხელნაწერი ვახტანგისეული რედაქცი-  
ის პირი იყო, ხოლო E ხელნაწერი, როგორც პეტერბურგში  
შემოწმების შემდეგ დაადგინა ბროსემ, ნაწილობრივ ციციშვილი-  
სეულ ვარიანტს წარმოადგენდა.

როგორც არა ერთხელ აღუნიშნავს ბროსეს, პირველ ხანებ-  
ში სათანადო ლექსიკონების უქონლობა და ენის სუსტი ცოდ-  
ნა საშუალებას არ აძლევდა ღრმად ჩასწვდომოდა „ვეფხის-  
ტყაოსნის“ არსს, გაეგო ეს ვეებერთელა პოეტური ტილო.  
ამიტომ მრავალი წლის, და შეიძლება ითქვას, მთელი შეგნებუ-  
ლი სიცოცხლის მანძილზე გარს უტრიალებდა საქართველოს  
ამ უდიდეს განძს, რომელიც თავისი ჰუმანური იდეებითა და  
კეთილშობილური მისწრაფებებით საუკუნეებით უსწრებდა  
წინ ბროსეს სამშობლოსთან ერთად მთელი ევროპის რე-  
ნესანსს.

„ვეფხისტყაოსანი“ ანბანის შესასწავლად რომ არ გამოად-  
გებოდა, მშვენივრად იცოდა ბროსემ. ამიტომ ეძებდა ისეთ  
ლიტერატურას, სადაც გარჩეული იქნებოდა იგი. და რადგან  
პირველად ბოლხოვიტინოვის ნაშრომის მეტი არაფერი გააჩ-  
ნდა, იძულებული იყო ქართულ ლიტერატურასთან ერთად  
„ვეფხისტყაოსნის“ შეფასებისას ამ ერთადერთ წყაროს დაყრ-  
დნობოდა, თუმცა ინტუიტურად გრძნობდა ევგენიუსის მო-  
საზრებათა მცდარობას. მისი შინაგანი ალლო ლიტერატორისა  
და მეცნიერისა აგრძნობინებდა, თუ რაოდენ დიდი იყო ქარ-  
თველი ხალხის ესთეტიური აღქმის ძალა: — „ქალები, რომელ-  
ნიც ევროპაში თვით ქმნიდნენ ან შთაგონების საგანნი იყვნენ  
ნატიფი გრძნობებით აღსავსე და სტილის ელვარებით გაცი-  
-

კროვნებულ თხზულებათა, არ შეიძლება უდიდესი ენთუზიაზმის გამომწვევენი არ ყოფილიყვნენ იმ ქვეყანაში, სადაც სილამაზე მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას—ამბობდა ბროსე და ამ ქვეყნად საქართველოს გულისხმობდა; ხოლო თამარი მიაჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შთაგონებად. ბროსე თამარ მეფეს არა მარტო სილამაზის გამო თვლიდა შთაგონების წყაროდ, არამედ აღნიშნავდა მის გმირულ ხასიათს, კეთილშობილ სულსა და სახელმწიფოს მართვის დიდ ნიქს, რომლის ნაყოფიერი ნიადაგი, მისი აზრით, მომზადებული იყო საქართველოში ქალის განსაკუთრებული მდგომარეობით, იმით, რომ აქ ქალთა აღზრდაში დიდი ადგილი ეთმობოდა მწიგნობრობას და ისინი ხშირად უფრო განსწავლულნი და ღვთისმოსავნი იყვნენ. ვიდრე მამაკაცები, რომლებსაც დაუსრულებელი ომები სწავლისა და რელიგიის სამსახურისათვის დროს აღარ უტოვებდნენ.

საკმარისი იყო საქართველოს ომებიდან ცოტა სული მოუთქვა, რომ დაეწყო გონებრივი გაფურჩქვნა, რასაც ადგილი ჰქონდა დავით აღმაშენებლის დროს. ბროსე აღნიშნავდა რომ „ვეფხისტყაოსნის“ შექმნას წინ უძღოდა აღმაშენებლის შეფობის პერიოდში წარმოშობილი მძლავრი ინტელექტუალური მოძრაობა, განმტკიცებული ათინაში დავითის მიერ სასწავლებლად წარგზავნილ ყრმათა მიერ სამშობლოში შემოტანილი განათლებით, როცა „...მეცნიერებამ დაიწყო განვითარება საქართველოში... პოზიტიური თეოლოგიით გატაცებულმა საქართველომ მოისურვა პოეტური გამხდარიყო და ხოტბა შეესხა ქალის შესანიშნავი მეფობისათვის, რომლის დროსაც ქართული ლიტერატურა გაიფურჩქნა და გაბრწყინდა“.

„ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ შესწავლას ბროსემ მიუძღვნა მნიშვნელოვანი შრომა „ქართული პოეზიის გამოკვლევა“, რომელიც სამ სტატიად დაიბეჭდა „ახალ სააზიო-აზიურნალში“ (1830 წ., ტ. V, VI, 1831 წ., ტ. VII).

ამ შრომის გამოქვეყნების დროს ბროსე სათანადო ლიტერატურულ წყაროებს მოკლებული ვერ წვდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ სიღრმეს და მას „გონების, თუმცა უაღრესად ფილოსოფიური გონების, უბრალო გართობადა“ თვლიდა.

მიუხედავად ამგვარი შეხედულებისა, რაც გამომდინარეობდა ქართველოლოგიური წყაროების სიმცირიდან, ბროსე მაინც ცდილობდა გაერკვია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ღირსება და ადგილი ქართულ ლიტერატურაში, თანაც შეძლებისამებრ ჩამოეყალიბებინა ავტორის ვინაობის საკითხი, გაერკვია ნაწარმოების სტილი, პოეტიკა, მოქმედების ადგილი. პერსონაჟთა სახელები და თხზულების უცხო ენაზე თარგმნის მეთოდი. როგორც ვხედავთ, ბროსე თავიდანვე აუცილებლად თვლიდა სწორედ იმ საკითხების გარკვევას, რომლებიც დღესაც რუსთველოლოგიის ძირითად პრობლემებს წარმოადგენს.

რუსთველოლოგიური კვლევისას ბროსეს ხვდა ბედნიერება მკიდრო ურთიერთობა ჰქონოდა თეიმურაზ ბატონიშვილთან, რომლის ვრცელ ლიტერატურულ მოღვაწეობაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკირა „ვეფხისტყაოსანს“. მაგრამ მარი ბროსესთან დაკავშირების შემდეგ მისი შეხედულებები უფრო ჩამოყალიბდა, გამოიკვეთა, „უფრო გაცხოველდა და ევროპელი მეცნიერის მიერ დასახული ქართველოლოგიური მუშაობის საჭიროების შესაბამისად წარიმართა“ (გაიოზ იმედაშვილი, „თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომი“ — „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“).

1830 წელს გამოქვეყნებულ „ქართული პოეზიის გამოკვლევის“ პირველი წერილის ბოლოს ბროსე წერდა: „ავტორი მიზნად ისახავს გამოაქვეყნოს... ჩაურთოს რა მასალები, ცოტა ხნის წინათ გამოგზავნილი აღმოსავლური ლიტერატურის გამოჩენილი მეცნიერის მიერ...“ ამ „გამოჩენილ მეცნიერად“ ბროსეს მიაჩნდა სწორედ თეიმურაზ ბაგრატიონი, რომლის პირველი წერილიც ამ ხანებში მოუვიდა (1830 წ. 30 აპრილი).

მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილის გაცნობამდე ბროსე ცდილობდა გაერკვია მრავალი რუსთველოლოგიური პრობლემა: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად საქართველოში შექმნილი ტრადიციის მიხედვით, რაც ცნობილი იყო ფრანგი მკვლევარისათვის, რუსთველსა თვლიდა და ცდილობდა გაერკვია რუსთაველი საკუთარი სახელია თუ გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება. ბროსემ სენ-მარტენის „სომხეთის გეოგრაფიული და ის-

ტორიული მიმოხილვიდან“ იცოდა, რომ საქართველოში მრავალ ადგილს ერქვა რუსთავი და „რუ“ წყაროსა ნიშნავდა.

ბროსე ხაზს უსვამდა რუსთაველის ღრმა ერუდიციას, ქართული ენის დიდ ცოდნას და მასთან ერთად არაბულისა და ბერძნულისაც, რის საბუთად მოჰყავდა „ვეფხისტყაოსანში“ გაბნეული ამა თუ იმ ენის სიტყვები, მდგომარეობანი, რეალიები, საიდანაც ჩანდა, რომ რუსთაველი იცნობდა პლატონს, რომელ ფილოსოფოსებსა და მატრონებს, რომელთაც ხან პირდაპირ ასახელებდა, ხან კი შენიღბულად. სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობების მიხედვით ბროსე ასკვნიდა, რომ რუსთაველი ერთი იმ ყრმათაგანი იყო, რომელთაც თავდაპირველად დავით აღმაშენებლის თაოსნობით, ხოლო შემდეგ სხვა ქართველი მეფეების ინიციატივითა გზავნიდნენ ათინაში სწავლის მისაღებად. რუსთაველს „რაც ბერძნულად ენახა ან ეპოვნა პოემანი თუ ფილოსოფიური წიგნი უთუოდ სულ წაეკითხა და მის უკან თვისი პოემაც დასწერა“ — ამბობდა ბროსე („ვეფხისტყაოსანი“, 1841 წ., წინასიტყვაობა).

„ქართლის ცხოვრების“ თუ სხვა ისტორიული წყაროების მრავალგზის ბეჯითად შესწავლის მიუხედავად ბროსემ ვერაფერი იპოვნა რუსთაველის შესახებ გარდა იმისა, რომ რუსთაველი იყო თამარ მეფის მექუერქლე, ანუ მოლარეთუხუცესი და „ვეფხისტყაოსანი“ „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვისრამიანის“ შემდეგაა დაწერილი. იგი იმეორებდა ტიმოთე გაბაშვილის ცნობას: რუსთაველი „მონაზონ იქმნა ქართველ მონასტერს ჯვარს იერუსალიმს... სადაც დასაფლავებულია და კედელზე გამოხატულია მისი სურათი“. რუსთაველის გარდაცვალების თარიღად ბროსე 1215 წელსა თვლიდა. სახელი „შოთა“ პირველად შეიტყო თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ 1833 წელს გამოგზავნილი წერილიდან.

„ვეფხისტყაოსანის“ სტილმა, წარმოსახვის სიმდიდრემ, გაბედულმა შედარებებმა და სიტყვათა მოულოდნელმა და განსაკვიფრებელმა დაკავშირებამ, რომელთაც პოემაში გააბრწყინეს ავტორის ჩანაფიქრი, ფრანგი მკვლევარი დაარწმუნა იმაში, „რომ „ვეფხისტყაოსანი“ იყო შედევრი არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის

სიტყვაკაზმული ლიტერატურის პერლს წარმოადგენდა“ („ახალი სააზიო ჟურნალი“, 1830 წ., ტ. VI).

ბროსეს თითქოს აკრთობდა კიდევ ამ დიდი შემოქმედების მძლავრი პარმონია, „რომელიც იწვევდა ქარის გრიალს, ნიღვართა მოხეტქებას და, რომელიც ხანგრძლივად აკვნესებდა ფილომელას მგრძნობიარე მელოდიას“. ბროსე უსუსურად გრძნობდა თავს, როცა „ვეფხისტყაოსნის“ სტილის განსაზღვრას ცდილობდა: „ამოდ შევეცდები, ჩვენი პატარა ქვეყნისათვის, ჩვენი ზნე-ჩვეულებისათვის და ინტელექტისათვის მეტად უცხო ნაწარმოების „ტარიელის“ სტილზე რაიმე აზრი ჩამოვაყალიბო... გზას მიბნევენ ეს მწერლები, რომლებიც კავკასიის გმირთა და მიჯნურთა დარად მეტყველებენ. მათ ენას არ აკლია არც შეხედულებათა სინატიფე, არც გამოთქმათა სიზუსტე, არც სიღრმე. ბუნებამ ქართულ სულს ისევე დაასვა ვაჟკაცობისა და პატიოსნების დადი, როგორც მის სახის ნაკვთებსა და მის გარეგნობას სილამაზისა და კეთილშობილი პროპორციების ბეჭედი“.

ამ ვეებერთელა თხზულებაში ბროსე ხედავს ჰორაციუსის, ჰომეროსის რემინისცენციებს, წმინდა წერილის ფსალმუნებსა და ლოცვებს.

ბროსე პარალელს ავლებს არაბულ ლიტერატურასთან. „ათას ერთ დამესთან“ და „ვეფხისტყაოსანში“ პოულობს იმავე გამოთქმებს: სახე მზისა, პირი მთვარისა, მშვენიერი ვით სავსე მთვარე... იგივე ცრემლთა ფრქვევა, გულწასვლა, ტრაგიკული ფათერაკები, მწუხარების ნიშნად თავზე ნაცრის დაყრა, ბულბულის სტვენა, სიყვარულის, გმირობისა და მრისხანების განსაკუთრებული სიძლიერე.

ასევე იემენის თვალუწვდენ უდაბნოებიდან კავკასიის მთებსა და მყინვარებზე გადმონერგილად თვლის ბროსე მზისა და ლომის, ბულბულისა და ვარდის კეთილშობილ შეხმატკბილებას. რომლებიც მიუხედავად ტექსტში ხშირად ხმარებისა, ტრივიალურნი მაინც არ გამხდარან.

აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი მნათობნი ვარდი, ალვა, ლომი, „ვეფხისტყაოსნის“ მუდმივი მეტაფორებია. შვიდი პლანეტა მზესთან ერთად — ამბობდა ბროსე.



ქართველთა აზრით დიდ გავლენას ახდენენ სამყაროზე, ყოველ მათგანს საკუთარი გავლენის სფერო აქვს განკუთვნილი: მზე მეფეა, მუშთარი — კანონმდებელი, მარეხი — ომების მომასწავებელი, მთვარე — მიჯნურთა მფარველი და სხვა. აქ ბროსე ხედავდა რომანტიზმის კვინტესენციას, რაც განსაკუთრებით გამოკვეთილია ავთანდილის ლოცვაში, რომელიც ბროსეს ორფეოსის მითს აგონებდა.

შრომაში — „ქართული პოეზიის გამოკვლევა“ — ცალკე ადგილი ჰქონდა დათმობილი „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახელებსა და მათ ადგილსამყოფელს (თავი VII). აქ ბროსე იწყებდა ნაწარმოების სადაურობის გამორკვევას და უკვე ეპკვი ეპარებოდა რუსთაველის სიტყვებში: „ესე ამბავი სპარსული“. რომელიც აღმოსავლური. ზღაპრებისათვის დამახასიათებელ ფიქციად მიაჩნდა. პერსონაჟები სპარსულ სამოსში გახვეულნი ხასიათებით. ქართველნი არიან და ბროსე თვლის, რომ ავტორი განგებ ცდილობდა მიეჩქმალა სინამდვილე და სპარსულად გამოეცხადებინა საქართველოს რეალისტურად ამსახველი თხზულება. რუსთაველის ამგვარი შენიღბვის მანერას ბროსე აღარებს ფრანგი მწერლის ლესაჟის „ეილბლაზის“ ავტორის განცხადებას — ეს ნაწარმოები მელქიორ დე ლარონდას ხელნაწერებში აღმოვაჩინეო.

ბროსე როსტევეანისა თუ ნესტანდარეჯანის სახელებს ეძებს საქართველოს ისტორიაში და პოულობს კიდევ. და არაქართულობის დამამტკიცებლად სრულიადაც არ მიაჩნია თუ ვერ იპოვნის მათ, თუ პერსონაჟთა სახელები ქართული არ იქნება. ბროსე ამ მხრივ პარალელს ავლებს თავის მშობლიურ ლიტერატურასთან, სადაც საკუთარი სახელების წარმოშობის ძიებაში მკვლევარს მოუხდება რეინის გადაღახვა, ჩრდილოეთის საზღვრების გავლა, საფრანგეთის შორს ჩამოტოვება. საფრანგეთში, ისე როგორც საქართველოში, ბროსეს ბევრი არ ეგულებოდა ისეთი საკუთარი სახელი, რომელიც მშობლიურ იდიომებიდან იქნებოდა წარმოშობილი.

ინდოეთის 7 სამეფოდ დაყოფა პირველად გაუგებარი იყო ბროსესათვის, რომელსაც ამ პერიოდში ეგონა, რომ ნაწარმოების მოქმედება საქართველოში არ მიმდინარეობდა და საკით-

ხის გამოკვლევას ინდოლოგებს ავალებდა: ეს საკითხი პეტერ-ბურგში ჩამოსვლის შემდეგ ნათელი გახდა მისთვის როცა გაიგო, რომ ინდოეთის შვიდ სამეფოში იყო გამოხატული სწორედ საქართველო, რომლის მეფეები თავისთავს უწოდებდნენ: „მეფე შვიდთა მეფეთას“.

მანამდე კი საფრანგეთიდან სთხოვდა თეიმურაზს ბროსე გეოგრაფიული ადგილების გარკვევას: „...მეორედ ესეცა გთხოვთ სად არიან ადგილნი ესე შავთი, დილარგი, თმოგვი...“

ყოველი საჭირობოროტო საკითხის გასაგებად ბროსე თეიმურაზს მიმართავდა, რომელიც ვით ქართველ პატრიოტსა და ქართული ლიტერატურის უდიდეს გულშემატკივარს შეეფერებოდა, ვრცელ ახსნა-განმარტებებს უგზავნიდა თავის „შეგირდს“. ახსნა-განმარტებები არა ერთი და ორი იყო. აი, ბროსე წერს: „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო ტაეპის გამო: „გთხოვთ, რომ გვითხრათ ამ შაირებში თუ რაიმე ნაკლებება აქვს თუ არაო“. და რადგან ტაეპი სწორედ არ იყო გადაწერილი, თეიმურაზი უსწორებდა. „...აბდულმესია შავთელსა ლექსი მას უთქვამს რომელსა“, აქ „უთქვამსზე“ გადასმულია ხაზი და მიწერილია „უქეს“; „დილარგელს“ უწერია ბროსეს, თეიმურაზი უსწორებს — „დილარგეთად“, „ცრემლდაუშრომელსა“ — „ცრემლშეუშრობლად“ და ა. შ.

ეს ბოლო ტაეპი მრავალი მიწერ-მოწერის საგნად გადაიქცა ბროსესა და თეიმურაზს შორის. ბროსეს განსაკუთრებით აინტერესებდა მესამე სტროფი, რომელიც მეტად ძნელად გასარკვევი იყო, რადგან „ესეოდენნი სახელნი მიცემითსა ბრუნვასა შინა“, როგორც თეიმურაზისადმი 1834 წელს მიწერილ წერილში ეწერა, აბნევდა. 1877 წელსაც ასევე ამბობდა ბროსე: „დილარგეთს“ მოცემულია დატივში და ნაგულისხმევი ირიბი ზმნის შედგენილი ქვემდებარეაო. ბროსე თეიმურაზ ბატონიშვილის მითითებით „დილარგეთს“ ორ სიტყვად განიხილავდა — „დილარ“ და „გეთ“. „გეთ“ სარგისის გვარად მიანდა, მით უმეტეს, რომ ბროსემ იცოდა საათაბაგოში და იმერეთში, რომ გეთისშვილები კიდევ ცხოვრობდნენ. ბროსე აქ საკითხის გამო განიხილავდა პროფესორ ჩუბინაშვილის, ანტონ კათოლიკოსის, პლატონ იოსელიანის ერთმანეთის საწი-

ნალმდეგო მოსაზრებებს და თვითონ საბოლოოდ ასე კითხულობდა ამ სტროფს: „გეთ სარგისმა თმოგვიდან აქო დილარ“.

თეიმურაზ ბატონიშვილისათვის მიუმართავს ბროსეს მაშინაც (1834 წ. 16 ნოემბერი), როცა დაინტერესებულა ტაეპით: „მისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს ვით მშიერი-სა...“ განმარტებაც მიუღია და შესაძლებელი გამხდარა ფრანგულად ეთარგმნა.

თეიმურაზის წერილები სავსეა ამგვარი ახსნა-განმარტებებით. ერთ-ერთ მათგანში (1832 წ. იანვარი) თეიმურაზი განიხილავს მაჯამას, უხსნის ბროსეს მის თავისებურებას. „მაჯამა ანუ დაბოლოება ლექსების ესე იგი რიფმა ერთის ლექსთა აქვთ, მაგრამ იმ ერთს ლექსსა მნიშვნელობა სხვადასხვა რიგათა აქვსო“ და მოჰყავს შემდეგი ტაეპი, სადაც თვალსაჩინოსა ხდის მოცემული მაჯამის ყოველ მნიშვნელობას:

I. „ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს“ —

საუბარი ასწილად განამრავლეს — უხსნის თეიმურაზი;

II. „ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს“ —

სადაგი ლიტონს ნიშნავს. ერთმანეთს ლიტონის სახით მიუახლოვდეს;

III. „ყმა ეტყვის, თუ: „შენთა მკვრეტთა თავი ხელი, ა, სადაგეს“ —

შენმა ყურებამ განმკურნა და ასწილად მომმატა სიყვარული.

IV. „და ცეცხლთა, მანით მოღებულთა, გული ჩემი ასადაგეს“. —

ჩემი გული ასწილად დაადაგეს, დაწვეს — უხსნის თეიმურაზი.

თეიმურაზის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ აქა-იქ მიმობნეული განმარტებები თანდათან იზრდებოდა, სისტემაში მოდიოდა და ზოლოს 1843 წელს დასრულდა კიდევ იმ სახით, როგორც ეს მოცემულია მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან რუსთველოლოგიურ შრომაში — „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნის“

ნისა“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960 წ.).

შრომა თეიმურაზმა მანამდე გადასცა ბროსეს სათარგმნელად, სანამ დაასრულებდა, დაახლოებით 1841 წლამდე. ამის გამო თეიმურაზი წერდა ბროსეს: „...ამის გარდა გთხოვ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ განმარტება, რომელიც მე განვმარტე თქვენა გქონდესთ, თქვენთან შეინახეთ და როცა მოიცილდეთ ფრანციუტულად სთარგმნეთ. სხვას ნურავის ნუ მისცემთ: ჩემი ნება არ არის, რომ სხვას ვისმეს მისცეთ. და ნახევარსაც განმარტებისას რას წამს შევეასრულებ იმასაც თქვენ მოგართმევთ სათარგმნელადა“.

„როცა მოიცილდეთო“ წერდა თეიმურაზი, რადგან იცოდა, რომ მისი მეგობარი ნიადაგ მოუცლელი იყო და ამიტომ ვერც შესძლო თეიმურაზის თხოვნის შესრულება.

უამრავმა საქმემ გადაადებინა გვერდით ბროსეს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაც, რომელიც ჯერ კიდევ 1828 წელს დაიწყო და ნაწყვეტი პროზად თარგმნილი (როსტევეანის ამბავისა დასაწყისი) გამოაქვეყნა კიდევ — „როსტევეანის პირველი ამბავი“ („ახალი საახიო ჟურნალი“, 1828 წ., ტ. II).

1831 წელს დაბეჭდა პროზად თარგმნილ ცალკეულ ადგილებთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსიც („ახალი საახიო ჟურნალი“, 1831 წ., ტ. VII).

ბროსე მეტისმეტად რთულ საკითხად თვლიდა „ტარიელის“ თარგმნას (პირველ ხანებში ბროსე „ვეფხისტყაოსნის“ უწოდებდა „ტარიელს“). ამ მშვენიერი თხზულების უდიდეს უპირატესობად მიაჩნდა სტილი, რომელიც მას აცისკროვნებს და იპყრობს მკითხველსო. ამ სტილის გადმოცემა კი მეტად ძნელია თარგმანში, მით უმეტეს დასავლეთ ქვეყნისათვის, სადაც აღმოსავლური პოეზია და განწყობილება უცხო და გაუგებარია.

ბროსე ამასთან დაკავშირებით იგონებდა დიდად გონიერსა და ღრმად განსწავლულ მასწავლებელს, აკადემიკოს სენმარტენს, რომელსაც უწოდებდა „მისაბაძ ნიმუშს“. სენმარტენიც ჩინური ლიტერატურის ფრანგულად თარგმნისას ამგვარ სიძნელებს აწყდებოდა.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის მეთოდის გარჩევისას, ბროსე „როსტევანის ამბის“ საკუთარ თარგმანს იგონებდა, როცა ცდილობდა ორიგინალის არც ერთი სიტყვა არ დაეკარგა. ასეთი ხასიათის თარგმანით „ტარიელი“ ფრანგებისათვის იქნებოდა მეტად უცნაური, უაზრო ნაწარმოები. მეტისმეტი მონდომება თვითეული სიტყვის ზუსტი გადაცემისა დაამახინჯებდა ნაწარმოებს. ხოლო თუ მთარგმნელი მხოლოდ აზრის გადმოცემას შეეცდებოდა, მაშინ სიტყვა დაიკარგებოდა, შეიქმნებოდა ახალი ნაწარმოები, რომელზედაც რუსთაველი უარს იტყოდა, რადგან გაუძნელდებოდა საკუთარი შემოქმედების ცნობა. ამ მეორენაირი თარგმნის ნიმუშად ბროსე ისევ საკუთარ თარგმანსა თვლიდა („ქართული პოეზიის გამოკვლევა“. წერილი III).

საბოლოოდ ბროსე ასკვნიდა: მხატვრული ნაწარმოები უნდა ატყვევებდეს, ხიბლავდეს მკითხველს. რუსთაველი, რომ საფრანგეთში დაბადებულყო და არა საქართველოში, ხომ ფრანგების გემოვნების მიხედვით შექქმნიდა თავის ნაწარმოებს, შეუხამებდა მათ ენასა და ზნე-ჩვეულებებს. ამიტომ მთარგმნელმა თავი უნდა აარიდოს თარგმნის ზემოაღნიშნულ ორ უკიდურესობას და ფრანგ მკითხველს გადაუშალოს „ვეფხისტყაოსნის“ ზუსტი სურათი, არც ისე სიტყვა-სიტყვითი. როგორც პირველი თარგმანი და არც მეორე თარგმანივით თავისუფალი. ამგვარი თარგმანი, ბროსე დარწმუნებული იყო, უქველად მოეწონებოდათ ევროპაში და სიხარულითაც შეხედებოდნენ მას. ბოლოს ბროსე დასძენდა: მეცნიერებს კი, რომლებსაც სურთ უფრო ზუსტად, უფრო სიტყვა-სიტყვითა და ახლოს იცნობდნენ ნაწარმოებს შეიძლება ლათინურ ენაზე გადაეუთარგმნოთ ეს დიდი თხზულებაო.

ბროსეს არქივში დაცულია 1828 წელს საკუთარი ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ E და F ვარიანტები რვეულის მარჯვენა გვერდზე დაწერილი, ხოლო მარცხენა გვერდზე ახალბედა მთარგმნელის მიერ დაწყებული თარგმანი. ფრანგულად თარგმნილ სათაურის ქვეშ ქართულად სწერია: „ვეფხისტყაოსანი, ტარიელისა და ნესტან დარეჯნის მიჯნურობა, რუსთაველისაგან, ფრანციცულად გარდმოთარგმანებული ბრო-

ვ ე ფ ხ ვ ი ს - ტ ე ა ო ს ა ნ ი

რუსული

# ВАРГОВА КОЖА

პოემა დაწერილი

შოთა რუსთველის მიერ.

ახლად დაბეჭდილი

შერეობულია ღვაწლითა უფალთა

ბროსეც. ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინაშვილისათა

---

ს ა ნ კ ტ - ვ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ს

სტანბაში საკელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა

1841

თავფურცელი შოთა რუსთაველის -ვეფხისტყაოსნისა. რომელიც გამოცემულია 1841 წელს პეტერბურგს მარი ბროსეს, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინაშვილის რედაქციით (დაატარავებულია).

სეტისაგან. ჩყლბ, პარიზს“. მრავალ წელს მუშაობდა ბროსე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაზე, მაგრამ ეს მეტად ძნელი სამუშაო იყო და უამრავ საქმეებში ჩაფლულ ბროსესათვის შეუძლებლი.

1712 წლის „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა ბროსეს პეტერბურგში მოღვაწეობის დროს ბიბლიოგრაფიული იშვიათობას წარმოადგენდა და ძვირად ფასობდა. ამიტომ 1840 წლის 18 დეკემბერს პეტერბურგის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის სხდომაზე ბროსემ ნებართვა ითხოვა საკუთარ ხარჯზე „ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად. ნებართვა მიიღო და ზაქარია ფალავანდიშვილთან და დავით ჩუბინაშვილთან ერთად საერთო ხარჯებითა და შრომით შეუდგა ამ საქმის სისრულეში მოყვანას.

გამოცემისათვის ბროსეს წინასწარ დიდ მზადებაზე და ჩატარებულ სერიოზულ მუშაობაზე მიუთითებს მის ბიბლიოთეკაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ეგზემპლარები: 1838 წელს სოფრენის მიერ ბროსესათვის გადაცემული ძველი ხელნაწერი ფრაგმენტი პოემისა; სვიმონ ტაბიძის მიერ გადაწერილი ვახტანგისეული რედაქცია მისივე კომენტარებით; პოემის არასრული პირი ბროსეს წარწერით — გადმომცა ბართოვმა 1840 წლის 10 ივნისსო; 1811 წელს იოანე იალღუძის მიერ გადაწერილი პოემის პირი ბროსეს წარწერით — მომცა შოპენმა 1840 წლის 23 იანვარს. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, რომელზედაც წარწერილია, რომ წინათ გიორგი ავალიშვილის საკუთრება ყოფილა, ახლა კი სავსეა შესწორებებით ახალი გამოცემისათვის. აქვე ვხვდებით იმერეთის დედოფალ ანასათვის 1823 წელს ასლან საფაროვის მიერ პეტერბურგში გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც შემდეგ პეტრე ქებაძის საკუთრება ყოფილა და პატრონს ბროსესათვის გადაუცია.

„ვეფხვის-ტყაოსანი“, პოემა დაწერილი შოთთა რუსთველის მიერ. ახლად დაბეჭდვილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა. სანკტ-პეტერბურღს, სტანბაში სახელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა“, გამოვიდა 1841 წელს 1 200 ეგზემპლარად. გა-

მოცემას ერთვოდა ბროსეს მიერ ქართულად დაწერილი წინასიტყვაობა, რომელიც ავტორის „ვეფხისტყაოსნის“ მრავალი წლის კვლევის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენდა.

რამდენადაც მეტს მუშაობდა „ვეფხისტყაოსანზე“, იმდენად მეტად იტაცებდა ბროსეს ეს „ტურფა თხზულება“, „წიგნი ესე ქართულს ენაზე უებრო და უამხანაგო“; რომლის „უმჯობესი მრავალი არ მოიპოვება“ თვით ევროპაშიაც. რამდენადაც მეტს სწავლობდა ამ ნაწარმოებს იმდენად მეტად რწმუნდებოდა ბროსე, რომ „რუსთველში შეერთებულია ყოველი ღირსება მწერლისა“ და „მისი სწორი აქამომდე არ გამოჩენილა“.

ბროსეს წინასიტყვაობა მნიშვნელოვან კვლევას წარმოადგენს რუსთველოლოგიაში იმდენად, რამდენადაც აქ პირველად იყო მოცემული მხატვრულ-იდეური გამოკვლევა ნაწარმოებისა, რომელსაც წინასიტყვაობის ავტორი ასე ახასიათებდა: „ზღაპრის ტურფა თხზულება, შაირების კეთილხმიანობა. სიტყვაალრჩევით ენამკვევრობა, ჰაზრების მშვენივრად დაწმასენა და ჭეშმარიტების მაღალი ფილოსოფიური მხატვრულობა“. ამ მხატვრობის ერთ-ერთ საუკეთესო თვისებად ბროსე თვლიდა თხრობის ლაკონიურობას, რომლის კანონებს პოულობდა „ვეფხისტყაოსნის“ მშვენიერს შესავალში“. აქ „მოცემული კანონები დროს ერთიანობისა“, რომელიც მოცემულია არისტოტელესთანაც, ავტორის მიერ დაცულია მთელს თხზულებაში, სადაც მოქმედება გრძელდება „13 წელიწადს, 9 თოვეს და რაოდენსამე დღეს თუ მეტ ნაკლებს. თუმცა დრო ესე გრძელია, მაგრამ რუსთაველის ხელოვნებითა ასე შემოკლებულია, რომ იმისი ანგარიში წამკითხველს დაავიწყდება“. ბროსეს ნიმუშად მოჰყავს „ორი მოგზაურობა ავთანდილისა, რომელიც გაგრძელდება ოთხ წელიწადზედ მეტს, მხოლოდ რაოდენსამე მუხლთა შეიცავს“. ბროსე რუსთაველის სიტყვის მოქნილობას, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“, შესანიშნავ ხერხს ხოტბას ასხამს და შეუღარებლად თვლის: „თუ სხვა მწერალი, ან ქართველი მეზღაპრე ყოფილიყო უთუოდ ზღაპარსა თვისსა გმირის დაბადებიდგან იწყებდა და გრძლად აღწერდა სიყრმესა მისსა. ხოლო რუსთველი, ტარიელის პირით, ყველას ასე მოგვითხრობს, რომ მოქმედების დროში არ



შევა არც მისი შობა, არც მისი სიკვამლეობა, არც უღაბნოში ათ წელ დგომა. ამისებრცა სხვანი გარემოებანი შემოკლებულ არიან“.

მხატვრული ღირსების თეორიულად გარკვევასთან ერთად, ბროსემ პირველმა განიხილა „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის საკითხიცა და პერსონაჟთა დახასიათებაც მოგვცა. ასევე პირველმა თქვა: ეს „ბრძნული და ამალღებული“ ნაწარმოები ხასიათების რომანიაო („ქართული რომანის „ამირან-დარეჯანიანის“ განხილვა). მისი აზრით პოემაში თვითეული პერსონაჟი განასახიერებს კეთილშობილ იდეას, ყოველი ამბავი რაიმე აზრის გაშლას და ფორმის, ლექსის ელვარება სიუჟეტის ბუნებრივი სილამაზის გამაძლიერებელია. რუსთაველს მოქმედი პირნი გამოყვანილი ჰყავს კონკრეტულ იდეათა მხატვრული გადმოცემის საშუალებად: „თვითო მოქმედი პირი თვითო რასამე იდეასი წარმომადგენელია“, ისევე როგორც „ილიადაში“ აღამემნონ მაღალ ხელმწიფებას გამოხატავს და „ახილეს სრულის და უნაკლულო გულოვნობას“, ასევე „თინათინ და ავთანდილ წარმომადგენენ მარტივსა სიყვარულსა, ფატმან ბედითსა მიჯნურობასა, ფრიდონ და ასმათ გულითად მეგობრობასა, ტარიელ და ნესტან-დარეჯან ფრიადსა სიყვარულსა“.

ბროსეს სრულიად უდავოდ მიაჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ ქართული წარმოშობის საკითხი, რომელზედაც ასევე მტკიცედ აცხადებდა, ჯერ კიდევ პარიზში 1831 წელს: „და ბოლოს, მე ვფიქრობ, რომ „ტარიელი“ ინდურია გარეგნულად, სახელებით სპარსული, დანარჩენით კი ქართული“. საქართველოს სინამდვილეზე აგებულად თვლიდა ბროსე ამ თხზულებას და ამიტომაც საქართველოს ისტორიაში ეძებდა მის ფესვებს: „თვით (რუსთაველს — რ. დ.) შეუთხზავს ზღაპარი ესე უფრო თამარ მეფის ქებისათვის და თვისი ქმნილება დაუწერია შეთანხმობითა საქართველოს მოთხრობისათა“. „...მომქმედნი პირნი „ვეფხისტყაოსნისა“ თვით ქართველნი არიან და წარმომადგენებენ თვითო მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდართა“, რის საბუთად ბროსეს მოჰყავს მაგალითი „ქართლის ცხოვრებიდან“ — ხვარაზმშაპის ტფილისს მოსვლა თამარ მეფის ცოლად სათხოვნელად, რაც რუსთაველს გადმოცემულა

აქვეს ზვარაზმშაპის ძის ნესტან-დარეჯანზე გამიჯნურების ეპი-  
ზოდში. ბროსე საქართველოს „ილიადას“ უწოდებდა „ვეფ-  
ხისტყაოსანს“ — ქართველი ერის ზნეჩვეულებათა ამ რეა-  
ლისტურ, შესანიშნავ სურათს, რომელიც გასაგებია რატომ  
არის „ესოდენ პოპულარული, რატომ აკერია ყველას პირზე  
და რატომ მღეროდნენ რასპოდები მას ყოველ ნაბიჯზე“.

ბროსე, რომელსაც პარიზში ყოფნის დროს ვერ გაეგო მი-  
ზეზი „ვეფხისტყაოსნის“ ამგვარი განდიდებისა, „რომლის სა-  
ხელს იმეორებდა კავკასიის ყოველი ექო“, პეტერბურგში ჩა-  
მოსული მადლობას უხდიდა მეცნიერებათა აკადემიას, რომ-  
ლის დახმარებით შესძლო ჩასწვდომოდა ამ „XII საუკუნის  
საქართველოს მხატვრულ ტილოს“.

ბროსე „ვეფხისტყაოსანს“ მაღალი ზნეობის მაღალდებელ  
ნაშრომად თვლიდა: „ესეც დიდი ქებაა რუსთველისა, რომ  
ამისთანა ზღაპარში არც ერთი უშვერი სიტყვა, ან კარგის  
სწავლების წინააღმდეგი“ არ იპოვებოდა და ამიტომ მეტად  
უკვირდა და უსაფუძვლოდ მიაჩნდა ანტონ კათოლიკოსის  
(რომლის შემოქმედებია დიდი თაყვანისმცემელი იყო ბროსე)  
სასტიკი კრიტიკა, მისი სიტყვები მიმართული რუსთველისად-  
მი: „ამაოდ დაშვრა, საწუხარს ესე“. ბროსე ასევე არ ეთანხმე-  
ბოდა ტიმოთე მიტროპოლიტსაც, რომელიც რუსთაველის შესა-  
ხებ წერდა: „ქართველ დედაკაცებს ასწავლა სიწმინდისა წილ  
სიბოროტე და სიბილწება“. თუმცა ბროსე ორივესათვის გამარ-  
თლებას პოულობდა როგორც სასულიერო პირებისათვის, ვი-  
ნაიდან „სამიჯნურო ზღაპარი მიუღებელი იყო სამღვდლო-  
თათვის“.

ამ მხრივ ბროსე აკრიტიკებდა ვახტანგ VI, რომელიც თავის  
კომენტარებში „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ მიჯნურობას,  
ადამიანურ გრძნობებს ხსნიდა, როგორც ღვთის ტრფიალს,  
ღმერთის განდიდებას, რაც ბროსეს მიაჩნდა „ფრიად უშესა-  
ბამი და უხამსად“. საერთოდ კი ბროსე დიდად აფასებდა ვახ-  
ტანგის ღვაწლს 1712 წელს თბილისში პირველად გამოცემულ  
„ვეფხისტყაოსნის“ გამო. „წიგნი ესე გარყვნილ იყო სხვა და  
სხვა მწერალთაგან, მისთვის ვახტანგ მეფემა, როგორც ჰომე-  
როსის სტიხები პირისტრასოსის მიერ გასინჯული იყო“—წერდა.

ბროსე ვახტანგ VI შესახებ—„ისე გასინჯა და შეამოწმა ძველთ ზელწერილებსა და შემდგომად დაჰბეჭდა“. ბროსე „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემების გაგებაში, ისევე, როგორც მისი ახლო მეგობარი თეიმურაზი, ხშირად ვახტანგის კომენტარებით ხელმძღვანელობდა. განსაკუთრებით, პოემის ორიგინალობის გაგებაში იზიარებდა ვახტანგის აზრებს, რომელზე დაყრდნობითაც თეიმურაზი ამბობდა, რომ ეს ნაწერები „შეიცავს თვის შორის, თუმცაღა ზღაპარსიტყვაობასა, მაგრამ ფრიადისა ხელოვნებითა შეწყობილ არს ესე, სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაქტერსა ზედა ენისა ჩვენისასა“ („განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“). ამასვე ამტკიცებდა ბროსეც: „გმირების ზნეობა, ყოფა-ქცევა, გულოვნობა, ძმური მეგობრობა, უთუოდ ქართველთ გულს, ზნეობას, ერთის სიტყვით ვსთქვათ, სრულს მათს ხარაქტერს გამოგვიხატავენ“.

ბროსე არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის უცხო წარმოშობას უარყოფდა, არამედ სხვა ქვეყნების ლიტერატურულ გავლენასაც და „უცხოთა აზიურთა ზღაპრების მიბადვით“ მის შექმნაზე გადაჭრით უარს აცხადებდა.

ბროსეს გამოცემა უფრო ვრცელია, ვიდრე ვახტანგისა და შეიცავს 1637 სტროფს. ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსნისადმი“ კრიტიკული მიდგომა ბროსეს თეიმურაზ ბატონიშვილმა შთააგონა. თეიმურაზ ბატონიშვილი მოწაფე იყო დავით ალექსიშვილისა (რეპტორისა), რომელიც ასწორებდა ვახტანგისეულ გამოცემას. ამის გამო თეიმურაზი სწერდა ბროსეს: „ვეფხისტყაოსნისა“ ამათს გარდა კიდევ რაოდენნიმე ჩემის ოსტატის დავით ალექსიშვილისაგან გამიგონია და ჩემს ვეფხისტყაოსანზედ აწერია, ვითომ ეს შემდგომი ლექსები ვეფხისტყაოსნის შოთა რუსთველისა ნათქვამი იყოს, დაბეჭდვაში დარჩომოდეს და ველარ ჩაეტანებინოსთ“. ვახტანგისაგან განსხვავებით, ბროსემ თავის გამოცემაში შეიტანა (არა მეცნიერული მიდგომით) ის სტროფები, რომლებიც აშკარად რუსთველისა არ იყო, მაგრამ „მშვენივრად თქმულია და ვეფხისტყაოსანსაც ეთანხმება. თუმცა სწორედ არ ვიცით ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყვნენ, რომ ჩაგვებეჭდა და

ამიტომაც ჩავუმატეთ“. ეს სტროფები ბროსეს პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცულ E ხელნაწერშიც შეხვედრია და თანაც ხელისმომწერთაც უთხოვნიათ მათი დატოვება.

ახალი სტროფების შეტანასთან ერთად ბროსემ ნანუჩა ციციშვილის მთელი ჩამატებანი გამოტოვა, რომლებიც აშკარად „რუსთველისა არ იყვნენ და ამის გარდა დიდი განხილვაც უნდოდა“.

„ვეფხისტყაოსნის“ დასტამბვისას გამომცემელთ დიდი სარედაქციო მუშაობის ჩატარება მოუხდათ და კომენტარებისათვის ველარ მოიცალეს. ბროსე კი საჭიროდ თვლიდა კომენტარებს, რომელიც მომავალ გამოცემას აუცილებლად უნდა დართოდა: „თუ კიდევ როდისმე დაიბეჭდება ვეფხისტყაოსანი, ნანუჩას მომატებაც და სხვა რა ეკუთვნის ამ წიგნს, თუ გინდ რუსთველისა არ იყოს, განხილვით უნდა დაიბეჭდოს“.

რადგან ბროსე არ ეთანხმებოდა ვახტანგის მოსაზრებას გამოთქმულს მის განმარტებაში, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ღვთიურ ტრფიალებზე იყო დაწერილი და მრავალი მოქმედება — საღმრთო წერილით განმარტებული, ამბობდა: „ვეფხისტყაოსანი ზღაპარია და არა საღმრთო წერილი“. კომენტარების დაბეჭდვას თავი აარიდა და მის ნაცვლად თავის გამოცემას დაურთო ლექსიკონი ისეთი სიტყვებისა, რომლებიც სასაუბრო ენაში არ იხმარებოდა და ძნელი გასაგები იყო.

ბროსემ თავისი 1841 წლის გამოცემით საფუძველი ჩაუყარა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულად დამუშავებული ტექსტის შემდგომ გამოქვეყნებას.

„ვეფხისტყაოსნის“ მძლავრმა მხატვრულმა გენიამ ბროსეს აღუძრა სურვილი ქართული პოეზიის თეორიულ საკითხებს გასცნობოდა, ჩასწვდომოდა ქართული ლექსისა და მუსიკის არსს. ეს არც თუ ისე ადვილი იყო მაშინ, როცა ქართული პოეტიკის საკითხები, ისიც „ვეფხისტყაოსნისა“ არა თუ ბროსეს დროს, დღესაც კი მეცნიერულად საბოლოოდ ჩამოყალიბებულად არ ითვლება<sup>12</sup>.

1830—1831 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომის „ქართული პოეზიის გამოკვლევის“ პირველ წერილში, რომელიც შემდეგ ცალკე ბროშურად გამოვიდა, სათაურით—„ქართულის შაი-

რობისათვის“, ბროსე შეძლებისდაგვარად განიხილავდა საერთოდ ქართულ პოეტიკას და კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ მეტრს.

ენების ჰარმონია, ამბობდა ბროსე, გამომდინარეობს ხმოვანთა და თანხმოვანთა კანონზომიერი, პროპორციული ურთიერთ შერევისაგან. ამ მხრივ იდეალურად თვლიდა ბერძნულ ენას. ქართული ენა კი ხმოვანების ძუნწად ხმარების გამო, ბროსეს აზრით, ნაკლებ კეთილხმოვანია. ფრანგის ყურს ეხამუშებოდა თანხმოვანთა ამგვარი თავმოყრა: „ფატმან რა ნახა შეშინდა, ძრწის და მიეცა ძრწოლასა...“ „ქალი შეცბდა გაუკვირდა, ავთანდილის გვერდსა ჯდომა...“

ბროსე სინანულს გამოთქვამდა, რომ ქართული მუსიკა მისი მოღვაწეობის პერიოდში მხოლოდ ზეპირი ტრადიციებით გადმოიცემოდა და ამიტომ ძველი მუსიკის შესახებ მსჯელობა შეუძლებელი იყო. ქართული ძველი საეკლესიო სიმღერები კი ბერძნების დარბაისლურ და მელოდიურ პანგებს, აგონებდნენ ბროსეს. რადგან მას ქართული მუსიკის არც თეორიული, არც პრაქტიკული ცოდნა არ გააჩნდა, ეძებდა სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებში შესაბამის მოსაზრებებს.

საკრავებიდან მკვლევარი ასახელებდა სალამურს, საომარ ბუქსა და დავითის ქნარს. ქართული ეროვნული სიმღერების მეტად ძველ წარმოშობას აღნიშნავდა, მაგრამ მეტს ვერაფერს ამბობდა მუსიკის შესახებ.

დაახლოებით 1830-იან წლებს ეხება ის პერიოდი, როდესაც ბროსემ ქართულ მუსიკასა და ვერსიფიკაციაში გარკვევა მოინდომა, მაგრამ ეს მეტისმეტად რთული საკითხები დაუძლეველი დარჩა. გაარკვია მხოლოდ ის, რომ ქართული ლექსთწყობა ევროპაში დამუშავებულ ვერსიფიკაციის კანონებს არ ექვემდებარებოდა და რომ ქართულ ლექსს მეტად თავისებური ადგილი ეჭირა მსოფლიო პოეზიაში.

ბროსე ასევე მეტად თავისებურ მოვლენად თვლიდა „თამარიანს“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ დაწერილად მიაჩნდა („ქართული პოეზიის გამოკვლევა“). ორივეს ავტორად აცხადებდა შოთა რუსთაველს — ჩახრუხაძეს და საბუთად მოჰყავდა „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები:

„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვნება...“  
„მე, რუსთველი, ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი...“  
„თამარს ვაქებდით მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხული...“  
„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა...“

აღსანიშნავია, რომ ბროსეს ეს მოსაზრება „ვეფხისტყაოსნისა“ და „თამარიანის“ ერთი და იმავე ავტორის შესახებ საქართველოშიც წარმოიშვა. ბროსეს აზრი მოგვიანებით გაიზიარა ნიკო მარმა („Древне-грузинские одописцы“. — „Тексты и разыскания“, IV) და ნაწილობრივ მ. ჭანაშვილმაც (გაზეთი „ტრიბუნა“, 1923 წ., № 466).

ბროსე არკვევდა „თამარიანის“ ლექსთწყობას, მეტრს და აქედან მოყვანილ ნიმუშებს ფრანგულად თარგმნიდა. ახასიათებდა ჩახრუხაულს, თამარისადმი მიძღვნილ ხოტბას, როგორც მეტად ორიგინალურ პოეტურ ქმნილებას, რომელიც ვერსიფიკატორული დიდი ნიჭით დაჯილდოებულ პოეტს შეუქმნია ეპიტეტების მოხერხებულად, გართმულად განლაგებით. ტაეპში ერთი და იგივე რითმა თექვსმეტჯერ მეორდება და ამგვარი რითმით წარმოიშვება ჰარმონიული კადენცია. ყურისათვის მეტად სასიამოვნო სიმფონია.

ბროსე „თამარიანის“ უდიდეს მხატვრულ, ესთეტიურ ღირსებას ქართული ენისათვის დამახასიათებელ სიტყვის თამაშზე ხედავდა, ლექსის მექანიზმში, რომლის თარგმანი შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან მიუღწევლადა სთვლიდა ფორმის ადეკვატის შენარჩუნებას თარგმანში.

ბროსე განიხილავდა შაირთან და ჩახრუხაულთან ერთად ქართული ლექსის სხვა ზომებსაც, როგორცაა: რული, სიგნაკორული, წყობილი, საეკლესიო იამბიკო, ფისტიკაური. არჩევდა გონებამახვილ ფრანგებისათვის, რომელთაც ისე უყვართ კალამბურები, მეტად საინტერესო „ზმას“.

ქართული პოეტიკით ასეთი დაინტერესება ბროსესი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარიღდება 1830 წლით, როცა თეიმურაზ ბატონიშვილთან თანამშრომლობა ის იყო იწყებოდა. ბროსეს მრავალრიცხოვანმა შეკითხვებმა ამ დარგში თეიმურაზ ბატონიშვილს დააწერინა „გვარნი ანუ საზომი ქართულისა ენისა სტიხთა“, რომელიც ბროსეს დაკვეთით შეიქმნა.

„ვეფხისტყაოსნის“ ბოლო ტაეპის გარკვევის მიზნით, გაგზავნილი შეკითხვის პასუხად, ბროსემ თეიმურაზ ბატონიშვილისაგან მიიღო წერილი (1838 წ.), საიდანაც მისთვის ცნობილი გახდა შავთელის პოეზია და მისი ცხოვრების ზოგიერთი მომენტი.

თეიმურაზი წერდა ბროსეს: „შავთელს ერის კაცობაში თითონაც აბდულმესია რქმევია სახელად, ისიც მდივანი თამარისა. ბოლოს ბერად გელათში შედგა და იოანე იწოდა. მას დაუწერია ლექსად საკვრველის შეთხზვით მოთხრობა აბდულმესიასი ვისიმე და ასე იტყვიან ჩვენში მომთხრობელნი, რომ ამისთანა საქები ლექსები არაოდეს ქართულ ენაზედ არ დაწერილიყოს. თითქოს რუსთველის ლექსებსაც სჯობნიდეს. თვით რუსთაველიც ემოწმება — ლექსი ვის უქეს რომელსა“.

თეიმურაზს ბროსესათვის გამოუგზავნია შავთელის თამარის ქება, რომელიც ბროსემ ფისტიკაურის ნიმუშად გამოაქვეყნა.

თეიმურაზი ქართული მწერლობის ბედობლით მუდმივ დაინტერესებული აღნიშნულ წერილში გულისტკივილს გამოთქვამდა შავთელის ნაწერების დაკარგვის გამო: „ჩვენ უბადრუკ ქართველებს ის საკვირველი სტიხები შავთელისა, აბდულ მესიის წიგნი დაკარგვიათ, პაპას ჩემს მეფე ერეკლეს მრავალი უძებნებინებია, დიდი სურვილი ჰქონია იმისის ლექსების, მაგრამ ის წიგნი ველარ უპოვნიათ. სხვა ლექსები კი არის შავთელისაგან შეთხზული, — თამარ მეფის ქება და რომელნიმე სხვანი დიახ ურჩეულესნი“.

თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც ერიდებოდა მშობლიური მწერლობისადმი უზომო სიყვარულით გამოწვეული მრავალსიტყვიანობა მომაბეზრებლად არ მოსჩვენებოდა ჭერ მაინც უცნობ ბროსეს, ბოდიშსაც კი იხდიდა ამის გამო: „მე არ მსურდა რაიმე აუხსნელად არ დამეტოვებინაო“. ბროსე, რომლისთვისაც ესოდენ ძვირფასი იყო თვითოეული სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ, უპასუხებდა: „ამ კომენტარების პატივცემული ავტორი ბოდიშის კი არა, დიდი მადლობის ღირსია აღმოსავლური ლიტერატურის მეგობრების მხრივო“.

ბროსე ასევე თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობებზე და მის მიერ გამოგზავნილ პირველწყაროებზე დაყრდნობით გაეცნო იოანე პეტრიწს, როგორც ფილოსოფოსს, პოეტს, გრამატიკოსს და პლატონის დიალოგების მთარგმნელს.

როდესაც გამბობთ გაეცნო-მეთქი, ეს იმას ნიშნავს, რომ ბროსე თვითოეულ ცნობას თარგმნიდა და აქვეყნებდა „სააზიო საზოგადოების“ პერიოდულ ორგანო „სააზიო ჟურნალში“, საიდანაც ფრანგი საზოგადოება და ფრანგულის მკოდნე დაინტერესებული პირები ეცნობოდნენ ქართული მწიგნობრობის საკმაოდ მრავალმხრივსა და საინტერესო ნიმუშებს, რომელთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა თეიმურაზ ბაგრატიონისა თუ სხვა ქართული კულტურის მოყვარეთა წყალობით.

ბროსეს არ დასცალდა, რომ ყველა დაწყებული შრომა ბოლომდე მიეყვანა. მის არქივში დაცული ხელნაწერებიდან ბევრი დაუმთავრებელია და ბევრიც უკვე დასრულებული, მაგრამ მათი საბოლოო რედაქციულ დამუშავებისა და გამოცემისათვის ბროსემ ვეღარ მოიცალა. ერთ-ერთი ასეთი შრომა იყო „ვისრამიანი“, რომლის შესახებ მხოლოდ გაკვრით ჰქონდა გამოთქმული აზრი. „ვეფხისტყაოსნის“ განხილვის დროს კი აღნიშნავდა „ვისრამიანის“ ეროტიულ ხასიათს. ბროსეს არქივში დაცულია ამ ნაწარმოების პირი. აღნიშნული ხელნაწერი დიდი ფორმატისაა და შეიცავს 624 გვერდს. ყდაზე ფრანგულად წარწერილია: „რომანი ვისრამიანი, დაწერილი სარგის თმოგველის მიერ. გადაწერილი სააზიო მუზეუმის ხელნაწერიდან იოსებ ნაზაროვისა და სიმონ ტაბიძის მიერ 1843—1851 წ.“. ჩანს ბროსეს გადაწყვეტილი ჰქონდა მისი თარგმნა და სააზიო მუზეუმის ხელნაწერიდან გადააწერინა ნაზაროვსა და ტაბიძეს. აქედან ბროსეს უთარგმნია 11 გვერდი ფრანგულად. „ვისრამიანის“ თარგმნა დაუწყია 1851 წელს, როცა ბროსე პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში მეტად ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა და თან „საქართველოს ისტორიის“ შედგენას ამთავრებდა. ამიტომაც „ვისრამიანის“ თარგმნა გვერდზე გადაუდვია.

„ვისრამიანის“ მთარგმნელად ბროსეს სარგის თმოგველი მიაჩნდა. ემყარებოდა თეიმურაზ ბაგრატიონის აზრს, რომელ-



მაც „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში, ქართული ლიტერატურის ისტორიაში პირველმა თქვა, რომ სარგის თმოგველი ავტორი „დილარიანისა“, „ვისრამიანის“ მთარგმნელსაც წარმოადგენდაო.

„ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელ ტაეპს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. ამ ოთხი სტრიქონიდან შემორჩენილი ტრადიციით, სხვა ნაწარმოებებთან ერთად, „ამირანდარეჯანიანი“ ცნობილი იყო, როგორც ქართული ლიტერატურული ძეგლი და მის ავტორად მოსე ხონელი ითვლებოდა.

მარი ბროსესთვის უკვე 1828 წელს ცნობილია „ამირანდარეჯანიანი“, რომელზედაც ვრცელი ცნობები 1834 წელს გამოუგზავნა კვლავ თეიმურაზ ბატონიშვილმა. ხოლო პეტერბურგში ჩამოსვლის შემდეგ, როცა თეიმურაზის ბიბლიოთეკა მის სრულ განკარგულებაში გადავიდა, თვით „ამირანდარეჯანიანის“ ხელნაწერსაც გაეცნო. გადაწერილი იყო პოლკოვნიკ ვახტანგ ორბელიანის დავალებით 1808 წელს ბერი დიმიტრის მიერ. ხელნაწერი ორბელიანს მოსკოვში ბაგრატ ბატონიშვილისათვის გასაგზავნად დასჭირვებია. ნაწარმოებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბროსეზე. მას სპეციალური შრომაც კი მიუძღვნა. იგი 1837 წლის 15 სექტემბერს წაუკითხა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სხდომას და ამავე წლის 14 ოქტომბერს მოათავსა აკადემიის პერიოდულ ჟურნალში — „ქართული რუმიანის „ამირანდარეჯანიანის“ განხილვა“ („ბიულეტენ სიანტიფიკ“, 1838 წ., ტ. III).

ბროსეს „ამირანდარეჯანიანი“ მიაჩნია თამარ მეფის დროს შექმნილ ნაწარმოებად, ისევე როგორც ქართულ თხზულებათა უმრავლესობა, საზოგადოების მოწონებით რომ გამოირჩეოდნენ. „ამირანდარეჯანიანის“ ავტორად ბროსე ტრადიციის მიხედვით მოსე ხონელსა თვლიდა. იგი თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, თამარის მდივან-მწიგნობარი იყო. მწერლის სამშობლოდ კი ასევე ტრადიციის მიხედვით ბროსე აღიარებდა ხონს.

დასახელებულ შრომაში ბროსე დაწვრილებით გადმოსცემდა „ამირანდარეჯანიანის“ შინაარსს და თარგმნიდა თვითოეუ-

ლი კარის სათაურს. განიხილავდა შის ენას, კომპოზიციას, მწერლის მხატვრულ ხერხებს.

ბროსე „ამირანდარეჯანიანისადმი“ მიძღვნილ შრომის დასაწყისში ამბობდა: ქართველებს მგზნებარე წარმოდგენა აქვთ, დაჯილდოებული არიან გმირული სულით და უებრო რაინდებად ითვლებიან. მათ უყვართ დიდი საქმეებისათვის თავგანწირვა და მისი ამსახველი თავგადასავლების მოყოლა, წაკითხვა და მოსმენა, ვითარც ჰომეროსის გმირებს, რომელთაც ესოდენ მიემსგავსებიან ქართველი გმირები.

ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურა, დასძენდა ბროსე, როგორც ქართული სინამდვილის ამსახველი გამოხატავს ქართველთა განწყობილებასა და მიდრეკილებას. ამიტომ მისი ლიტერატურული პერსონაჟები უბადლო მებრძოლები არიან, ხიფათის მაძიებლები, უაღრესად თავაზიანნი, დიდი ფიზიკური ძალითა და ვაჟკაცური გულოვნებით აღქურვილნი, შესანიშნავად აღზრდილნი, კეთილმოუბარნი, თავგანწირულნი.

ზემოაღნიშნული თვისებები ახასიათებთ ბროსეს თქმით „ამირანდარეჯანიანის“ გმირებს, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს.

ბროსემ შესანიშნავად აღწერა „ამირანდარეჯანიანში“ მოცემული „პატრონ-ყმური“ ურთიერთობის ძირითადი თვისებები: ქართული რაინდობის ანუ ჭაბუკობის, როგორც „ასირანდარეჯანიანში“ ეწოდება რაინდობას, ხასიათი, ძალ-ღონე და მამაცობა, ხელგაშლილობა და გულკეთილობა, მიჯნურისადმი ერთგულება და თავდადება. გმირები ყოველგვარ გაქირვებას იტანენ, არ უშინდებიან არავითარ საფრთხეს, პირიქით ისწრაფვიან ყოველგვარ განსაცდელისაკენ, რათა დაიპყრონ კეთილგანწყობილება, ტრფიალი თვალწარმტაცი სილამაზით შემკული, მზისა და სავსე მთვარის დარი ქალისა. ასევე თავგანწირვით ასრულებს ქართველი რაინდი თავისი პატრონის, სუვერენის ყოველგვარ სურვილს.

ქართველ გმირთა ეს მოქმედება, ბროსეს შუა საუკუნის ევროპის რაინდთა ლოზუნგს: „ღმერთი, მეფე და ქალები!“ აგონებს. ამიტომ ფრანგი მკვლევარი ხაზს უსვამს აღმოსავლური კულტურის გავლენას ევროპის ქვეყნებზე და

აღნიშნავს: XII საუკუნე იყო პერიოდი არაჩვეულებრივი მოძრაობისა, რომელიც დასავლეთის ქრისტიანთა შორის წარმოიშვა და რომელმაც რაინდთა ლაშქარი გაიტაცა ქრისტეს საფლავის გასანთავისუფლებლად. ამ დროიდან აღმოცენდა, განაგრძობს ბროსე, საფრანგეთში რაინდობა თავისი დამახასიათებელი აქსესუარებით: ღმერთისა და ქალის კულტი, სახიფათო თავგადასავლები, რაინდთა ასპარეზობა და სხვა, რომელიც, სწორედ აღმოსავლეთიდან შემოვიდა ევროპაში, რადგან აღმოსავლეთის, კერძოდ საქართველოს მგზნებარე ტემპერამენტისთვის უფრო დამახასიათებელი იყო ეს თავზეხელალებული რაინდობა, ვიდრე ევროპის ცივი და ზომიერი ჰავისათვის.

ბროსე განიხილავდა „ამირანდარეჯანიანის“ ენას; რომლის შესახებ ამბობდა, რომ ნაწარმოები გამოირჩევა ენის დახვეწილობითა და სიწმინდით. იგი ამჩნევდა ძველ ქართულ ენაში თანამედროვე სალაპარაკო ენის შემოქრას, რაც გამოხმაურებას პოულობდა ლიტერატურაში საერთოდ, და კერძოდ „ამირანდარეჯანიანში“, რომლის სტილი ბროსეს აზრით, მდიდარია და მქვევრმეტყველური აღმაფრენითაა აღსავსე. პერსონაჟები ისევე სინამდვილიდან აღებულნი, კეთილშობილი თვისებებით არიან აღჭურვილნი, როგორც საბერძნეთის საუკეთესო პოეტთა მიერ შექმნილი გმირები. „ამირანდარეჯანიანში“ აღწერილი გმირთა ვაჟკაცური შერკინებები და ბუნების ცოცხალი სურათები კლასიკური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი სიძლიერითა და ცხ.ოველმყოფელობით არის გადმოცემული და ბროსე ცდილობს განსაზღვროს ადგილობრივ ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული თუ საიდანმეა შემოტანილი ეს ნაწარმოები.

ამ კითხვაზე ბროსე უპასუხებდა საკუთარ ნაშრომებში, როცა ქართული ლიტერატურის რეალისტურ ხასიათზე ლაპარაკობდა, აღიარებდა ქართული ლიტერატურის თვითმყოფადობას და „ამირანდარეჯანიანსაც“ ქართული სინამდვილიდან, ქართული ხასიათებიდან აღმოცენებულადა თვლიდა. ხოლო „შეუძლებელია უცხო წარმოშობის თხზულებაში ადგილი ჰქონოდა ქართული სინამდვილის ისეთ ზუსტ სურათს, რომელსაც „ამირანდარეჯანიანში“ ვპოულობთ“, როგორც ამტკი-

ცებს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე („ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, 1952 წ., ტ. II, გვ. 72) და რომელზედაც მიუთითებს ბროსეც.

ბროსე „ამირანდარეჯანიანის“ ავტორის მხატვრულ საშუალებათა ერთ-ერთ მთავარ თვისებას ხედავს უამრავი ამბების ჯაჭვის ურთიერთგადაბმის მეტად ოსტატურ ხერხში, რომელიც „ათას ერთი ღამის“ ზღაპრების ერთმანეთთან დაკავშირების ხერხს აგონებს. „ათას ერთი ღამის“ მსგავსად „ამირანდარეჯანიანის“ ავტორიც ყოველთვის პოულობს საშუალებას ერთმა მთხრობელმა ამბავი მეორეს გადასცეს მოსაყოლად, მეორემ კი მესამეს და ა. შ. და თუ ამგვარად ამბების ძაფი ძნელი დასაქერი გახდება, ავტორის მიზანიც მიღწეულია. ბროსეს აზრით, ავტორს მიზნად დაუსახავს მკითხველის ყურადღება მიიპყროს და დაძაბოს. იმისათვის კი, დასძენს ბროსე, რომ აღაგზნოს ჯადოსნური ამბების მოყვარული მკითხველის წარმოდგენა ავტორი არაფერს იშურებს. ერთი გმირი მთელ ლაშქარს კუდიტ ქვას ასროლინებს. ერთი ხოცავს ათასებს. მეფეთა განძეული ოქროს მთებია და სხვა. ნაწარმოები სავსეა ფანტასტიკური გამოწვანებით, ჯადოსნური ხლართებით, ზღაპრული თავგადასავლებით, უცნაური ხიფათებით.

ამ ფანტასტიკური სურათების მიღმა მკვლევარი ხედავს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სურათებს, ქართული რაინდობის ნიშანდობლივ მხარეებს, პატრონ-ყმური ურთიერთობის აღწერას, რომელიც იმდენად რეალისტურია, რომ ბროსეს თავის წინაპარ ფრანგთა რაინდობასთან ერთად ხიფათის მაძიებელი რაინდი დონკიხოტიც აგონდება.

ბროსეს მიერ „ამირანდარეჯანიანის“ ასეთი დეტალური განხილვა, რომელსაც პრეცედენტი არ ჰქონია საქართველოშიც კი, საინტერესოა ერთი საყურადღებო ფაქტით: ბროსემ „ამირანდარეჯანიანის“ შესახებ ცნობები მიიღო პარიზში 1834 წელს თეიმურაზ ბატონიშვილისაგან. აქედან ბროსეს გაგებული ჰქონდა, რომ ნაწარმოები შეიცავდა 12 კარს. ბაგრატ ბატონიშვილისეული ხელნაწერი კი 14 კარისაგან შედგებოდა. უკანასკნელი ორი კარი ბაგრატ ბატონიშვილს საკუთარი ხელით მიეწერა 1814 წელს. ბროსე ამის გამო ამბობდა:

საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში პოპულარულ მწერალთა შემოქმედება იზრდება სხვა გამგრძელებელთა მეოხებით. ასეთივე ბედი ეწვია „ვეფხისტყაოსანს“ და გასაკვირველი არ არის თუ „ამირანდარეჯანიანსაც“ გამოუჩნდა გამგრძელებელი.

ეს ორი კარი „ამბავი ჭიმშერ, დილარის შვილისა“ და „ჭიმშერის შვილის, ჭიმშერ არ მოკლასი“, ბროსემ გამოჰყო ცალკე იმიტომ, რომ ისინი ძირითად კარებისაგან განსხვავდებოდნენ. თუმცა ამბობდა ბროსე, ავტორი ცდილა ხონელისათვის მიებაძა, მის მსგავსად დაეწერა, მაინც ფერებისა და სახეების ცხოველობითა და მგზნებარებით ვერ მიულწევია ხონელის ოსტატობისათვის. ის განსაკუთრებულად ამახვილებდა ყურადღებას მეშვიდე კარზე, რომლის თითქმის განმეორებას წარმოადგენდა აღნიშნული დამატება და ეს კი მოულოდნელად და წარმოუდგენლად მიაჩნდა ბროსეს ისეთი მდიდარი წარმოსახვის მწერალისაგან, როგორც იყო მოსე ხონელი. ასევე დაუჭერებლად მიაჩნდა ბროსეს მე-13 კარში მწერლის განცხადება — სარგის თმოგველის თხრობა მსურს განვაგრძო. აქედან წარმოშობილი დილემა: იცნობდა თუ არა მოსე ხონელი სარგის თმოგველს და მის შემოქმედებას, იყო თუ არა ეს ორი მწერალი ერთმანეთის თანამედროვე, ან რომელი მათგანი ცხოვრობდა უფრო ადრე, ძნელი დასადგენი იყო არა მარტო ბროსესათვის, არამედ დღევანდელ მკვლევართათვისაც. მაგრამ ბროსეს არც სჭირდებოდა ამ საკითხის გადაწყვეტა, რადგან მისი აზრით მოსე ხონელი იმდენად დიდი მწერალია, რომ იგი სხვისი შემოქმედების გაგრძელებას არ მოისურვებდა.

ეს იმდენად უფრო საინტერესოა, რომ თვით თეიმურაზიც კი, რომლის ბიბლიოთეკიდან მიიღო „ამირანდარეჯანიანის“ ბაგრატ ბატონიშვილისეული ხელნაწერი ბროსემ, 14-კარიან თხზულებადა თვლიდა ამ ნაწარმოებს: „მოსე ხონელს დაუწერია ამირან დარეჯანის ძის წიგნი დიახ მშვენიერი ზღაპარნი სავაჟაგო გმირთა და ძლიერთა მამაცთა ბრძოლანი, რომელიცა განიყოფების ათოთხმეტს კარად“ („განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“).

თეიმურაზი ეყრდნობოდა ბაგრატ ბატონიშვილის მოსაზ-

რებას, რამდენადაც თვითონ სპეციალურად „ამირანდარეჯანიანზე“ არ უმუშავნია.

ფართო მეცნიერულმა, ლიტერატურულმა ალლომ მიიყვანა ბროსე ასეთ სწორ დასკვნამდე. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე შეჩერდა ქართული ლიტერატურის ისეთი დიდი მკვლევარი, როგორც აკადემიკოსი კორნელი კეკელიძეა, რომელიც ამის გამო წერს: „როგორც ზოგიერთი ხელნაწერის გადამწერთ, ისე ახალი დროის მკვლევართ „ამირანდარეჯანიანის“ შემადგენელ ნაწილად მიუღიათ ორი ამბავი „ჯიმშერ, ხაზართა მეფის დილარის შვილისა“ და „ჯიმშერის შვილის, ჯიმშერ არ მოკლას და მზექაბუკისა“. აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ აღნიშნული კარების ტერმინოლოგიისა და ლექსიკის შესწავლის საფუძველზე დაამტკიცა, რომ ისინი დაწერილია შემდეგში, როგორც დამატება და გაგრძელება „ამირანდარეჯანიანისა“. ბროსეს მიერ ამ საკითხის წამოჭრა და მისი უარყოფითად გადაწყვეტა მეტად მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც საეჭვო თავების ავტორს ზედმიწევნით შეთვისებული აქვს არსი, სტილი და მანერა „ამირანდარეჯანიანისა“, „იმიტაცია უკიდურესობამდეა დაყვანილი“ — როგორც ამბობს აკადემიკოსი კეკელიძე. ამავე აზრისაა აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძეც, რომელსაც მათი დაწერის დროდ 1716 წლის შემდეგი პერიოდი მიაჩნია („ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, 1945 წ.).

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ასევე გადაქრით უარყოფს მოსე ხონელის მიერ სარგის თმოგველის „დილარიანის“ გაგრძელების შესაძლებლობას, როგორც მარი-ფელისიტე ბროსე მას თავის დროზე უარყოფდა.

## VII

### ბროსე და ალორძინების პერიოდის ქართული ლიტერატურა

„ახალი სააზიო ჟურნალის“ 1834 წლის XIV ტომში ორ წერილად გამოქვეყნდა ბროსეს ნაშრომი — „ლიტერატურული შენიშვნები ზოგიერთ ქართველ მწერალთა შესახებ“. ამ სტატიაში ბროსე სხვა პერიოდის მწერლებთან ერთად განიხილავდა ალორძინების ხანის ზოგიერთი მწერლის შემოქმედებას. სახელდობრ: „ომანიანს“, „ბარამ გულიჯანიანს“, „მირიანს“. ამ უკანასკნელ თხზულებას ბროსემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. თარგმნა ფრანგულად და 1835 წლის „ახალ სააზიო ჟურნალის“ XVI ტომში დაიწყო ბეჭდვა. თარგმანს წაუმძღვარა ნაწარმოების ზოგადი მიმოხილვა, სადაც ბროსე აღნიშნავდა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილისათვის ცნობილი არ იყო „მირიანი“, რომლის ხელნაწერი ინახებოდა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში. თეიმურაზი ამის გამო წერდა ბროსეს: „...მირიანი გითარგმნია. მე არ ვიცი რომელია და რა წიგნია. მირიანი მეფე იყო საქართველოსი, რომლის დროს ქრისტიანობა მიიღო საქართველომ. მეორე საერო წიგნიც არის მირიანის ზღაპარი. გამაგებინეთ იქნებ რამე ახალია“ (1833 წ. 16 მაისი). ბროსე აქვეყნებდა ნაწარმოების VII და XVI თავებს ქართულად და ერთგვარი კმაყოფილებით აღნიშნავდა: „კარგი იქნებოდა, რომ ევროპას აღმოეჩინა ეს ნაწარმოები თავის მშობლიურ ქვეყნისათვის“. „მირიანი“ ბროსეს ყურადღებას იპყრობდა ხალხური სალაპარაკო ენით, რაც მეტად ძვირფასი იყო ქართული ლიტერატურისა და ენის მკვლევარისათვის საფრანგეთში. საკუთარი სახელების ეტიმოლო-

გის ძიებაში, ბროსეს დახმარებია „ეკოლ სპესიალის“ ინდუ-  
რი ენების პროფესორი გარსენ დე ტასი, რომელსაც სახელთა  
მნიშვნელობა გაუშიფრავს მისთვის სპარსული და ინდური  
ენებიდან.

„მირიანის“ თარგმანი დაიბეჭდა 1835 წლის „ახალ სააზიო  
ჟურნალის“ XVI და 1836 წლის I ტომებში. ბროსეს ფრანგუ-  
ლი თარგმანიდან ნაწყვეტები ინგლისურ ენაზე ითარგმნა და  
გამოქვეყნდა „ლონდონის სააზიო ჟურნალში“ 1836 წლის  
XVIII და 1837 წლის XXII ტომებში, სათაურით: „მირიანი  
ქართული რომანი“.

ბროსეს გული სიხარულით ივსება, რომ ქართული კულ-  
ტურის საგანძურში საკუთარი წვლილის შეტანაც შეძლო.

დღითიდღე იზრდება მისი ქართულ ხელნაწერთა ბიბლიო-  
თეკა, სადაც სხვა ნაწარმოებთა გვერდით დევს „ყარამანიანის“  
განხილვის დასაწყისი. აქვეა ანავე ნაწარმოების პირველი ხუთი  
თავის ფრანგული თარგმანი; ბატონიშვილ ბარბალეს მიერ  
თეიმურაზ ბატონიშვილისათვის ნაბოძები ხელნაწერი „რუსუ-  
დანიანი“, საიდანაც 11 კარი ბროსესათვის გადაუწერიათ სი-  
მონ ტაბიძესა და გიორგი მაისურაძეს. „რუსუდანიანი“ არც  
თუ დიდად იყო მაშინ ქართველებისათვის ცნობილი და მის  
კრიტიკულ განხილვაზე ხომ ვერაფერს ვიტყვივით.

საქართველოს ისტორიით გატაცებულ ბროსეს, რომელიც  
ყოველ თავის ნაშრომში აღიარებდა აღმოსავლეთის უდიდეს  
პრიმატს დასავლეთთან შედარებით და მტკიცედ სწამდა, რომ  
ევროპის გონებრივი წინსვლისათვის და პოლიტიკური ვითარე-  
ბისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა აღმოსავლეთს,  
მისივე სიტყვით — *ex Oriente lux* — ყოფილ ბრწყინვალე  
აღმოსავლეთს. ბროსეს აინტერესებდა ქართველი ხალხის ხა-  
სიათი, ზნე-ჩვეულებანი, რომელთა გადმოცემა არ შეეძლო  
პოზიტიურ მათიანეებს, ფილოსოფიურ ნაშრომებს. მათ, უდა-  
ვოა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ აღმოსავლეთის ისტორიის  
დადგენისათვის, რამდენადაც ევროპას აზიას უკავშირებდნენ  
ისტორიული სინქრონიზმით, მაგრამ ხალხთა ინტიმური ცხოვ-  
რების, ადამიანის სულის ჰუმანიტური სურათების აღწერა არ  
ძალუძდათ. ამიტომაც ბროსე ორიენტალისტიკისათვის უდი-



დეს ბედნიერებად ჩასთვლიდა, რომ აღმოჩენილიყო ეგვიპტური ან სპარსული რომანი, თანამედროვე იეროგლიფებისა და პერსეპოლისის ნანგრევებზე წარმოდგენილი მისტიური სანახაობებისა.

ევროპაში მოგვიანებით განვითარებული ხელოვნების ყველა დარგი ბროსეს უდავოდ აზიიდან შემოტანილად მიაჩნდა. თვით ოდისეა და მითოლოგიაც, რომელმაც ბერძნებს შეაქმნევინა ბრწყინვალე ქიმერები, შთააგონა შესანიშნავი პოეზია, გაუცოცხლა მარმარილო, აუმეტყველა მხატვართა ტილოები, ბროსეს აზრით როდი იყო ცივი ევროპის ნაყოფი. ევროპამ მხოლოდ სამკაული შესცვალა აღმოსავლეთისა. ბროსე ამ მხრივ ეძებს პარალელს ქართულ მწიგნობრობაშიც და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ შესაძლებელია ქართველთა შთაგონებით შექმნილ ფანტასტიურ სურათებს ოდესმე დაეუფლოს ფანქარი ან ფუნჯი და თვალწინ გადაგვიშალოს ისეთი ჯადოსნური სახეები, რომელნიც მოგვაგონებენ ჰომეროსის, ტასოს ან არიოსტოს პოეტურ ქმნილებებს.

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისადმი ამგვარ რწმენას ბროსეს უქმნიდა ქართული ლიტერატურის უკვე გაცნობილი ნიმუშები, რომელთაგან მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქართულმა საზღაპრო ნაწარმოებმა „რუსუდანინამა“. ამ ნაწარმოების შესახებ პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სხდომაზე 1838 წლის 16 მარტს ბროსემ წაიკითხა მოხსენება და 14 აპრილს გამოაქვეყნა კიდევ.

„რუსუდანინას“ ბროსე ნაწარმოებთა იმ კატეგორიას მიაკუთვნებდა, რომელიც მეტად გავრცელებული იყო საქართველოში და ხასიათდებოდა სამი უმთავრესი თვისებით: გმირული მოქმედების, ჯადოსნური სიტუაციებისა და იდეალურობისა-კენ სწრაფვის აღწერით.

„რუსუდანინამა“ აღაფრთოვანა ბროსე და ნაწარმოების მძლავრმა ფანტასტიკამ გაახსენა ძველი ევროპისათვის და განსაკუთრებით ფრანგებისათვის ესოდენ საყვარელი ფეერია. „რუსუდანინას“ მხატვრული სახეები, განსაკუთრებით რუსუდანის მომხიბლავი გარეგნობის აღწერა ბროსემ დიდი მონდომებითა და სიყვარულით თარგმნა ფრანგულად. ბროსეს „რუ-

სუდანიანი“ წარმოუდგენია საკმაოდ დაოსტატებული შემოქმედის მეოხებით კომპოზიციურად მტკიცედ შეკრულ ნაწარმოებად, რომლის უხვ მასალას ისევე შეეძლო შეეცსო მრავალი ტომი, როგორც სირიუსსა და ამადისს.

ბროსე პარალელს ავლებს „ამირანდარეჯანიანთან“ და „რუსუდანიანიც“ დაწერილი ცალკეული თავგადასავლების თხრობის მანერით მიაჩნია მთლიან ნაწარმოებად, სადაც მკითხველი შეუწელებელი ყურადღებით მიჰყვება. ნაწარმოების ინტრიგას და გმირთა მოქმედებას. ბროსე დიდი გაქანების თხზულებად თვლის „რუსუდანიანს“, რომლის ავტორი მდიდარი ფანტაზიის უნარით არის დაჯილდოებული და ყოველგვარი განმეორების გარეშე მკითხველს გადაუშლის ფანტასტიურ ამბავთა ჭაქვს, მოქმედების, თვალუწვდენ სივრცეს, საგანთა მრავალფეროვნებას. მდიდარი წარმოდგენით დაჯილდოებული ავტორის შესანიშნავი სტილით შექმნილ „რუსუდანიანს“ ერთ-ერთ შესანიშნავ ნაწარმოებად თვლის ბროსე და მას ერთ-ერთ საუკეთესო ადგილს აკუთვნებს ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში.

ნაწარმოების კომპოზიციური მთლიანობა, სადაც თვითეული ნაწილი თავისთავად მთელს წარმოდგენს და იწყება ქართული რომანებისათვის დამახასიათებელი — ახ ავო — დაბადებით და მთავრდება სიკვდილით, ბროსეს აფიქრებინებს, რომ იგი დაწერილია ერთი ავტორის მიერ. „რუსუდანიანის“ ავტორი ცნობილი არ იყო და ბროსე მიზეზად თვლიდა ნაწარმოების სიდიდეს, რომლის გადაწერა ადვილი არ იყო.

ბროსე ნაწარმოების მთავარ ღირსებად მიიჩნევდა მასში ასახულ ცხოვრების ყოფითი მხარეების ზოგიერთი დეტალების — ეს იქნება ქალის მზითვისა თუ ბრძოლების, სიმდიდრის, დროსტარებისა თუ დაკრძალვის ცერემონიების აღწერას, — და ქართველი ხალხის ზნეჩვეულებათა გადმოცემას.

„რუსუდანიანს“ ბროსე განსაკუთრებით საინტერესოდ თვლიდა მეტად თავისებური და მდიდარი ლექსიკის გამო. ბროსე ხედავს ისეთ გამოთქმებს, რომლებსაც ვერ პოულობს საბას „ლექსიკონში“ და ვერც უცხოურ გავლენას მიაწერს მათ. „რუსუდანიანის“ ლექსიკა ახალი შენაძენი იყო ბროსე-

სათვის, რომელიც ნიადაგ ზრუნავდა საკუთარი ქართული ენის ლექსიკონის გაფართოებისა და გამდიდრებისათვის.

„რუსულდანიანი“ ენობრივი თავისებურება აიხსნებოდა ხალხური მეტყველების გავლენით, რის გამოც იგი დღესაც მეტად საინტერესო ნაწარმოებად ითვლება, ამბობს დოცენტი ი. გიგინეიშვილი („რუსულდანიანი“, 1957 წ., წინასიტყვაობა).

„ახალი ქართული შეიქმნა ძველი ქართულის გადამუშავების შედეგად ქართლ-კახეთის ცოცხალი მეტყველების საფუძველზე“, — წერს აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა („ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ“, 1938 წ.) და „ეს ახალი ქართული ენა — დიდხანს ვერ განთავისუფლდა ძველი სალიტერატურო ენის ტრადიციებისაგან, რომელიც XII საუკუნეში იყო შექმნილი. ამიტომაც საშუალო საუკუნის ქართული სალიტერატურო ენა ნარევი ხასიათისაა და მკაცრ ნორმებს მოკლებული. ამ პროცესის შედეგად, ძველი და ახალი ფორმების პარალელურად ხმარებისა, ფორმათა მრავალფეროვნების გამოყენების შესანიშნავ ილუსტრაციად ითვლება „რუსულდანიანი“, რომლის დაწერის დრო, ორიგინალობის საკითხი საბოლოოდ დღესაც არ არის გადაჭრილი“ („რუსულდანიანი“ — ი. გიგინეიშვილის წინასიტყვაობა).

ასევე ვერ გადაჭრა მარი ბროსემაც „რუსულდანიანის“ დაწერის თარიღი, თუმცა კი შეეცადა მის დადგენას: „არ ეკუთვნის რა სრულიად თანამედროვე ხანას, მე არც იმას ვფიქრობ, რომ მისი დაწერის თარიღი შეიძლება საქართველოში სპარსელების გაბატონების წინ გადაიწიოს, ე. ი. XV საუკუნის შუარიცხვებამდე, მაგრამ არც იმას დავიჭერებ, რომ იგი შეითხზა უკანასკნელ საუკუნეში“ — ამბობდა ბროსე.

აკადემიკოსი კ. კეკელიძე მიმოიხილავს არსებულ მოსაზრებებს „რუსულდანიანის“ შექმნის თარიღის შესახებ, თვლის, რომ „რუსულდანიანი“ მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარზე უადრესი ნაწარმოები არაა“ („ძველი ქართულ მწერლობის ისტორია“, 1952 წ.).

ბროსეს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის კვლევაში უდიდესი ადგილი უჭირავს ერთგვარ საანგარიშო მოხსენებას, რომელიც მან გააკეთა პეტერბურგის მეცნიერებათა

აკადემიის წლიურ საჯარო სხდომაზე 1838 წლის 10 იანვარს. ბროსე აჯამებდა აღრინდელ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და მომავალი ქართველოლოგიური ძიების პროგრამას იძლეოდა.

„მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში“ ბროსე მიმოიხილავდა საქართველოს ისტორიას, აღნიშნავდა მისი წარმოშობისა და დამწერლობის სიძველეს, ქრისტიანობის პროგრესულ როლს ქართული კულტურისათვის. ასახელებდა ქართველ მეფეებსა და მათი ოჯახის წევრებს, რომლებმაც თავი ისახელეს არა როგორც მართოდენ პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, არამედ როგორც ფილოსოფოსებმა, ორატორებმა, ისტორიკოსებმა, პოეტებმა. ასახელებდა: თეიმურაზ I, რომლის ბედუკუდმართობით აღსავსე მეფობის გამო ბროსეს ვერ წარმოედგინა, როგორ პოულობდა იგი დროს „ვარდბულბულიანის“, „გაზაფხულშემოდგომიანის“ და სხვა თხზულებათა შესაქმნელად; — არჩილს, რომლის ვინაობას ბროსე საქართველოს ისტორიის წყაროებიდან იცნობდა. მის არქივში შემონახულია „არჩილიანის“ ხელნაწერი გადმოღებული პეტერბურგის საახიო მუზეუმის ეგზემპლარიდან.

ბროსე მაღალ შეფასებას აძლევდა არჩილის პოეტურ ნიქს, მის ვერსიფიკატორულ ხელოვნებას და მთელ მის შემოქმედებას გამსკვალულს ადამიანის მაღალ ზნეობაზე ქადაგებით და ამის ბრწყინვალე ნიმუშად თვლიდა „გაბაასებას კაცისა და სოფლისა“. „ამაღელვებელი სცენებითა და ინტიმური დეტალებით აღსავსედ“ მიაჩნდა ბროსეს „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასება“; ბროსე ასახელებდა აგრეთვე ვახტანგ VI, რომლის „სამართლის“ თარგმნა ჭერ კიდევ 1829 წელს დაიწყო. ვახტანგის ღვაწლი ქართული სტამბის შექმნისა და „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საქმეში ბროსესათვის უკვე დიდი ხანია ცნობილი იყო და სათანადოდაც შეფასებული.

ანტონ კათოლიკოსი, რომელიც ქართული მწიგნობრობის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში ვახტანგ VI ერთადერთ მეტოქედ მიაჩნდა ბროსეს, ფრანგი მკვლევარის აღტაცებას იწვევდა როგორც დიდი ერუდიციის მქონე გრამატიკოსი და დახვეწილი ვერსიფიკატორი.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკი. გრაფიულსა და პოლიტიკურ მოღვაწეობას გაცნობილ ბროსეს არ შეიძლებოდა: თვალთახედვიდან გამორჩენოდა მისი მხატვრული შემოქმედება: „ქილილა და დამანას“ ქართული ვარიანტის ჩამოყალიბებაში ვახტანგ VI სულხანის თანამშრომლობა ცნობილი იყო მისთვის, ხოლო „სიბრძნე-სიცრუისა“, როგორც მის არქივში დაცული ხელნაწერები მოწმობენ, უთარგმნია მთლიანად. ხელნაწერის შავი დათარიღებულია 1841 წლით, გადათეთრებული — 1846 წლით. ბროსეს ხელთ ჰქონდა „ქილილა და დამანას“ ვახტანგ VI თარგმანის ავტოგრაფი, რომელიც „სააზიო მუზეუმისათვის“ გადაუცია პეტრე ქებაძეს. საქართველოში ყოფნის დროს, დავით დადიანის ბიბლიოთეკაში ბროსე გაეცნო სულხანის „მოგზაურობას ევროპაში“.

ბროსე „მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში“ აგრეთვე აღნიშნავდა ერეკლე II ხანგრძლივ და სახელოვან მეფობას, რომლის დროსაც ქართული პოეზია გაიფურჩქნა და აყვავდა. იგონებდა გიორგი XIII შვილთა ლიტერატურულ მოღვაწეობას და განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა თავის საყვარელ ოსტატს თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელიც სწორედ ამ სხდომაზე პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს. ამრიგად, 1838 წელს თეიმურაზ ბატონიშვილი გახდა პირველი ქართველი აკადემიკოსი, რომლის შესახებაც ბროსე ამბობდა: „არ შემიძლია აღტაცებით არ წარმოვთქვა სახელი ბატონიშვილისა, რომლის გულის დიდად ღირსეულ თვისებებს შეჰმატებია დიდად განათლებული გონება და ღრმა განსწავლულება და რომლის ლიტერატურული მოღვაწეობა ისახავს კეთილშობილ მიზანს — უკვდავეყოს თავისი ხალხის სახელი“. ამ დროისათვის ბროსეს ბევრი რამ ჰქონდა ქართული კულტურისათვის გაკეთებული და ამიტომ შეეძლო განეცხადებინა: „ახლა, მე უკვე აღარ მუშინია ამ ბატონიშვილის მოკრძალებულ შეგირდად ვალიარო ჩემი თავიო“.

აღნიშნულ მოხსენებაში მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ბროსესათვის, ისე როგორც ჩვენი თანამედროვე მკვლევარ-

თათვის; თავიდანვე ცნობილი იყო, რომ „დაწვრილებითი ცნობები დავითის შესახებ არ მოგვეპოვება. მისი ცხოვრებიდან ვიცით მხოლოდ ის, რასაც ვპოულობთ მის ნაწერთა კრებულში, რომელსაც „დავითიანი“ ეწოდება“ (ე. ქეკელიძე — „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“).

საქართველოს ისტორიის ისეთი მცოდნესათვის, როგორცაა შარი ბროსე, ძნელი აზრად იყო ამ პოეტურ ნაწარმოებში გამოქვეყნება და დაეზუსტებინა ისტორიული სინამდვილე, დაესაბუთებინა „დავითიანის“ ავტობიოგრაფიული ხასიათი და გაეთვალისწინებინა დავით გურამიშვილის შემოქმედების მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის.

ამიტომაც ბროსე დაწვრილებით განიხილავდა „დავითიანს“, აშუქებდა ავტორის ცხოვრების ყოველ დეტალს მოცემულს მის ნაწარმოებში და ხშირად მოჰყავდა იქიდან სანიშნულად ადგილები ფრანგულ ენაზე თარგმნილი პროზად. გურამიშვილის ტყვედ ჩავარდნისა და განთავისუფლების თარიღის დასადგენად ბროსე ისტორიულ ფაქტებს იშველიებდა. ნაწარმოებში აშკარად ჩანდა, რომ გურამიშვილი ზედაველის ბრძოლის შემდეგ ჩავარდნილა ტყვედ. ამიტომ ბროსე 1724 წლის ზედაველის ბრძოლის შემდეგ მომხდარ ფაქტად თვლიდა მას. ასევე არკვევს ბროსე გურამიშვილის მოსკოვში ჩასვლისა და ნაწარმოების შექმნის თარიღს. ქართველი მკვლევარების მსგავსად ბროსე ნაწარმოების დაწერის თარიღის დასადგენად იმორწმებდა „დავითიანში“ მოცემულ დიალოგს — „კაცისა და საწუთროს ცილობას“, სადაც ნათქვამია, რომ 7282 წელს ქვეყნის გაჩენიდან (1774 წელს ქრისტეს შემდეგ) იმ დროს, როცა წერდა ამ ნაწარმოებს, გურამიშვილი 69 წლისა იყო.

ბროსე ბოლომდე მიჰყვება დავითის ცხოვრების აღწერას და გამოსთქვამს აზრს: იგი ღრმა მოხუცებულობამდე ჰქმნიდა ლექსებს. როგორც თავისი წიგნის მრავალ ადგილას არა ერთხელ უთქვამს, შვილები არ ჰყავდა და ლექსების წერით სურდა განეცადა მამობრივი გრძნობა. ამიტომ თავისი ლექსთა მომავალ გადამწერლებს შესთხოვდა სიტყვებისათვის ადგილი არ შეეცვალათ. ბროსე აქ ხედავდა ავტორის დიდ სიყვარულს მისი შთაგონების ნაყოფის მიმართ. მართლაც სამშობლოდან

ძალით მოგლეჯილს, შორეულ ჩრდილოეთში გადახვეწილს, უშვილძიროდ დარჩენილს განა სხვა გრძნობები შეიძლებოდა დაუფლებოდა თავისი შემოქმედების მიმართ, თუ არა სიყვარული მამისა ღვიძლი შვილისადმი, — „დავითიანისადმი“, რომელშიც აქსოვდა მთელს გულისტივილს, მისწრაფებებსა და მიზნებს, გადმოსცემდა სანუკვარ სურვილს დაქსაქსულ საქართველოს გაერთიანებისა და კულტურული აღორძინებისათვის.

ბროსე დავით გურამიშვილს მხოლოდ პოეტად კი არა სთვლიდა, არამედ ისტორიკოსად და ფილოსოფოსადაც.

გრძელი, ლამაზი ტირადით, ამბობდა ბროსე, პოეტი აღწერს ვახტანგ VI მეფობის დროინდელ საქართველოს აწეწილ-დაწეწილ ეპოქას, ხალხის უკიდურეს გაკვირვებას და მათში აღძრულ უკმაყოფილებას ბედუკულმართი მეფისადმი, რომელმაც რუსეთისაკენ მიაპყრო იმედის თვალი. პოემის ისტორიული ნაწილი, განაგრძობდა ბროსე, თუმცა ძალიან გრძელია, მაინც ინტერესით იკითხება პოეტური სიტყვის მოქნილობის მეოხებით.

ბროსე განიხილავდა გურამიშვილის პოეტიკას და აღნიშნავდა, რომ „დავითიანის“ ნახევარი დაწერილია 16 მარცვლით, ერთი და იგივე რითმიანი შაირით. აქა-იქ გვხვდება ჩახრუხაული, ოცმარცვლიანი, ორი ცეზურით მეხუთე და მეათე მარცვლის შემდეგ. საერთოდ კი დავითის პოეზია 12-მარცვლიანი იამბია, ცეზურით მეხუთე მარცვლის შემდეგ. ურევია სხვადასხვა მეტრიც, როგორც მახვილი თვალით შენიშნავს ბროსე, განკუთვნილი რუსული ან ქართული ხალხური სიმღერების ფაქტურის გადმოსაცემად, რომელთა მეოხებით გურამიშვილი „თხზავს სარწმუნოებრივ-მორალური და ასკეტური შინაარსის ლექსებსა და სიმღერებს“ (კ. კ ე ლ ი ძ ე — „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“).

ბროსე გურამიშვილს აკროსტიხებსა და ანბანთქების ტიპის ლექსებსაც განიხილავდა და ამბობდა, გონებამახვილი პოეტი ეროვნული პოეზიის ყოველ ძნელ ჟანრში სცდიდა კალამსო, და ასეთ ძნელ ჟანრად ბროსეს მიაჩნდა „ზმა“, რომლის დიდ მოყვარულად თვლიდა ქართველებს. „ზმა“ ქართუ-

## I.

Dévoré de soucis, j'entrai dans un jardin  
Pour cueillir un bouquet de roses odorantes,  
Mais la Rose en courroux, de flèches pénétrantes  
Me déchira la main.

Un pénible soupir s'échappe de mon sein,  
Je succombe : „Imprudent, que ces pointes cuisantes  
T'apprennent, dit la Rose, à respecter nos fleurs.“  
Désarmé que j'étais, dans mes vives douleurs,  
Je répandis un océan de pleurs.

## II.

Puis à la Violette offrant un tendre hommage.  
„Qu'ai-je fait à la Rose? arrivé dans ces lieux  
La belle, s'indignant, m'a prodigué l'outrage.  
— Sors, suis, délivre-moi d'un aspect odieux,  
Répond la Violette; oses-tu de tes vocux  
Me parler davantage?  
Sonde, sonde ton coeur, tu verras s'il est sage  
D'accuser mon amie en ton sort malheureux.  
Escave d'autres noeuds, cache ici tes ardeurs“  
Désarmé que j'étais . . . . .

ბროსეს მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი ბესიკას ლექსი —  
„სევდის ბალს“, დაიბეჭდა მ. ბროსეს წიგნში — „მეცნიერებათა აკადემიის  
საერთო კრებაზე წარმოთქმული სიტყვა“.  
პეტერბურგი. 1838 წ.



### III.

Rebuté de nouveau, vers l'aimable Narcisse  
Je dirigeai mes pas : „Sil faut que je périsse,  
Dis-je, les yeux baignés de larmes et de sang,  
Dans un étroit sentier égaré, chancelant,  
Ne pourrai-je trouver une main protectrice?

Daigne pour moi, dans eet affreux moment,  
De la Rose obtenir un pardon consolant;  
Et mettant fin à mon cruel supplice,  
D'une coupable tête écarter ses fureurs.“

Désarmé que j'étais . . . .

### IV.

Le Narcisse attendri, par des larmes amères  
Accueillit mes prières.

„Pauvre ami, me dit-il, d'un ton plein de bonte,  
C'est ta témérité

Qui de la Rose alluma les colères.

Elle t'aimait; sa sensibilité

Frémit en te voyant à des fleurs étrangères

Offrir tes ardeurs passagères.

A ce crime oses-tu comparer tes malheurs?“

Désarmé que j'étais . .

ლი ლექსის რაფინირებაზე მიუთითებდა ბროსეს რწმენით. და რადგან აგებული იყო სიტყვათა თამაშზე, უცხო ენაზე მისი თარგმნა შეუძლებლად მიაჩნდა. ქართულ სუფრაზე. ან მხიარულ წვეულებაში გადმოტყორცნილი ექსპრომტი — სიტყვის თამაში, ზმა მდიდარი სამ, ოთხმარცვლიანი რითმით იტაცებდა ფრანგს, რომლის სამშობლოში ასეთივე სიყვარულით სარგებლობდა აკროსტიხთან ერთად კალამბურებიც და მათზე აგებულ იმპროვიზაციას ალტაცებაში მოჰყავდა მხიარული ფრანგები.

დავითის „ზმიანი შაირი“ და „გამოცანა ზმიანი“ იპყრობდა ბროსეს ყურადღებას. ამიტომ თავის შრომაში ნიმუშები მოჰყავდა ქართულად და უმატებდა ფრანგულ თარგმანს პროზად.

ბროსე „გურამიანს“ 7 — 8 ათას ლექსიდან შემდგარ ერთგვარ პოპურად წარმოიდგენს, რომელშიც ავტორს შეუერთებია მთელი თავისი შთანაფიქრი და ცოდნა. აქ ვხვდებით ზნეობრივ სენტენციებს, თეოლოგიას, ლოცვებს, მისტიციზმს. ბიბლიის მიხედვით გადმოცემულ ძველ ისტორიას, თანამედროვე ამბებს, პოეტის თავგადასავალს, სახუმარო სიმღერებს. რელიგიურ ჰიმნებს შესრულებულს საქართველოში გამოყენებული ყოველგვარი პოეტური ვერსიფიკატორულად ძნელი მეტრით. ერთი სიტყვით, ეს არის მთელი ენციკლოპედია. რომელიც გადაგვიშლის საქართველოში განათლების იმ მაღალ დონეს, რომლისთვისაც მიუღწევია დავით გურამიშვილს.

დასასრულს, იგი ჩივრდება ამავე ავტორის „მხიარულ ზაფხულზე“ („ქაცვია მწყემსი“), რომელსაც მომხიბვლელად თვლის. ამ შესანიშნავ პოემას დაწერილს 5-ტაეპიან სტანსებად, სადაც ორი პირველი ტაეპი თმარცვლიანია, მეოთხე და მეხუთე რვიანი, ხოლო უკანასკნელი ზუთიანი. ბროსე აღოართოვანებით განიხილავს. პოემის შესავალი, შეიძლება ითქვას, ფრანგული სიმსუბუქითა და ენამახვილობით დაწერილი; მსუბუქი იუმორითა და შესანიშნავი შესრულებით აგონებს VI საუკუნის ბერძენ მწერალს ლონგუსს „დაფნისისა და ქლოეს“ ავტორს.

მამის დარიგება აღსავსე ჯანსაღი მორალით სათნო ქალ-

სა და ბოროტ დედაკაცზე გადმოცემულია სხარტად, მოქნილად. ორი ოჯახის ერთგული, კეთილი ცოლისა და კაპასი, მოლაღატე ცოლის სახეების დახატვა, ამბობს ბროსე, შეუძლებელი იყო მეტი ფილოსოფიით, გონებამახვილობითა და მოსწრებული სიტყვით.

„ქაცვია მწყემსში“ აღწერილი ცხოვრებიდან აღებული ყოფითი სურათები განსაკუთრებით იპყრობს ბროსეს ყურადღებას. მართლაც „ქაცვია მწყემსში“ არის „რეალისტური მოტივებით გამსჭვალული პირველი საყოფაცხოვრებო პოემა ქართულ ენაზე დაწერილი“ — ამბობს აკადემიკოსი ა. ბარამიძე („რეალისტური ნაკადის შესახებ XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში“. „ლიტერატურული ძიებანი“, 1955 წ., ტ. IX).

მკვლევარი დავით გურამიძე ვილს მიაკუთვნებდა იმ შესანიშნავ პოეტთა რიცხვს, რომელთა შემოქმედება მკითხველთა ყურადღებას იზიდავს გულთბილი ფილოსოფიით, რელიგიური განწყობილებით, ნათელი იუმორითა და ალალი უბრალოებით.

მარი-ფელსიტე ბროსე ქართველ მწერალთა შორის ერთერთ პირველ ადგილს უთმობდა მეთვრამეტე საუკუნის პოეტს ბესარიონ გაბაშვილს. საფრანგეთშივე ბროსეს თეიმურაზ ბაგრატიონისაგან მიუღია ბესიკის ლექსები, რომელიც ფრანგ მკვლევარს ძლიერ მოსწონებია.

ბესიკის პოეტური ტალანტის ნიმუშად ბროსეს მოჰყავს ლექსი „სევდის ბაღს“ და გადმოსცემს მის შინაარსს. ამბობენ, პოეტს ჭაბუკობისას უყვარდა ერთი ასული, რომელმაც უარყო პოეტის ტრფიალი და განუცხადა ჩემი გული უკვე სხვას ეკუთვნისო. პოეტმა სატრფოს მეგობრებს მიმართა დასახმარებლად. სატრფო ლექსში გამოყვანილია ვარდად, მეგობრები კი იად და ნარგიზად.

ბროსეს „სევდის ბაღს“ ფრანგულად უთარგმნია, დაუბეჭდია კიდევ თავის ცნობილ „მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში“ და სქოლიოში მიუწერია: რადგან ამ ლამაზი ლექსის თვითოეული სტანსი 9-ტაეპიანია ერთი და იგივე რითმით, მე შევეცადე მისი თავისებურება შესატყვისი საშუალებებით გადმომეცა.

ბროსეს თარგმანი ქართული და ფრანგული ლექსის ბუნების განსხვავების გამო და იმიტომაც, რომ ქართული ლექსი მეტად მდიდარია რითმებით, რასაც ვერ ვიტყვით ფრანგულ ლექსზე — აქ აქცენტი ძირითად რიტმზეა გადატანილი და სრულყოფილად ვერ ასახავს ბესიკის ლექსის ყოველ თავისებურებას. ორიგინალში ლექსი 10-მარცვლიანია, თარგმანში კი 12 მარცვლით არის გადმოცემული. მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი ძალიან ცდილა ლექსის 9 ტაეპი გაერთიმა ერთი და იგივე რითმით, მაგრამ ვერაფერი გაუწყვია. დაუძლევია მხოლოდ ლექსის რიტმისა და ბესიკის პოეტური განწყობილების გადმოცემა.

ბროსე ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედების შესახებ წერდა, რომ მისი სატირა მწარე გესლიანობითა და სიმახვილით ხასიათდება, ხოლო მისი რომანსები გაქლენთილია ნატიფი და დახვეწილი გრძნობების გამაბრუებელი სურნელებით.

## VIII

### ბროსე XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ

ფრანგი მეცნიერის ქართველოლოგიურმა მოღვაწეობამ ქართული საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. ბროსეს სიცოცხლეშივე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა წერილები მისი მუშაობის შესახებ და ფრანგი მეცნიერის შრომები ქართულად ითარგმნებოდა.

1861 წელს „ცისკარში“ (№ 8) დაიბეჭდა იოსებ საყვარელიძის მიერ ქართულად თარგმნილი „მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე წარმოთქმული სიტყვა“ შეცვლილი სათაურით: „განხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა“. ეს შრომა რუსეთშიაც ითარგმნა ცნობილი ორიენტალისტის პავლე საველიევის მიერ.

1876 წელს „დროებამ“ (№ 4 — 5) მოათავსა ალექსანდრე ჰუონიას მიერ პარიზიდან გამოგზავნილი წერილი „ჩვენს მწიგნობრობაზე“, სადაც განხილული იყო ბროსეს „ქართული ენის საფუძვლები“. ამავე გაზეთმა 1876 წლის 43, 44, 45 ნომრებში კვლავ დაბეჭდა ჰუონიას სტატია — „ნამდვილი დოკუმენტები შესახებ დიპლომატიური განწყობილებისა საქართველოს და საფრანგეთის შუა...“ გადმოღებული „სააზიო ჟურნალში“ (1832 წ., ტ. IX) მოთავსებული ბროსეს წერილიდან, სადაც ბროსე აქვეყნებდა ვახტანგ VI და საფრანგეთში დიპლომატიური მისიით ჩასულ სულხან-საბა ორბელიანის წერილებს თარგმნილს ფრანგულ ენაზე.

1875 წელს „თბილისის მოამბე“ (№ 96) აქვეყნებს წერილს

„სვანეთის ერთი ძველი სახარების აღწერა ბროსეს მიერ ნახული და აღწერილი“.

ბროსეს გარდაცვალების შემდეგაც არ შეწყვეტილა მის უანგარო მოღვაწეობაზე წერილების ბეჭდვა საქართველოში.

1894 წელს „საქართველოს კალენდარში“ იბეჭდება მოსე ჯანაშვილის (ფსევდონიმით „ესომ“) მიერ დაწერილი ბიოგრაფია — „მარი ბროსე“, რომელსაც დართული აქვს ნაწყვეტი „მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე წარმოთქმული სიტყვიდან“. ამავე ავტორის ვრცელი წერილი ქვეყნდება 1888 წელს „ივერიაში“ (№ 232)—„მეცნიერთა აზრი ქართული ენის შესახებ“, სადაც მოცემულია ბროსეს შეხედულებანი ქართულ ენაზე და განხილულია შრომები — „ხელოვნება აზნაურებითა, გინა ქართულის ენის თვთ მასწავლებელი“ და „ქართული ენის საფუძვლები“.

1883 წლის „ივერიაში“ (№ 3) დიმიტრი ბაქრაძის წერილი — „შრომა ევროპიელთ მსწავლელთა, განსაკუთრებით ბროსესი ქართულის საისტორიო წყაროების გამოკვლევაში“ — ეხება ბროსეს, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარის მოღვაწეობას.

ბროსეს წერილები დაიბეჭდა: 1886 წელს გაზეთ „მწყემსში“ (№ 8) — ბიბლიოგრაფიული შენიშვნა — „ბროსეს ღვაწლი ევროპიელების მიერ საქართველოს შესწავლის საქმეში“; 1886 წელს ჟურნალ „თეატრში“ (№ 34) — ბროსეს ქართული წიგნების კატალოგი; 1902 წელს ჟურნალ „კვალში“ (№ 5) — ბროსეს ბიოგრაფია; 1882 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 1) — გოგებაშვილის — „შინაური მიმოხილვა“; 1887 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 13) — მოსე ჯანაშვილის — „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები“.

ბროსე ქართული მწიგნობრობის განვითარებას თვალს ადევნებდა შორეული საფრანგეთიდან და პეტერბურგში ჩამოსულს, რაღა თქმა უნდა, თანამედროვე ლიტერატურა უეკველად დააინტერესებდა. იგი აქვეყნებდა წერილების სერიას, რომელიც ეხებოდა ქართველთა და სომეხთა ლიტერატურულ მოღვაწეობას რუსეთში, ამიერკავკასიასა და ყირიმში. 1862 წლის სექტემბერს ბროსე წერდა, რომ „სააზიო მუზეუმმა“ მი-

ილო 1861 წლის ყოველთვიური ჟურნალი „ცისკარის“ თორმეტი ნომერი. ასახელებდა „ცისკარის“ რედაქტორს ივანე კერესელიძეს. ამასთან აღნიშნავდა, რომ ჟურნალი მეექვსე წელია რაც გამოდის. აქ იბეჭდება პოეზია, ქართული ლეგენდები, თარგმანები. მაგრამ საქართველოს ისტორიით დაინტერესებული წუხდა, რომ „ცისკარში“ ისტორიული ხასიათის წერილები სისტემატურად არ ისტამბებოდა.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურით დაინტერესებული ბროსე ავადმყოფობის დროსაც არ ისვენებდა და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, მძიმე ავადმყოფი, ზაქარია ჭინაძესადმი 1879 წელს მიწერილ წერილში ითხოვდა იქ ია ქავჭავაძისა და რჩეულიშვილის თხზულებებს, წინამძღვრ-შვილის თარგმნილ გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, აკაკი წერეთლის „ბუტიაობას“ და 1879 წლის „კავკაზსკი კალენდრის“ ერთ-ერთ ეგზემპლარს.

ბროსეს რაფიელ ერისთავთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა და მასთან მუდმივი მიმოწერა ჰქონდა. რაფიელ ერისთავი წერილებით ატყობინებდა ქართული ლიტერატურის მდგომარეობას. აცნობდა თანამედროვე მწერლებს: ზ. ანტონოვს, გ. ერისთავს და სხვებს. ამასთან უგზავნიდა ჟურნალ „ცისკარის“ ნომრებს.

რაფიელ ერისთავი სიყვარულითა და პატივისცემის გრძნობით წირდა ბროსეს:

„მოწყალეო ხელმწიფევე, უფალო ბროსეტ!

გმადლობ უფალს, რომ ახლა კარგათ ბრძანდებით თქვენის ავადმყოფობისაგან. გმადლობთ თქვენა რომ არ დამივიწყეთ, ვით დაუვიწყებელი საქართველოსაგან, რადგან ბრძანდებით აგრე მშრომელი ქართულის ლიტერატურისა და ისტორიისაც...“

ბროსესათვის ჯერ კიდევ საფრანგეთში ცნობილი იყო ქართველი ფილოსოფოსი და ლიტერატორი სოლომონ დოდაშვილი. 1833 წელს, როდესაც ბროსე ქართული ენისა და დამწერლობის სათავეებს იკვლევდა, თეიმურაზ ბაგრატიონმა გამოუგზავნა წერილი, სადაც ქართული ენისა და დამწერლობის თვითმყოფადობას უმტკიცებდა და საბუთად იშველიებდა სო

ლომონ დოდაშვილის შრომას დაბეჭდილს 1832 წელს დოდაშვილის მიერ დაარსებულ სალიტერატურო ჟურნალში — „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათა“. ჟურნალის პირველი ნომერი თეიმურაზმა პარიზში გაუგზავნა ბროსეს და ფრანგ მკვლევარს საშუალება მისცა წაეკითხა სოლომონ დოდაშვილის მეტად საინტერესო ნაწარმოები: „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)“ — ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიული მიმოხილვა, რაც ესოდენ საჭირო იყო ბროსესათვის. დოდაშვილის შრომამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბროსეზე, დაარწმუნა იგი ქართული ენის თვითმყოფადობაში და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია გააცნო. ბროსემ შრომა თარგმნა ფრანგულად.

ბროსეს ნაშრომს — „ქართული ენის საფუძვლები“ — დართული აქვს სავარჯიშოები შედგენილი ქართულ-ფრანგულ ენებზე. აქვე მოთავსებულია სოლომონ დოდაშვილის მოთხრობა „ჟინევრა“, რომელიც ცნობილი იყო, როგორც დოდაშვილის მიერ ფრანგულიდან ქართულად თარგმნილი. მაგრამ „ჟინევრა“ ფრანგული ნაწარმოები რომ ყოფილიყო, მაშინ ბროსე ქართულ ტექსტს არ დაურთავდა საკუთარ ფრანგულ თარგმანს. ბროსე მეტად კეთილსინდისიერი მეცნიერი იყო. უთუოდ მოსძებნიდა ამ მოთხრობას ფრანგულ ენაზე და ქართულ ორიგინალთან შეაჯერებდა.

პეტერბურგში ჩამოსულ ბროსეს კვლავ ახსოვდა სოლომონ დოდაშვილის მეტად საინტერესო პიროვნება. ამიტომ პლატონ იოსელიანისადმი მიწერილ წერილში ითხოვდა დოდაშვილის შესახებ ცნობებს და მისი ჟურნალის — „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათას“ გამოგზავნას. პასუხად პლატონ იოსელიანი ატყობინებდა ბროსეს, რომ დოდაევი ვიატკაში გარდაიცვალა და რაც შეეხება მის ჟურნალს, ეცდება იშოვნოს და გამოუგზავნოს<sup>13</sup>.

1834 წელს პარიზის სამეფო ბიბლიოთეკამ შეიძინა ალექსანდრე ჰავკავაძის ხელნაწერი — ვოლტერის „ალზირას“ თარგმანი ფრანგულიდან ქართულად. ბროსემ წაიკითხა იგი და „სააზიო ჟურნალის“ დახმარებით ფრანგ საზოგადოებას



აცნობა, რომ ქართველმა პოეტმა შესანიშნავი სტილითა და ორიგინალთან დიდი სიახლოვით თარგმნა ფრანგული ტრაგედია.

1876 წლის 26 ნოემბერს, ქართულმა გაზეთმა „დროებამ“ საზოგადოებას აუწყა: „ჩვენ გვითხრეს, რომ სანკტ-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის წევრი უფ. ბროსე, რომელიც ასე მცოდნეა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა, ამ ეამად თ. ილია ჭავჭავაძის შესანიშნავ მოთხრობას „კაცია ადამიანს“ სთარგმნის ფრანციზულს ენაზედ და აბეჭდინებსო“.

მართლაც ბროსეს არქივში დაცულია ფრანგულ ენაზე თარგმნილი, დასაბეჭდად გამზადებული — „კაცია-ადამიანი?!“ შემონახულია ორი ხელნაწერი: ერთი — შავი შეიცავს 108 გვერდს და მეორე — თეთრად გადაწერილი, 1877 წლის 11 მარტით დათარიღებული, შეიცავს 106 გვერდს. თარგმანი შესრულებულია ბროსესათვის დამახასიათებელი გულმოდგინებით და კეთილსინდისიერებით. ბროსე ცდილა ყოველი სიტყვა, ყოველი გამოთქმა გადაეტანა ფრანგულად ისე, რომ ორიგინალის თავისებურება შეენარჩუნებინა და გასაგები გაეხადა ფრანგი მკითხველისათვის. რვეულის არშიებზე ბროსეს ხელით მიწერილია დედნის ესა თუ ის გაუგებარი სიტყვა, რომლის მნიშვნელობა ალბათ შემდეგ გამოუკითხავს და მიუწერია. ბევრ ადგილას სიტყვის ქვეშ გასმულია ხაზი ან სიტყვის მრავალმნიშვნელოვანების ან განსაკუთრებული გრამატიკული ფორმის აღსანიშნავად. ზოგ სიტყვებს მიწერილი აქვს რუსული თარგმანიც. ფრანგულად ახსნილია ძნელად გასაგები ქართული იდიომატური გამოთქმები ან სპეციფიური სიტყვები, როგორცაა — საქვეშაგებო, დალახვრა, ოლოლო, ქისტო, ბუჩო და სხვა ამგვარი. იუმორის შეგრძნებით თარგმნილია თათქარიძის სახლის აღწერა, დარეჯანისა და ლუარსაბის კამათი საკმელების გამო, ბუზების თვლა.

თარგმანი შესრულებულია ბეთანიშვილის 1869 წლის გამოცემის მიხედვით.

ილია ჭავჭავაძის სახელს, როგორც „ივერიის“ რედაქტორის და „კაცია-ადამიანის?!“ ავტორისა, ბროსე პირველად ახსენებს 1877 წლის 16 აგვისტოს პეტერბურგის მეცნიერე-

ბათა აკადემიის სხდომაზე წაკითხული მოხსენების<sup>14</sup> დროს. ეს შრომა ბროსეს ორ ნაწილად უნდა გამოექვეყნებინა. პირველში მოცემული უნდა ყოფილიყო ქართული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, ხოლო მეორეში — ქართული ლიტერატურის მიმოხილვა. მეორე ნაწილი მას არ გამოუქვეყნებია. აქ აპირებდა „კაცია-ადამიანის?!“ კრიტიკულ განხილვას, რასაც ვიგებთ პირველ გამოქვეყნებულ ნაწილიდან. ქართულ წიგნთა ბიბლიოგრაფიაში ბროსე ასახელებს ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს?!“, რომელიც მან დაუპირისპირა ქართულ საგმირო და საზღაპრო ეპოსს რეალისტური, ყოფითი ხასიათის გამო. „კაცია-ადამიანი?!“ მშვენივრად დაწერილი, იუმორით გაჯღენტილი, ზნე-ჩვეულებათა ამსახველი ნაწარმოებიაო, აცხადებდა ბროსე.

## IX

### საქართველოს ისტორიის გამოცემა

ჩატარებული ქართველოლოგიური კვლევა ბროსეს სკირდებოდი იმისათვის, რომ საქართველოს ისტორიაში გარკვეულიყო და პარიზში აღმოჩენილი „ქართული ქრონიკის“ პატარა ნაწყვეტზე დაწებული შრომა გაეფართოებინა და დაესრულებინა.

ამავე მიზნით ბროსემ დიდი დრო დაუთმო ქართული ნუმისმატიკის შესწავლასაც. თეიმურაზ ბატონიშვილი აქაც უწყობდა ხელს და 1834 წლიდანვე უგზავნიდა წერილებს. აწვდიდა ძველი და ახალი მონეტების აღწერილობას. ნუმისმატიკით დაინტერესებულ ბროსეს აკადემიკოსმა რეინომ გადასცა დუკა დე ბლაკას კოლექციის ვერცხლისა და სპილენძის ორმოცამდე ქართული მონეტის აღწერა.

ბროსემ პეტერბურგში გაიცნო მეცნიერებათა აკადემიის „სააზიო მუზეუმის“, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის და მოყვარულთა მიერ თავმოყრილი ქართული ნუმისმატიკური კოლექციები.

1845 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა ნუმისმატიკის მიხეილ პეტრეს-ძე ბარათაევის (ბარათაშვილის) შრომა — «Нумизматические факты Грузинского царства», რომელშიც გადმოცემული იყო მანამდე გამოუქვეყნებელი მასალები, ქართული მონეტების ილუსტრაციებით, აღწერებით და განმარტებებით. ბროსემ ეს წიგნი ფრანგულად თარგმნა და 1847 წელს დაბეჭდა.

ქართული ნუმისმატიკით დიდად დაინტერესებული ცნობილი ნუმისმატიკი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბარტელემეი აქვეყნებდა წერილებს

ქართული ნუმიზმატიკის შესახებ. ბარტელემეი მოგზაურობდა კავკასიაში, იქიდან გზავნიდა ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური ხასიათის წერილებს, რომელთაც ბროსე აცნობდა მეცნიერებათა აკადემიას და შუამდგომლობდა მათი გამოქვეყნებისათვის. ამასთან ერთად ეკამათებოდა ბარტელემეის იმის გამო, რომ იგი ზოგიერთ ქართულ მონეტას სასანიდურად თვლიდა. ბროსე უარყოფდა ამ მოსაზრებას და პასუხად აღწერდა ბაგრატიონთა მიერ IX—XIII საუკუნეებში მოჭრილ ფულებს, დავით კუროპალატის მონეტას, რომლის ერთი ეგზემპლარი 1859 წელს იპოვნეს მეკლენბურგში და მისი აღწერილობა გამოუგზავნეს ბროსეს.

1829 წელს იწყება ბროსეს ცდები ქართული ქრონოლოგიის დადგენისათვის. ამ პერიოდში იკვლევს თვეებისა და წლების ქართულ სახელწოდებებს, საეკლესიო წელიწადს, ქართულ ქორონიკულ წელთაღრიცხვას. სენ-მარტენთან ერთად, 1832 წლის იანვარში, თეიმურაზ ბატონიშვილს უგზავნის შეკითხვებს. თეიმურაზიც აწვდის ქართული წელიწადისა და თვეების შესახებ ცნობებს. ბროსეს კალამს ეკუთვნის მეტად სერიოზული შრომები ქართული ქრონოლოგიის შესახებ. მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. პეტერბურგშიც კარგად იცოდნენ ბროსეს ფასი ამ დარგში და შემთხვევით არ იყო, რომ ცვეტკოვის ქართულ ქრონოლოგიაზე დაწერილი შრომა „О грузинском корониконе“ (1863 წ.), რომელიც დემიდოვის პრემიაზე უნდა წარედგინათ ბროსეს გამოუგზავნეს სარეცენზიოდ.

ნუმიზმატიკასა და ქრონოლოგიასთან ერთად ბროსე გაეცნო საქართველოს არქეოლოგიას, საეკლესიო წარწერებს და ამრიგად მოამზადა ნიადაგი „საქართველოს ისტორიის“ გამოქვეყნებისათვის.

პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული „ქართული ქრონიკის“ თარგმნა ბროსემ დაიწყო 1828 წელს. ფრანგულ სათაურთან ერთად დაურთო ქართულიც: „ცხოვრებაჲ საქართველოჲსა ქორონიკონითგან ჟა ვიდრე ტუა. ქართულად. წიგნო ესე კელით წერილთა სამეფოს საუნჯისაგანი სტანბად და თარგმანებად ჰბრძანა ფრანციტული სამეფო საზოგადოობაჲ მეაზი-

**CHRONIQUE**  
**GEOIRGIENNE,**  
*N<sup>o</sup> de la Bibliothèque du Roi*

---

**Ouvrage**  
*Publié par la Société Asiatique*

---

\*

---

*Texte géorgien.*

---

**PARIS 1829.**

---

*Brest 1829*

*Lith. de Fonroy*

ბროსეს მიერ 1829 წელს პარიზში გამოცემული „ქართული ქრონიკის“  
ფრანგული თარგმანის თავფურცელი

წ

ცხადრემაჲ:

საქართველითჲს:

ქორონიკონითგან: მა: ვიდრე: ყმა:

ქართულად:



წიგნი ესე კელით წერილით:  
სამეთოს საუბუჯისაგანი წყანდა  
და თარგმანეჲმად წმინდანი  
თვრანუიკაული სამეთოს სამთვარ  
ოთმაჲ მეზბიელი



პარიჲში:

აღმსრუტე პრისეჲ

ჩუკოთ:

ქო მსყანა ჭონრეჲ

ელი პარიუში. ჩყვთ. აღჰსწერა ბროსეტ“. ბოლოს კი მიწერილი ჰქონდა „სრულ იქმნა კელითა ბროსეტისათა თიბათვეს 23 წელსა 1829 ქკსა ფიზ“.

ფრაგმენტი 1372 წლის ისტორიით იწყებოდა და 1703 წლით მთავრდებოდა. ბროსეს ეპევი არ ეპარებოდა, რომ „ქართული ქრონიკა“ ნაწყვეტი იყო საქართველოს ისტორიისა, რომელიც ადრინდელ პერიოდსაც მოიცავდა. ამას აფიქრებინებდა ისიც, რომ პარიზის ხელნაწერს წინ ორი სუფთა ფურცელი ჰქონდა დართული იქნებ იმისთვისაც, რომ სხვა გადამწერელს შეეცნო იგი ახალი ცნობებით.

ბროსემ „ქართული ქრონიკის“ თარგმანი დაბეჭდა 1829 წელს, მაგრამ თავი არ მიუხედავია მისთვის და ნიადაგ ასწორებდა, რადგან გრძნობდა, რომ თარგმანი სათანადო ღონეზე არ იდგა. „ქართული ენის საფუძვლებში“ ბროსე ამბობდა: „თარგმანში გვხვდება არა ზუსტი ადგილები და მთარგმნელი მიზნად ისახავს მოგვიანებით გამოაქვეყნოს მისი შესწორებული გამოცემა“. 1841 წელსაც დასძენდა: „რაც ეს ქრონიკა დაიბეჭდა მთარგმნელი სულ კითხულობს და ამოწმებს მას. ათი წელია სწავლობს ამ შრომას. ბედნიერი შემთხვევით რუსეთში მოხვედრილს იმდენი მასალა დაუგროვდა, რომ თარგმანის შესწორებასთან ერთად ისტორიული კომენტარებისა და შენიშვნების დართვასაც შესძლებს“. ბროსემ შესწორებული თარგმანი 1841 წელს გამოაქვეყნა<sup>15</sup> და დედანში დაშვებული შეცდომებიც გაასწორა. ამ მხრივ დიდი დახმარება გაუწია ისეთი სერიოზული ნაშრომის თარგმნამ, როგორც იყო ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“. „ლეოლრაფიული აღწერა საქართველომასა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ მის ნამდვლზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტის-გან“. გამოქვეყნდა 1842 წელს.

თავდაპირველად როცა „ქართული ქრონიკის“ თარგმნა დაიწყო, ბროსე ეპეობდა, რომ საქართველოს მეფე ვახტანგ VI კალამს ეკუთვნოდა იგი. საისტორიო დოკუმენტებს გაცნობილ ბროსესათვის აშკარა გახდა, რომ ვახტანგი იყო განსწავლული ინიციატორი და ხელმძღვანელი „ქართლის ცხოვრების“ შედ-

გენისა და რომ ვახტანგამდე არსებობდა სხვა საისტორიო შრომებიც.

მაგრამ ბროსეს არ შეეძლო ეთქვა თუ რა ეკუთვნოდა ვახტანგს „ქართლის ცხოვრებაში“, რადგან მის წინარე არსებული „ქართლის ცხოვრება“ ბროსეს დროს ცნობილი არ იყო. სწორედ ამას ამბობდა ექვთიმე თაყაიშვილი „სამი ისტორიული ქრონიკის“ წინასიტყვაობაში: „თუ ბროსეს არ შეეძლო თქმა, რა ეკუთვნოდა ვახტანგს ქართლის ცხოვრებაში, ჩვენ მარიამ დედოფლის ვარიანტის განხილვით თითებზე შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის, რაც ვახტანგს ქართლის ცხოვრებაში შეუტანია“.

ბროსეს ხელნაწერთა არქივში ვნახულობთ იმ უამრავ მასალას, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის შედგენისას. მათ შორის აღსანიშნავია: პლატონ იოსელიანისაგან მიღებული „ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია“, რომელზედაც ბროსეს მიუწერია: მთელი ნაშრომი წარმოადგენს უხეიროდ შემოკლებულ ვახტანგისეულ ისტორიას, მაგრამ მოცემულია ახალი დეტალები გვიანდელი ხანისა (1730 წლამდე), რომლის მომსწრე ყოფილა ავტორიო. აქვეა დავით და ბაგრატ ბატონიშვილების საისტორიო შრომები, სვიმონ ტაბიძის ხელით გადაწერილი ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობა, სომეხ ავტორთა შრომები, ხელნაწერი ბროსეს მინაწერით: „ცხოვრება მეფის ირაკლის მეორისა ომან მდივნისა ხერხეულიძისაგან მოთხრობილი — გადაწერილი ტაბიძის მიერ“, დავით დადიანის ნაბოძები ფეშანგის პოემის „შაჰნავაზ I“ ხელნაწერი, ბროსეს შენიშვნით, რომ ავტორი ზნეჩვეულებათა და ისტორიის შესანიშნავი გადმომცემია. ბროსეს გამოუქვეყნებელი განხილვა ქართველ, არაბ და ევროპელ ავტორთა მიხედვით საქართველოს მეფეთა დინასტიების გენეალოგიური ტაბულებისა. აქვე ვხვდებით წერილს საქართველოს მეფე კონსტანტინე III მიერ 1465 წელს მიწერილს ესპანეთის დედოფლის იზაბელასადმი. ეს წერილი რუსულად დაწერილი ვარშავის არქივში იპოვნა ვინმე ბუსემ. გამოქვეყნდა პერიოდულ ორგანოში — „Труды Высочайше утвержденного вольного общества российской литературы“ — 1823 წელს (ტ. II, № 4). რუსულიდან ქართულად თარგმნა პლატონ იოსელიანმა.



ისტორიის თარგმნა ბროსემ რუსეთში ჩამოსვლისთანავე დაიწყო. ნაშრომში — „საქართველოში მოგზაურობის პროგრამა“ — ამის გამო აღნიშნავდა: „ჩვენ ვახტანგისეული ქრონიკის ხეირიანი პირიკ კი არ გავგაჩინაო“. რუმინანცევის მუზეუმისეული ხელნაწერი, რომლის დასაწყისი საუკეთესოდ ითვლებოდა, ბოლოში სრული არ იყო და მრავალ ნაქლს შეიცავდა. ბროსე ჩიოდა, ბევრნი უნდობლობით მალავენ ხელნაწერებსო. ამიტომ მას უხდებოდა ცალკეული ადგილების შეჭერება სხვა დოკუმენტებთან და საქართველოში მოგზაურობა ამ მხრივ მეტად სასარგებლო იყო მისთვის. „საქართველოს ისტორიის“ რედაქცია 1842 წელს დაასრულა. 1846 წელს დაბეჭდვის ნებართვა მიიღო, მაგრამ საქართველოში წასვლის პერსპექტივამ გადაადებინა ეს საქმე. საქართველოდან დაბრუნებისთანავე აკადემიის პირველ სხდომაზევე, რომელსაც ბროსე ესწრებოდა, 1848 წლის 11 აგვისტოს გადაწყდა წიგნის 400 ეგზემპლარად გამოცემა.

ამ გამოცემისათვის ბროსეს უხელმძღვანელებია ძველი სამი ხელნაწერთ; ერთი მათგანი თეიმურაზ ბატონიშვილისეული ყველაზე ადრინდელი და სრული იყო. თავდებოდა 1318 წლით, ე. ი. გიორგი ბრწყინვალეს გამეფებამდე; მეორე ხელნაწერი — რუმინანცევის მუზეუმის საკუთრებას შეადგენდა. აკადემიკოსმა ფრენმა ჯერ კიდევ 1836 წელს მიაპყრო აკადემიის ყურადღება ამ ხელნაწერისადმი. იგი მოიცავდა 1301—1307 წწ. პერიოდს. მესამე ხელნაწერი თბილისის ყოფილმა გუბერნატორმა ფალავანდოვმა ორი წლით ათხოვა მეცნიერებათა აკადემიას. 1838 წელს ბარონ დე პანისა და ბროსეს თაოსნობით გადაიღეს მისი პირი და აკადემიის საკუთრებად დაიტოვეს.

1849 წელს, ბროსეს სიტყვით, „ოცდაათი წლის დაუღალავი კვლევა“ დასრულდა და გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორიის“ ქართული ტექსტის პირველი ნაწილი: — „ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთაფხრამეტე საუკუნემდის, თარგმნილი და გამოცემული ღვაწლითა უ. ბროსე, წევრისა საიმპერატორო აკადემიისა მეცნიერებათა. ნაწილი პირველი. ძველი მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ. სანკტპეტერბურდს.

1849 წ.“ წიგნს ღართული ჰქონდა მიძღვნა: „მათს ბრწყინვალეობას ღრაფს სერგია სვმეონის ძეს უვაროვს, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისა პრეზიდენტსა, ქართულის სიტყვებისა რუსეთსა შინა დამფუძნებელსა და მოწყალეს მფარველსა. უმდაბლესად შესწირავს წიგნსა ამას გამომცემელი მისი“.

ქართულ ტექსტთან ერთად ბროსემ მალე გამოაქვეყნა ამავე ნაწილის ფრანგული თარგმანი. „საქართველოს ისტორიას“ ბროსემ წაუძღვარა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიაზე“ ღართული წინასიტყვაობა.

მრავალი წლის დამქანცავმა მუშაობამ ბროსეს ჯანმრთელობა შეარყია. უამრავ ხელნაწერზე მუშაობამ დაუზიანა მხედველობა. თვალის მწვავე ტკივილმა აიძულა დროებით ხელი აეღო საქმიდან. ამ დროისათვის (1851 წ.) უკვე გამოცემული ჰქონდა 3 ტომი. საქართველოს ისტორიის მესამე ტომის „დამატებებსა და განმარტებებში“ ბროსე მწუხარებით აღნიშნავდა თავის ავადმყოფობის შესახებ, რამაც ხელი შეუშალა ძველი ისტორიის დასრულებას, წინასიტყვაობისა და ინდექსის გამოცემას, რაც მეშვიდე ტომში შეიტანა მოგვიანებით. მეოთხე ტომის გამოცემა დაეკისრა დავით ჩუბინაშვილს. ბროსე დიდი მადლობელი იყო მისი და ღიმიტრი მელვინეთ-უხუცესის სწერდა: „მე რომ ავად ვიყავი 1851 წელს და თვალების ცუდად მყოფობის გამო არ შემეძლო მეტი მუშაობა. ჩემის რჩევითა აკადემიამ მიაბარა დ. ჩუბინოვსა დაბეჭდა ვახუშტისა და სხვა და სხვა დროისა მებისტორიკეთა მოთხრობათა. ორიგინალი წავიკითხეთ ერთად... მან უფროსი ერთი სიმძიმე ზედხედვისა მიიღო თავის თავზედა“.

„საქართველოს ისტორიის“ მეორე ნაწილი, მეოთხე ტომი. 1469 — 1800 წწ. პერიოდს მოიცავდა. წამძღვარებული ჰქონდა დავით ჩუბინაშვილის წინასიტყვაობა.

რამდენადაც წინ მიიწევდა საქართველოს ისტორიაზე მუშაობა, მასალები სულ უფრო მეტი გროვდებოდა და ბროსე ცდილობდა შრომის გაშლასა და გაფართოებას. ჩაუმატა საქართველოს მეფეების დინასტიათა გენეალოგიური ტაბულა, რომელსაც ადგენდა თავისი ქართველოლოგიური კვლევის დასაწყისიდან.

უკანასკნელ ტომებში შეტანილია სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის, დავით და ბაგრატ ბატონი-შვილების ისტორიათა თარგმანი.

„საქართველოს ისტორიის“ გამომცემელი ბროსე იყო მთარგმნელიც, კომენტატორიც და შემავსებელიც ამ ფასდაუდებელა თხზულებისა, რომლის მესამე ტომი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ეს არის ბროსეს მიერ დამოუკიდებლად შექმნილი „დამატებანი და განმარტებანი“, სადაც ბროსე დაწვრილებით მიმოიხილავდა უცხოელ ისტორიკოსთა შრომებს საქართველოს შესახებ. ევროპელთაგან აღნიშნავდა ანტუან-ჟან სენ-მარტენის, ვივიენ სენ-მარტენის, ჟიულ კლაპროტის, ვატერის, ბრეიტენბაუხის, ბრენერის, დიუბუას, გალანუსის და კონის მოღვაწეობას ამ დარგში.

26-ე დამატებაში ბროსე იძლევა ვრცელ ცნობებსა და განმარტებებს საქართველოს ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის შესახებ.

„დამატებებისა და განმარტებების“ დასაწყისში მოთავსებულია უცნობი ავტორის „სომხური ქრონიკა“. ბროსეს მიერ დართულ სქოლიოებიდან ვიგებთ, რომ იგი მას არ თვლიდა ორიგინალურ ნაწარმოებად, არამედ ქართულიდან სომხურ ენაზე გადმოთარგმნილად. „სომხური ქრონიკა“ მისი ვარაუდით XII საუკუნეს ეკუთვნოდა და მეტად საინტერესო ძეგლს წარმოადგენდა. ეს კი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ისტორიისათვის.

ბროსეს ერუდიციითა და ღვაწლით აღტაცებული მოსე ჟანაშვილი წერდა: „საფუძვლიანად, სინდისიერად და მიუდგომლად საქართველოს ისტორიის შესწავლა დაიწყო დაუფიწყარმა მარი ბროსემ. ადგილობრივ გამოიკვლია, გასინჯა ძველებური ნაშთნი — უარკყო მრავალი ცთომილი, უკუღმართი აზრი შესახებ საქართველოს ისტორიისა. მრავალის შრომით, დაუღვლავის მუშაობით განსვენებულმა „ქართლის ცხოვრებას“ მოუპოვა ნდობა მეცნიერებისა...“ („ივერია“, 1887 წ., № 13).

მრავალმხრივი დოკუმენტებით აღჭურვილ ბროსეს შეეძლო გაეწია ის დიდი მუშაობა, რომელიც მას მოუხდა საქართველოს ისტორიის შედგენის დროს. ამ შრომის VII ტომის წი-

# HISTOIRE DE LA GÉORGIE

DEPUIS L'ANTIQUITÉ JUSQU'AU XIX<sup>È</sup> SIÈCLE,

TRADUITE DU GÉORGIEN

PAR

**M. BROSSET.**

Membre de l'Académie Impériale des sciences.

---

**II<sup>e</sup> Partie.**

**Histoire moderne.**

**I<sup>re</sup> LIVRAISON.**

composée

- 1<sup>o</sup> Histoires particulières de Kartli, de Kakheti, de Samtskhé et de l'Iméretli,  
par le Tsarévitch Wakhouchi;
- 2<sup>o</sup> Suite et fin des Grandes-Années.
- 3<sup>o</sup> Dates recueillies par le Tsarévitch Wakhouchi;
- 4<sup>o</sup> IX Additions.



**ST.-PÉTERSBOURG,**

DE L'IMPRIMERIE DE L'ACADÉMIE IMPÉRIALE DES SCIENCES.

**1856.**

Se vend chez MM. Eggers et Comp., Libraires, Commissaires de l'Académie, et à Leipzig  
chez M. Léopold Voss.

Prix : 4 Roub. arg. = 3 Thlr. 13 Ngr.

თავფურცელი „საქართველოს ისტორიის“ II ტომისა, რომელიც მარი  
ბროსემ ფრანგულ ენაზე თარგმნა და გამოსცა პეტერბურგში 1856 წელს.  
დაპატარავებულია.

ნასიტყვაობაში წერდა, რომ საქართველოს ისტორიის გამოცემისას მიზნად ჰქონდა დასახული გამოქვეყნებინა ჯერ კიდევ უცნობი დოკუმენტები, რომლებიც ძვირფას მასალას წარმოადგენდნენ როგორც საქართველოს ისტორიისათვის, ისე საერთოდ აზიისათვის. იგი ცდილობდა გამოეცა საქართველოს რაც შეიძლება სრული ისტორია, მაგრამ როგორც თვით ბროსე ამბობდა, მას ძალა დაადრო ირ ეყო საქართველოს ისტორიის შესწავლის ხარვეზების შესავსებად, მითოლოგიისა და კლასიკური მასალის მხრივ. ამ ხარვეზების ამოსავსებად ბროსემ მეცნიერებათა აკადემიის 1853 წლის 16 მარტის სხდომაზე წამოაყენა წინადადება კონკურსის გამოსაცხადებლად. წინადადება მოუწონეს და მასვე დაავეალეს კონკურსის პროგრამის შედგენა.

ბროსეს პროგრამით კონკურსის მონაწილეებს უნდა წარმოედგინათ ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ ორ საკითხში: 1) ეთნოლოგია, პოზიტიური და გმირული ისტორია, იბერიის, მესხეთის, კოლხიდის, ლაზეთის გეოგრაფია ძველი დროიდან სტრაბონისა და არიენის დრომდე; 2) საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან მონგოლების შემოსევიდან (XIII ს.) თურქების შავ ზღვაზე გამოჩენამდე (XV ს.). ორივე საკითხის დამაკმაყოფილებლად შემუშავებისათვის დანიშნული იყო პრემია 500 მანეთის რაოდენობით, ხოლო ერთი საკითხისათვის — 300 მანეთი. ვადა დაინიშნა 1856 წლის აგვისტომდე. აკადემიამ მიიღო მხოლოდ ერთი ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა კონკურსის მოთხოვნილებებს. ამიტომ კონკურსის ვადა 1858 წლამდე გადაიდო. ამანაც ვერ გამოიღო ნაყოფი და აკადემიას მოუხდა მეორე კონკურსის, უფრო ნაკლებად მომთხოვნი პირობებით გამოცხადება. ესეც უშედეგოდ დამთავრდა.

ბროსე ხედავდა, რომ საქართველოს ისტორია ჯერ კიდევ პოპულარული არ იყო და ამიტომ გადაწყვიტა გამოეცა საქართველოს მოკლე ისტორია რუსულ ენაზე. დაიწყო წერა: „Очерк критической истории Грузии“. გამოქვეყნება რატომღაც ვერ მოახერხა. ხელნაწერი სამი ნაწილასაგან შედგებოდა, რომლის ორი ნაწილი წაიკითხა მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე 1855 და 1858 წლებში.

მესამე ნაწილი აღარ წარუდგენია აკადემიისათვის და ხელნაწერის სახით დარჩენილა. ბროსე შემდეგში სულ იმ საკითხებს უტრიალებდა, რომლებსაც თვითონ ვერ გასცა სათანადო პასუხი. განსაკუთრებით აწუხებდა შემდეგი საკითხების გადაჭრა: რომელ ჯგუფს განეკუთვნება ქართველი ერი, რომელ გვარს — ქართული ენა, ქართული სახელების წარმოშობა, შეუსწავლელი ხელნაწერები, განსაკუთრებით სიგელ-გუჯრები. კავკასიის ეთნოგრაფიის, ლინგვისტიკის, ეპიგრაფიკის მეტად საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი.

1878 წელს თბილისში შედგა არქეოლოგთა V ყრილობა, რომლის პრეზიდენტად დანიშნული იყო სერგეი უვაროვი. ზემოაღნიშნული საკითხების ყრილობაზე გამოსატანად ბროსემ წერილი გაუგზავნა უვაროვს. წერილი ყრილობის კომიტეტის პირველ სხდომაზევე წაიკითხეს.

საქართველოდან დაბრუნებულ ბროსეს არ შეუწყვეტია ურთიერთობა საქართველოსთან. როგორც დიმიტრი მეღვინეთ-უხუცესის მაგალითზე დავიანახეთ, იგი ცდილობდა, რაც შეიძლება უფრო გაეფართოებინა კორესპონდენტთა ქსელი საქართველოში და მეტი მასალა მიეღო. მისი ინიციატივით გამოცხადებული კონკურსი სწორედ საბუთი იყო იმისა, რომ საქართველოს ისტორიის შედგენა დასრულებულად არ მიაჩნდა და როგორც იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ქაბუჯი პარიზის წიგნსაცავებს აფორიაქებდა ქართველოლოგიური მასალების შესაკრებად, ახლაც, ასევე დაეძებდა დოკუმენტებს და ამუშავებდა მათ. ამიტომ პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა კორესპონდენტთა რიცხვი. უცხოელი და რუსი კორესპონდენტებიდან ბროსეს დიდ დახმარებას უწევდნენ: პროფესორი აბიხი, ნუმისმატი ბარტელემეი, აკადემიკოსი ქრისტიან-მარტენ ფრენი, რომელმაც ჯერ კიდევ პარიზში გამოუგზავნა ბროსეს გიორგი ავალიშვილის წიგნების კოლექციის ნუსხა, ბარონი სენატორი ჰანი, ნიკოლოზ ხანიკოვი, აკადემიკოსი ერნესტ კუნიაკი, ვასილი პერევალენკო, ისტორიკოსი ბარონ დე როზენკამპფი, პეტერბურგის არქეოლოგიური საზო-

გადოების მდივანი ნიკიერი ჟურნალისტი პავლე საველიევი, სუოგრენი, აკადემიკოსი სრენენესკი, ტიშენჰაუზენი და სხვ.

1849 წელს დიმიტრი მელვინეთ-უხუცესისათვის შედგენილი არქეოლოგიური კვლევის ინსტრუქცია და პროგრამა სარეზუმდვანელო გახდა საქართველოს წარსულით დაინტერესებულ მრავალ პირთათვის. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა დიმიტრი ბაქრაძე.

ბაქრაძის მოგზაურობის შედეგები ბროსეს მეშვეობით ცნობილი ხდებოდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიისათვის. ბროსეს ხელმძღვანელობით ჩატარებული მოგზაურობა საქართველოში დიმიტრი ბაქრაძემ შეაჯამა შრომაში — „Археологическое путешествие по Гурии и Аджаре Дм. Бакрадзе“, რომელიც აკადემიამ ოქროს მედლით დააჯილდოვა და გამოსცა 400 ეგზემპლარად. ბაქრაძემ ეს წიგნი დიდი პატივისცემის ნიშნად მიუძღვნა ბროსეს. შრომა გამოვიდა 1878 წელს. მას წამძღვარებული ჰქონდა: „Труд этот посвящаю Императорской Академии Наук Ординарному Академику Марию Ивановичу Броссе, заложившему прочный фундамент к изучению неизвестных и малоизвестных источников грузинской литературы. Один из членов грузинского общества Дм. Бакрадзе“.

ბროსე უდიდესი თავაზიანობითა და სიყვარულით ეპყრობოდა ქართველ მეგობრებს. ბაქრაძისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „დიდად მრცხვენია და ძალიან დამნაშავე ვარ თქვენთანა და თქვენთა ამხანაგთა წინაშე, რომ ასე დაგიგვიანეთ პასუხი და მადლობა, ბოდიშს გთხოვთ უმდაბლესად, რომელს ღროს მომივიდა წიგნი თქვენი შეუძლოდ ვიყავ და ასე დაღრმავებული მწუხარებაში, რომ საქმეებზედ ძალი აღარ მქონდა, ჩემი უფროსი შვილის გარდაცვალების გამო“.

მხოლოდ ქართული საქმის დიდი სიყვარული ამოძრავებდა შვილზე მგლოვიარე მამას, რომ ასეთი წერილი დაეწერა. იგი განაგრძობდა ბაქრაძისადმი მიწერილ წერილს: „ნუ გგონია, რომ უდიერ ვყავ თქვენი წერილი, რომ არ მიაგებოდა გამოცემა თქვენი ჟურნალისა. საქებელია მეცადინეობა ესე ამ საგანზედ, რომ ქართველებმა თავის ენაზედ წაიკითხონ ევროპის ამ-

ბები და ისწავლონ ცოტა რამე უცხო მხარეების მდგომარეობი-  
სა. გულითა მსურს, რომ ასი და ათასი ხელმომწერი იყოს და  
განათლება დაიფანტოს საქართველოში თქვენისა ხელითა...  
ძალიან დავბერდი და ამისათვის მსურს, რომ ყმაწვილმა ყმაძა  
გაათაოს ჩემგან დაწყებული...

გთხოვთ უფ. ნ. ლოღობერიძეს, ვ. თულაშვილს, ს. მელიქი-  
შვილს, გ. წერეთელს მოახსენოთ ჩემს მაგიერ მადლობა და  
მშვიდობით სუფევის სურვილი“.

ხანდაზმულ მეცნიერს გული სტკიოდა, რომ ვერ შესძლო იმ  
ნაკლის შეესება, რომელიც მისი აზრით გააჩნდა საქართველოს  
ისტორიას: ქრონოლოგიური სიზუსტე და ისტორიული დოკუმენ-  
ტების შეგროვება. მეცნიერებათა აკადემიას 1877 წელს  
ბროსემ სთხოვა დოკუმენტების თავმოყრა ღიმიტრი ბაქრაძე-  
სათვის მიენდოთ. აკადემიას ამ დროს საჭირო თანხა არ აღმო-  
აჩნდა და მხოლოდ 1879 წელს მოახერხა ბაქრაძისთვის დავა-  
ლების მიცემა, მაგრამ ბროსეს მიზანი ვერ განხორციელდა. ამ  
წელს იგი ავად გახდა და მეცნიერული მუშაობა თითქმის შე-  
წყვიტა. იგი უკვე 77 წლისა იყო და მხრებზე აწვა მოუსვენარი,  
ხანგრძლივი შრომის მძიმე წლები. მით უმეტეს, რომ გარდა  
ძირითადი საქმიანობისა უამრავი დატვირთვა ჰქონდა. იგი  
იყო წევრი პარიზის სააზიო საზოგადოებისა; წევრ-კორესპონ-  
დენტი ორლეანის ლიტერატურისა და ხელოვნების მეცნიერე-  
ბათა და ორიენტალისტური საზოგადოებებისა; კოპენჰაგენის  
ანტიკვართა საზოგადოების; მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლუ-  
რი ენების ინსტიტუტის საბჭოსი; რუსეთის სიძველეთა და ის-  
ტორიის საზოგადოებისა მოსკოვში; ვენეციის წმინდა ლაზა-  
რეს სომხური აკადემიისა; რუსეთის გეოგრაფიული საზოგა-  
დოებისა; ნანსის სტანისლავის სახელობის აკადემიისა; პარი-  
ზის ამერიკული და აღმოსავლური ეთნოგრაფიის საზოგადოე-  
ბისა; ბერლინის მეცნიერებათა აკადემიისა; მოსკოვის არქეო-  
ლოგთა საზოგადოებისა; პუის (საფრანგეთი) სოფლის მეურ-  
ნეობათა, ზელოვნებისა და კომერციის საზოგადოებისა; თბი-  
ლისის კავკასიის არქეოლოგ მოყვარულთა საზოგადოებისა.

ბროსეს ჯანმრთელობის მდგომარეობა 1879 წლის ზამთრი-  
დან სულ უფრო უარესდებოდა. მეცნიერებათა აკადემიის



1879 წლის 6 მაისის სხდომას უკანასკნელად დაესწრო მოხუცი, ავადმყოფი ბროსე. მძიმე ავადმყოფობაში გაიარა 1879 წელმა და დაღვა 1880 წელი. გადაწყდა ბროსე პეტერბურგის მკაცრი კლიმატისათვის განერიდებინათ და საფრანგეთში გაეგზავნათ, რათა უკანასკნელად ჩაესუნთქა მშობლიური ჰაერი.

1880 წლის 20 მაისს ბროსე ოჯახით გამოემშვიდობა პეტერბურგს და საფრანგეთს გაემგზავრა. დაბინავდა შატელროში, სადაც მისი უფროსი ქალიშვილი ქალბატონი ანრიეტ ბუტენი ცხოვრობდა. ჩამოსვლიდან სამი თვე გავიდა. 1880 წლის 3 სექტემბერს ბროსემ თავის მიწაწყალზე დალია სული.

მარი-ფელისიტე ბროსემ. რომელმაც მეორე სამშობლო რუსეთში ჰპოვა, საყვარელ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას დაუტოვა მთელი თავისი ბიბლიოთეკა, ხელნაწერები, ქართულ მასალათა კოლექციები, კორესპონდენცია.

რუსეთის საზოგადოება დიდი მწუხარებით შეხვდა ბროსეს გარდაცვალებას. ნეკროლოგები დაიბეჭდა პერიოდულ ორგანოებში: „ნოვოე ვრემიაში“, „გოლოსში“, „მოლვაში“, „რუსკი კურიერში“. ნეკროლოგს ბეჭდავდა აგრეთვე სომხური გაზეთი „პორდც“.

საქართველოში „დროებამ“ (№ 184) გამოაქვეყნა ი. მეუნარგიას ნეკროლოგი და ს. მესხის წერილი.

ს. მესხი აუწყებდა საზოგადოებას: „ამ ორი სამი თვის წინათ რუსულს გაზეთებში იწერებოდნენ, რომ აკადემიკოსი ბროსე სტოვებს აკადემიკოსობას, ეთხოვება რუსეთს და საფრანგეთში მიდის სამუდამოდ იმ განზრახვით, რომ იქ, სამშობლოში გაატაროს თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები და იქვე ჩაპყაროს თავისი ძვლები.“

ამავე გაზეთებმა მოგვიტანეს ჩვენ სამწუხარო ამბავი, რომ ბროსეს შესრულებია თავისი უკანასკნელი განზრახვა და სურვილი: ის გარდაცვლილა საფრანგეთის ქალაქს შატელროში ამ აგვისტოს 22-ს... საუკუნოთ იყოს ხსენება მისი... ამისთანა კაცის სიკვდილი მთელი ქართველობისათვის სახალხო მწუხარებად ჩაითვალოს. მაგრამ ამ მწუხარებაში ჩვენ ის გარემოება გვანუგეშებს, რომ მცველებულის ცხოვრება სამაგალითოდ,

მისაბამად დარჩება იმ ქართველ ახალგაზრდებისათვის, რომელთაც პირველი მოვალეობა სამშობლოს უანგარო სამსახური და ამისათვის თავის საუკეთესო დღეების შეწირვა უნდა იყოს...”

„დროება“ (№ 190) აცხადებდა ქუთაისიდან გამოგზავნილ დეპეშას: „დღეს კათოლიკეთა ეკლესიაში დიდის ამბით გადანიხადეს მარი ივანეს ძე ბროსეს პანაშვიდი. ეკლესიაში დამსწრე ხალხი ვერ ეტეოდა. გიორგი წერეთელმა და ირაკლი ლორთქიფანიძემ მშვენიერი სიტყვები წარმოსთქვეს...“

ქართველმა ხალხმა ნათლად დაინახა თუ რა ღვაწლი მიუძღოდა მათთვის თავდადებულ ფრანგ მეცნიერს და 1902 წელს დაბადებიდან 100 წლისთავი გადაუხადა, რომლის შესახებაც იუწყებოდა ჟურნალი „კვალი“ (№ 9) და გაზეთი „ივერია“ (№ 48).

1902 წლის მარტს „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელით ილია ჭავჭავაძემ განუცხადა თბილისის თვითმმართველობას: „ქალაქის თვითმმართველობისათვის უცნობი არ არის თუ რა ფასდაუდებელი ამაგი დასდო განსვენებულმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა მ. ბროსემ კავკასიის მკოდნეობას თავისი ვრცელი გამოკვლევებით საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ცხოვრებიდან, რომლის ლიტერატურული ძეგლები, „ქართლის ცხოვრების“ სახელით ცნობილი ისტორიული ქრონიკები და ბატონიშვილი ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფია“ მთლიანად თარგმნა ფრანგულ ენაზე და აღჭურვა ისინი მნიშვნელოვანი კომენტარებით. მარი ბროსეს დაბადების ასი წლისთავის შესრულების გამო, მისი ღვაწლის ყურადსაღებად და სახსოვრად, საზოგადოების გამგეობას აქვს პატივი სთხოვოს ქალაქის თვითმმართველობას ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მარი ბროსეს სახელი“.

ქალაქის მმართველობამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა.

ილია ჭავჭავაძე ისწრაფოდა ქართველი ერის მადლობა საფრანგეთის შვილისადმი ფრანგებისათვისაც ემცნო. ამ მიზნით დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის საერო განათლების მინისტრს ჟორჟ ლეგეს („ივერია“. 1902 წ.)—„დღეს მრავალი ხალ-

ჯისა და საფრანგეთის კონსულის თანადასწრებით ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაახდევინა ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში დაბადების ასის წლის თავის სადღესასწაულო წირვა და პანაშვიდი მოსახსენიებლად სულისა ფრანგის ბროსესი, პარიჟის აზიური საზოგადოებისა და რუსეთის აკადემიის წევრისა, საქართველოს უწარჩინებულესის ისტორიკოსისა და საქართველოს ისტორიის გამავრცელებლისა მსოფლიო ფრანგულის ენითა. საფრანგეთის დიდებული ერი ჰქმნის დიდებულ კაცთა არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ ყველა ერისათვის. სალამი საფრანგეთს“.

ილიამ ასეთივე დებეშა გაუგზავნა ბროსეს შვილს, რუსეთის კონსულს ბარსელონაში ლორან ბროსეს, მამის ბიოგრაფსა და ბიბლიოგრაფს, რომლისგანაც ქართველი ერისადმი დიდი მადლობითა და სიყვარულით აღსავსე წერილი მოვიდა. „... მე მოწამე ვიყავი, — იწერებოდა ლორან ბროსე, — იმ უსაზღვრო ერთგულებისა, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩემს მშობელს ქართველი ხალხის სიძველეთა ძეგლების შესწავლის დროს. მან მთელი არსებით შეიყვარა საქართველო და ქართველები, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუკავშირა თავისი გონებრივი მისწრაფებანი და მეცნიერული მოღვაწეობა. საქართველოსადმი თავისი სიყვარული მან მე გადმომცა და მიანდერძა“.

ანდერძი პირნათლად შეასრულა მარი ბროსეს ღირსეულმა ძემ ლორან ბროსემ. მან დიდის მონდომებითა და სიყვარულით შეადგინა შესანიშნავი ბიბლიოგრაფიული შრომა<sup>16</sup>, სადაც თავი მოუყარა მამის ვრცელ მოღვაწეობას და დააღაგა იგი ქრონოლოგიურად. ლორან ბროსეს შრომა გზის მაჩვენებელია, რომელსაც მიჰყვებოდნენ მისი ბიოგრაფები და რომელსაც გაჰყვა წინამდებარე შრომის ავტორიც.

## X

### დასკვნა

მარი-ქსავიე-ფელისიტე ბროსეს ქართველოლოგიურ კვლევას თავიდანვე აჩრდილივით თან სდევდა კითხვა: ღირსია თუ არა საქართველოს ისტორია და ქართული ლიტერატურა მეცნიერული შესწავლისა? ეს კითხვა წამოჭრილი იყო იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც საქართველოს კულტურას არ იცნობდნენ.

საფრანგეთში არა ერთი ადამიანი უმზერდა ეკვის თვალით ბროსეს მიერ არჩეულ გზას, რის გამოც ბროსე წერდა ზაქარია ჭიჭინაძეს: „... მახსოვს დრო ესე, როდის ჩემი თანამემამულენი გიჟად მიწოდებდნენ, ვითომ ქართული მწერლობა არა ღირსა არაფრისა...“ („ივერია“, 1902 წ., № 27).

ბროსემ საფრანგეთშივე დაიწყო ქართული წიგნების კატალოგების გამოქვეყნება, მათი თარგმნა ფრანგულ ენაზე და ფრანგ საზოგადოებას გაუხსნა გზა ქართული მწიგნობრობის გაცნობისაკენ.

თავდაპირველად ბროსემ შეადგინა მისთვის ცნობილი ქართული წიგნების სია, რომელსაც დაურთო პეტერბურგიდან მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ქრისტიან-მარტინ ფრენის მიერ გამოგზავნილი წიგნთა ნუსხა. ეს იყო ავალიშვილის ბიბლიოთეკის აღწერა, რომელიც მოსკოვში ყოფნისას ნახა. ბროსემ და შეისყიდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიისათვის.

ბროსემ ეს ნუსხა დაალაგა დარგების მიხედვით და დაურთო კომენტარები. I თავში მოცემული იყო რელიგიური ხასიათის წიგნები; II თავში — ლექსიკონები; III — გრამატიკა;

IV — ფილოსოფია და კანონმდებლობა; V — ისტორია; VI — გეოგრაფია; VII — მოგზაურობანი; VIII — საკუთრივ ლიტერატურა, როგორც ბროსე აღნიშნავდა სიტყვაკაზმულ მწერლობას. სია მეტად ვრცელი გამოდგა. ეს აფიქრებინებდა ბროსეს, რომ მისთვის უცნობი თხზულებანიც უეჭველად არსებობდა ქართულ ლიტერატურაში და მათი რიცხვი არც თუ მცირე უნდა ყოფილიყო. აღნიშნული კატალოგი ბროსემ დაურთო შრომას — „ქართული ენის საფუძვლებს“.

ბროსეს მიერ ფრანგულად თარგმნილ ქართულ ხელნაწერთა კატალოგებიდან აღსანიშნავია 1836 წელს ილარიონ ათონელის მიერ „შედგენილი ივერიის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა ნუსხა, რომელიც ბროსემ მოსკოვში აღმოაჩინა.

ბროსე აღნიშნავდა ამ კატალოგის თეოლოგიურ ხასიათს და აპირებდა მის შესახებ ცალკე შრომის დაწერას. ეს ვერ განახორციელა, მხოლოდ თარგმნა ნუსხა და დასაბეჭდად გაუგზავნა „სააზიო საზოგადოების“ წევრს, ცნობილ არმენოლოგს ვიქტორ ლანგლუას, რომელმაც კატალოგის ნაწყვეტი ჭერ პტოლომეუსის გამოცემის წინასიტყვაობაში მოათავსა, ხოლო შემდეგში მთლიანად ცალკე გამოსცა („სააზიო ჟურნალი“, 1867 წ., ტ. IX).

პეტერბურგში ბროსეს მეტი საშუალება მიეცა გასცნობოდა ქართულ მწიგნობრობას და გაეფართოებინა ადრე გამოცემული კატალოგები. თეიმურაზმა ბროსეს გადასცა თავისივე შედგენილი კატალოგი, რომელშიც აღწერილი იყო თეიმურაზის ბიბლიოთეკასთან ერთად ავალიშვილისა და ციციშვილის ნუსხები. როგორც ბროსემ მოგვიანებით გამოაკვლია ციციშვილის ნუსხა სინამდვილეში თელავის სემინარიის რექტორს დავით ალექსიშვილს ეკუთვნოდა.

ბროსემ თეიმურაზის კატალოგს დაუმატა პეტერბურგში და მოსკოვში აღმოჩენილ თხზულებათა სია და დაურთო 1838 წელს გამოქვეყნებულ შრომას — „მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვას“.

ბროსემ ზემოდასახელებული კატალოგი გამოაქვეყნა რუსეთში ჩამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, როცა ჭერ კიდევ სრულად არ იცნობდა არსებულ წყაროებს. ამის შემდეგ იგი

რეგულარულად აქვეყნებდა ცალკეულ ნაწარმოებთა აღწერებს, რომლებსაც იღებდა როგორც პეტერბურგის სხვადასხვა წრეებიდან, ისე მოსკოვიდან და საქართველოდან. ხოლო 1877 წელს, როცა უკვე ორმოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც პროსე პარიზიდან პეტერბურგს ჩამოვიდა, ტრანზიტ მკვლევარმა შესძლო უფრო ვრცელი ნუსხის შედგენა, სადაც მიმოიხილავდა ადრე გამოცემულ კატალოგებს<sup>17</sup>. სახელდობრ, ჩუბინაშვილის მიერ განოცემულ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმის კატალოგს, რომელიც ბროსეს ხელმძღვანელობით შედგა, სანამ მუზეუმს თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკა გადაეცემოდა. აქ თავმოყრილი იყო 225 ნომერი. ზოგიერთი ნომერი ერთზე მეტ თხზულებას შეიცავდა. თანამედროვე ლიტერატურის შესახებ ბროსე მიუთითებდა. 1863—66 წლებში გამოცემულ საკუთარ რეგისტრებზე. ამავე დროს აღნიშნავდა სამოციოდე ნაწარმოებს გამოქვეყნებულს თბილისში 1876 წლის ეურნალ „დროების“ სხვადასხვა ნომრებში და „ივერიის“ ამავე წლის პირველ ნომერში. ბროსე ასახელებდა პეტრე ქებაძის კოლექციის 30 ხელნაწერს და პეტრე ლარაძის კოლექციის 20 ხელნაწერს. აღნიშნავდა საქართველოში მის მიერ ნახულ დავით დადიანისა და გელათის მონასტრის ბიბლიოთეკებს, პლატონ იოსელიანის წიგნთა კატალოგს 125 ნომრით, იოანე ბატონიშვილის მდიდარი ბიბლიოთეკის 262 თხზულებას, რომლიდან 43 დაბეჭდილი იყო.

ბროსე ამ კატალოგებისა თუ კოლექციების მეოხებით ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ლიტერატურის გამომზეურებას, რათა ქართული ლიტერატურის მომავალ მკვლევართათვის გზა გაეხსნა და ამასთან ერთად უგულვებელყო ქართული კულტურისადმი სკეპტიკურად განწყობილ ადამიანთა იერიშები.

ბროსეს ამ კეთილშობილი მიზნების განსახორციელებლად მხარში ედგა ქართველებთან ერთად პროგრესულად მოაზროვნე რუსი საზოგადოება, რომლის თაოსნობით პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, მისივე თაოსნობით გაფართოვდა ქართული ლიტერატურის ბეჭდვა, გაღრმავდა ინტერესი საქართველოს ისტორიის მიმართ.

საქართველოს ისტორიისა და ქართული მწიგნობრობის მოყვარულთა აზრს აღიარებდა რუსი ორიენტალისტი, ბროსეს შრომების რუსულად მთარგმნელი პავლე საველიევი, რომელმაც რუსეთში ბროსეს მოღვაწეობა ღირსეულად შეაფასა: „Он первый из Европейских Ориенталистов посвятил себя почти исключительно изучению Грузии, ея Истории и Языка, и такое самопожертвование в пользу науки не могло не принести самых блестящих плодов. Хотя были Ориенталисты, которые прежде его занимались Грузинской литературой... Но все они имели только поверхностные познания в этом предмете ...Г. Броссе принялся прежде всего за классическое изучение грузинского языка; исчерпал все что только есть Грузинского в Парижских библиотеках, и вошел в сношения с некоторыми учеными Грузинами из числа их нельзя не упомянуть о Князе Теймуразе...“ („Грузинские древности, надписи и монеты и отрудах гг. Дюбуа и Броссе“. „Журнал Министерства Народного Просвещения“. 1837 г., т. XVI, № 12). საველიევი აქვე აღნიშნავდა თეიმურაზის ღვაწლსაც და მის თანამშრომლობას ბროსესთან. ასახელებდა ბროსეს შრომებს, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის შესწავლას.

საველიევი ასევე ბროსეს დიდი ქართველოლოგიური ძიების შესახებ მეორე წერილშიც წერდა: „Г. Броссе, член парижского азиатского общества избрал все грузинское своею специальностью...“.

რუსეთის მოწინავე საზოგადოების მხარდაჭერითა და საკუთარი კვლევით დადგენილი საქართველოს მდიდარი კულტურის მაჩვენებელ ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით ბროსე თავგამოდებით იცავდა, საქართველოს მწიგნობრობას ისეთ ბნელ პიროვნებათა გამოხდომებისაგან, როგორიც იყო „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიას“ რედაქტორი სენკოვსკი, რომელიც ეპეს გამოთქვამდა ქართული ეროვნული ლიტერატურის არსებობის, საქართველოს ისტორიკოსთა და კერძოდ, ბროსეს კვლევის საფუძვლიანობის მიმართ.

ბროსესათვის და სალად მოაზროვნე საზოგადოებისათვის განსაცვიფრებელი იყო სენკოვსკის მტკიცება — „ქართული ლიტერატურა დარიბიაო“, როცა თვით სენკოვსკის მიერ შედგენილ სტატისტიკურ ცნობებში ავტორი იძულებული იყო დაესახელებინა 22 ქართველი მწერალი.

ბროსე ამ ცნობებს უმატებდა ქართულ წიგნთა კატალოგებში მოცემულ 350 წიგნს. მას მეტად აკვირვებდა ის გარემოება, რომ ქართული კულტურის მოწინააღმდეგეებს ავიწყდებოდათ ბერძნული და ლათინური ლიტერატურა, რომელიც ამაზე უფრო მდიდარი არ იყო. და თუ ძველი ქართული ლიტერატურის დიდი ნაწილი საეკლესიო და თარგმნილი თხზულებებისაგან შედგებოდა, ეს სრულიადაც არ ამცირებდა მის ღირსებას და აიხსნებოდა ქართველთა განწყობილებით, რომელიც გამომდინარეობდა სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობიდან. ამ მხრივ ბროსე პარალელს ავლებდა ევროპის შუასაუკუნეების ლიტერატურასთან, სადაც საქართველოს მსგავსი მდგომარეობა იყო შექმნილი და ასევე საეკლესიო და თარგმნილ ლიტერატურას ენიჭებოდა უპირატესობა. იგი ურყევ ფაქტად მიიჩნევდა, რომ ქართულ საერო და საეკლესიო ლიტერატურაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა პოეზიასა და პროზას, სადაც ასახული იყო ქართული ეროვნული ხასიათი, ქართველი ადამიანის მხიარული ბუნება, დიდებით მოსილი პიროვნებისადმი ხოტბის შესხმა, გამირული თავგადასავლების, ჯადოსნური, არაჩვეულებრივი ამბების გადმოცემა, რომელშიც ბროსე ხედავდა რეალობას, ქართული სინამდვილის ასახვას. წარმოსახვით ლიტერატურას ბროსე ისტორიას უყენებდა გვერდით და თვლიდა, რომ ხელოვნება, როგორც აზროვნების ერთ-ერთი სფერო ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მეცნიერება და სახელდობრ კი ისტორია, რომლის მსგავსად ისიც სინამდვილეს ასახავს. ბროსეს საკუთარი აზრის დასაბამებლად მოჰყავდა ცნობილი ფრანგი არაბისტის სილვესტრ დე სასის სიტყვები, არაბული პოეზიის დასაცავად წარმოთქმული: „ისტორია გადმოგვცემს გარდასულ თაობათა მოქმედებებს, პოეზია კი მათ აზრებს გვაწვდის, მათ ინტიმურ ცხოვრებას აგვისახავს. ამიტომ პოეტური შედევრი ეტოლება



ისტორიულ შედეგს, სჭარბობს კიდევ, რამეთუ მასში გაის-  
მის ღმერთების ენა“.

ბროსე ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურის გამირებში.  
ხედავდა ქართველ ადამიანებს. მხატვრული შემოქმედებით  
ჯადმოცემულ ამბებს საქართველოს ცხოვრებისეულ ყოფიან  
ამბებად თვლიდა და „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი ხალხი მი-  
აჩნდა ღირსად იმისა, რომ ადგილი მიეღო მსოფლიოს კულტუ-  
რული ხალხების რიგებში და მისი ისტორია და კულტურა შეს-  
წავლილი ყოფილიყო.

პირველ წყაროებზე დაყრდნობით ბროსე აცხადებდა: სა-  
ქართველომ უკვე დიდი ხანია დაიჭირა საპატიო ადგილი იმ  
ქვეყნებს შორის, რომელთა მწიგნობრობა იპყრობს ევროპის  
ყურადღებას. ახლო წარსულში საქართველოს ურთიერთობა  
ჰქონდა საფრანგეთის მეფეებთან და ეს დოკუმენტები ბროსემ  
აღმოაჩინა პარიზის არქივებში. ბროსე საქართველოში ისტო-  
რიული ძეგლების არსებობის დასამტკიცებლად იმოწმებდა  
ცნობილი მოგზაურების შარდენის, ტურნეფორის, გულდენ-  
შტეტის და სხვათა ცნობებს და დასძენდა: „ვინც ამბობდა  
ვერაფერი საგულისხმო ნახა ამ ძველ ქვეყანაში, ემჩნევა გან-  
გებ ხუჭავდა თვალებს, რომ არაფერი დაენახა“.

ბროსე არ კმაყოფილდებოდა ფაქტიური მასალის გამო-  
ქვეყნებით. იგი ცდილობდა არა მარტო მკითხველთა ფართო  
წრეების ყურადღება მიეპყრო, არამედ უფრო მჭიდრო კონ-  
ტაქტი დაემყარებინა საზოგადოებასთან, შეექმნა მისი ლექცი-  
ების მსმენელთა მრავალრიცხოვანი აუდიტორია, რომელზედაც  
ოცნებობდა პარიზში და რომლის განხორციელება შესძლო  
პეტერბურგში.

აღსანიშნავია, რომ ბროსემ სხვა აღმოსავლურ ენებთან ერ-  
თად სომხური ენაც კარგად იცოდა და ჭაბუკობიდანვე ქართვე-  
ლოლოგიასთან ერთად იკვლევდა არმენოლოგიასაც. ამ ორი  
ქვეყნის პარალელურად მეცნიერული კვლევის შედეგად ბრო-  
სეს განუვითარდა თვალთახედვის ფართო ჰორიზონტი, რაც მას  
მკვეთრად განასხვავებდა იმდროინდელი ქართველოლოგებისა  
და არმენოლოგებისაგან. ბროსეს შესანიშნავად ესმოდა, რომ  
ეს ორი ქვეყანა ისტორიული სვე-ბედით მჭიდროდ იყო ერთმა-

ნეთთან დაკავშირებული და მათი შესწავლა ორმაგი კვლევის მოთხოვნილებას უყენებდა მეცნიერს. ბროსემ პარიზში 1832 წელს „სააზიო საზოგადოებას“ წაუყითხა ნაშრომი, სადაც აშუქებდა სომხურ კანონმდებლობას ქართულ დოკუმენტებზე, სახელდობრ, ვახტანგ მეფის „სამართალზე“ დაყრდნობით. ასევე სომხური ხელნაწერიდან გამომდინარე, ბროსე ადგენდა ცნობებს ქართული კალენდარის ქრონოლოგიის შესახებ.

მარი-ფელისიტე ბროსეს კიდევ ერთი დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე: მან ქართული მწერლობის ნიმუშები ფრანგულად თარგმნა და ევროპელთათვის ხელშესახები გახადა. ამავე დროს ბროსემ საძიკველი ჩაუყარა ქართული სასწავლო სახელმძღვანელოების გამოქვეყნებას და ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას.

ბროსემ თავისი მრავალმხრივი, კეთილსინდისიერი მეცნიერული მუშაობით გარს შემოიკრიბა რუსი, ფრანგი და ქართველი მკვლევარები, რომლებიც ბროსეს გაკაფულ გზას მიჰყვებოდნენ.

საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის პირველი წყაროების მეცნიერული შესწავლით ბროსემ შექმნა მტკიცე ტრადიცია როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ამ ტრადიციას გაჰყვა ე. წ. პეტროგრადის სამეცნიერო სკოლა რუსეთში და საქართველოში ისტორიკოსები: დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, თ. ჟორდანიანი.

საქართველოსათვის თავდადებული მეცნიერის ღვაწლს მადლიერების გრძნობით აფასებდა ქართველი ხალხი, რომლის აზრს გამოხატავდა ილია ჭავჭავაძე: „მან პირველმა აიღო ჩვენის ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა სამეცნიეროდ შესწავლის სპეციალურ საგნად და მიიპყრო მთელის განათლებულ ქვეყნების მეცნიერთა ყურადღება“.

ბროსე კი ზაქარია ჭიჭინაძისადმი მიწერილ წერილში („ივერია“, 1902 წ., № 27) მოკრძალებით აცხადებდა: „... ქართველები ჩემს ღირსებას მეტად აფასებენ, ჩემგან ნაშრომებს მათის მწერლობისათვის, რომელთაგან სიამოვნების გარდა მიმიღია დიდი ბედნიერება“.

## შ მ ნ ი შ ვ ნ ი ბ ი

- 1 ბროსეს ნათლობის სახელი იყო მარი-ფელისიტე. დედამ კი, როგორც მეტად მორწმუნე ქალმა, Sainte-Marie (წმინდა მარიამი) უწოდა. ორივე სახელი ქალისა იყო და ბევრ გაუგებრობას იწვევდა. ამიტომ ბროსემ სემინარიაში შესვლისას მიიმატა მამაკაცის სახელი ქსავიე. ოფიციალურად შერჩა სახელი მარი-ქსავიე-ფელისიტე. შინ კი სენტ-მარის უწოდებდნენ. პეტერბურგში რუსული ყაიდით მიმართავდნენ მარი ივანოვიჩს.—8.
- 2 „Collège de France“—XV საუკუნეში საფრანგეთის მეფის ფრანსუა I მიერ პარიზში დაარსებული უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც დღესაც არსებობს.—9.
- 3 Fr. Schmidt — „Eugenius, Georgien oder historisches Gemälde von Grusien“. Riga und Leipzig, 1804.—9.
- 4 „De imitatione Christi libri quator in graecum versi interprete P. G. Mayr, S. I. Quinta editio. Parisiis, apud Firminum Didot bibliopolam, 1824“—10.
- 5 „Journal asiatique“—საქართველოში ცნობილი იყო როგორც „საახიო ჟურნალი“. ამიტომ ქართულად გადმოვეცემთ მის სახელწოდებას.  
 „საახიო ჟურნალი“ „საახიო საზოგადოების“ დაარსების დღიდან გამოვიდა სამ სერიად: I სერიის თერთმეტი ნომერი 1827 წლამდე ქვეყნდებოდა, II სერიის 16 ნომერი სახელწოდებით—„N o u v e a u Journal asiatique“ (ახალი საახიო ჟურნალი) 1835 წლამდე გამოდიოდა, 1836 წლიდან გამოიცა შესაბამე სერია პირველის სახელწოდებით.—14.
- 6 იგულისხმება სილვესტრ დე სასის წერილი (1833 წ. 8 თებერვალი), საიდანაც ჩანს, რომ ბროსეს სენ-მარტენის ბიოგრაფიის დაბეჭდვა

- ვერ მოუხერხებია „საახიო ჟურნალში“. ამიტომ 1832 წელს ჯერ ბიზანტიის იმპერიის ისტორიის XIII ტომში მოუთავსებია. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის ისტორია შეადგინა და III X ტომამდე გამოაქვეყნა სენ-მარტენმა, რომლის სიკვდილის შემდეგ ბროსეს ხვდა წილად ამ ოცდაერთტომიანი თხზულების გამოქვეყნება. სენ-მარტენის ბიოგრაფია ბროსემ 1833 წელს ცალკე ბროშურად გამოსცა.—51.
- 7 თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები დაცულია საქართველოს საზღვრის მუზეუმში: S-4797.—18.
- 8 *Bulletin scientifique*—პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდული ორგანო. დაარსებულ იქნა 1837 წელს და ფრანგულ ენაზე გამოდიოდა 1866 წლამდე.—29.
- 9 1840 წლის მეცნიერებათა აკადემიის ანგარიში შედგენილი აკადემიკოსი—მდივნის ფუსის მიერ: „Enfin nous ne pouvons passer sous silence une service éminement utile que Brosset a rendu à notre Musée asiatique par l'arrangement et la rédaction du catalogue de notre bibliothèque d'ouvrages chinois, mandjous et japonais, travail auquel il a consacré tout l'été dernier pour lequel il avait cultivé autrefois et qu' il a abandonné depuis longtemps.“—32.
- 10 სტატია დაიბეჭდა—„სანქტპეტერბურგსკიე ვედომოსტში“. 1846 წ., № 250. Ж. М. И. П. С. LII.—33.
- 11 ბროსეს არქივი დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, რომელიც „საახიო მუზეუმის“ საფუძველზე შეიქმნა.—43.
- 12 გ. იმედაშვილი—„რუსთველოლოგია“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განომცემლობა, 1941 წ.—77.
- 13 იგულისხმება წიგნი—„კლატონ იოსელიანის წერილები აკადემიკოს მარი ბროსესადმი“, სოლომონ ყუბანეიშვილის რედაქციითა და შენიშვნებით. ბათუმი. 1941 წ.—103.
- 14 „De la littérature romanesque géorgienne“.—„Bulletin de l'Académie“, 1877, t. XXIV.—105.
- 15 ლაპარაკია „ქართული ჩრონიკის“ შესწორებულ თარგმანზე, რომელიც ბროსემ ჩაურთო შრომაში—„Matériaux pour servir à l'histoire de la Géorgie depuis l'an 1201 jusqu, en 1755“—„Mémoires de l'Académie“. 1841. VI<sup>ème</sup> siècle. V.—110.

- 16 ლორან ბროსე—„Bibliographie analytique des ouvrages de Monsieur Marie-Félicité Brosset, membre de l'Académie Impériale des sciences de Saint „Petersbourg“. პეტერბურგი, 1887 წ.—122.
- 17 1846 წელს დაიბეჭდა აკადემიკოს დორნის ნაშრომში: „Das Asiatische Museum“ სათაურით: „Catalogue des manuscrits géorgiens conservés dans le Musée asiatique de l'Académie des Sciences“.—125.
-

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი . . . . .	3
I. ბროსეს ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები .	6
II. ბროსე — „სააზიო საზოგადოების“ წევრი .	13
III. ბროსე პეტერბურგში . . . . .	24
IV. მოგზაურობა საქართველოში . . . . .	35
V. ბროსე ქართული ენისა და ლექსიკოგრაფიის შესახებ .	43
VI. ბროსე და ქართული კლასიკური პერიოდის ლიტერატურა	56
VII. ბროსე და აღორძინების პერიოდის ქართული ლიტერატურა	88
VIII. ბროსე XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ .	100
IX. საქართველოს ისტორიის გამოცემა . . . . .	106
X. დასკვნა . . . . .	123
შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი . . . . .	130

---